ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბიზნესის, სამეწარმეო საქმიანობის გააქტიურებას, კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და მათი ფინანსური მდგრადობის, სტაბილურობის უზრუნველყოფას. ეს უკანასკნელი პირდაპირაა დამოკიდებული საწარმოს აქტივების შემადგენლობასა და სტრუქტურაზე, სადაც მნიშვნელოვანი წილი არამატერიალურ აქტივებსა და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებსა და მათზე არსებულ უფლებებს განეკუთვნება. აღნიშნული აქტივების (ქონების) გამოყენებით მისაღები ეკონომიკური სარგებლის, ეფექტუალური განსაზღვრა მოითხოვს მათი რეალური საბაზო ღირებულებით შეფასებას, რაც ასევე სავალდებულოა ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის, კერძოდ, შეფასების საერთაშორისო სტანდარტებისა (შსს-IV შ 2017) და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-2017) მოთხოვნების შესაბამისად. შეფასების ობიექტს წარმოადგენს გუდვილი და არამატერიალური აქტივების ისეთი კატეგორიები, როგორიცაა: მარკეტინგთან დაკავშირებული; მომხმარებლებთან დაკავშირებული; ხელოფნებასთან დაკავშირებული; ხელშეკრულებებთან დაკავშირებული; ტექნოლოგიებთან დაკავშირებული. რაც შეეხება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს (ისო), როგორც ერთიანი ქონებრივი კომპლექსის შემადგენელ ნაწილს, მათი შეფასება ხდება ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა (ისმო) და დამოუკიდებელი შემფა-

სებლების მიერ გამოყენებული სტანდარტული კლასიფიკაციის სქემის მიხედვით. არამატერიალური აქტივების შეფასებისას გამოყენებული მეთოდებისა და ლირუბულების საფუძვლის შერჩევა კი პირდაპირაა დამოკიდებული შეფასების მიზანზე. შესაბამისად, აა და ისო-ის შეფასებისათვის საჭიროა შემფასებელმა განახორციელოს მათი ექსპერტიზა, განსაზღვროს ეკონომიკური და ოურიდიული მომსახურების ვადები და ოპერატიულად მოიპოვოს შემდგენი ინფორმაცია: აა ისო-ის დასახელება და სრული აღწერილობა; საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები (პატენტები, ლიცენზიაზე, სასაქონლო ნიშნებზე და სხვა); სალიცენზიონ ხელშეკრულება ლიცენზიის გამოყენებაზე; აა და ისო-ის გამოყენებით გამოსაშვები პროდუქციის გეგმა (პროდუქციის ნომერაციურა, ფასი თვითღირებულება, გამოშვების მოცულობა სახეობებისა და პერიოდის მიხედვით უახლესი 5 წლის განმავლობაში); აა ისო-ის გამოყენების პირობებში მიმდინარე მოსალოდნელი შემოსავლების პროგნოზი და გეგმიური სარჯები, საგადასახადო სარჯები და სხვა; ხელშეკრულება იმ სამუშაოების შესრულებაზე, რომლის საფუძველზეც იქმნება არამატერიალური აქტივები; სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების შესახებ; სავტორო პონორარის, გასამრჯელოს შესახებ; წარმოების მომზადებასა და დანერგაზე დანახარჯების შესახებ; რეკლამასა და მარკეტინგულ კვლევებზე დანახარჯების შესახებ; შეფასების თარიღისათვის ისო-ის ფაქტიური საექსპლუატაციო ვადის, სასარგებლო მიმსახურების პერიოდის შესახებ; ამორტიზაციის პერიოდის, ნარჩენი საბალანსო ღირებულების შესახებ. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, საშემფასებლო საქმიანობის ორგანიზაცია უნდა განხორციელდეს შემდგი თანამიმდევრობით:

1. ზოგადად, სტანდარტების გათვალისწინებით, კერძოდ კი შსს 101 „სამუშაოს მასშტაბები“დას შესაბამისად, შემფასებელი ვალდებულია დეტალურად აღწეროს შეფასების დავალების ძირითადი პირობები.

2. შეფასების დავალების შსსდსთან შესაბამისობის უზრუნველყოფის დასაბუთების მიზნით, შემფასებელმა უნდა განახორციელოს გამოკვლევა და სათანადო მტკიცებულებების მოპოვება, რათა არსებობდეს ზუსტი გარანტია იმისა, რომ შეფასების პროცესი განხორციელდება შეფასების მიზნისა და ღირებულების საფუძვლების შესაბამისად და შეფასების დასკვნა იქნება სრულყოფილი, საიმედო, ობიექტური შსსდის ყველა მოთხოვნის დაცვით. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ღირებულების საფუძვლების სწორად შერჩევას. იგი სრულად უნდა შეესაბამებოდეს შეფასების დავალების პირობებსა და მიზანს, ასევე დაცული უნდა იქნას მასთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნები.

3. შემფასებელმა უნდა განიხილოს შეფასების წინაპირობა, ანუ აქტივის სავარაუდო გამოყენება, ამისათვის მან უნდა გაანალიზოს: ა)საუკეთესო და ეფექტური გამოყენება; ბ)მიმდინარე/არსებული გამოყენება. ანალიზის შედეგად მან უნდა გააკეთოს მკაფიო დასკვნა იმის თაობაზე, თუ შეფასების თვალსაზრისით აქტივის გამოყენების რომელი ვარიანტია უფრო საუკეთესო, ეფექტური, რადგან სწორედ ეს ფაქტორია გადამწყვეტი საბაზრო ღირებულების სიდიდის გაანგარიშებისას.

4. შემდეგ საფეხურზე შემფასებელი ირჩევს შეფასების მეთოდს, ან მეთოდებს და სათანადო ინფორმაციის გამოყენებით ასაბუთებს შერჩეულ ვარიანტს.

5. შეფასების შერჩეული მეთოდი/მეთოდების გამოყენებით ხორციელდება საბაზრო ღირებულების გაანგარიშება და მიღებული შედეგების შეჯერება.

6. დასკვნით ეტაპზე ხორციელდება შეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა შსსდის მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და პრაქტიკა გვჩვენებს, არამატერიალური აქტივებისა და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების

შეფასების პროცესში ყველაზე მეტად გავრცელებულია შემოსავლის მეთოდი, რომელიც უპირატესად გამოიყენება ისეთ ობიექტებთან მიმართებაში, როგორიცაა: ტექნოლოგია; საფირმო სახელწოდებები; სავჭრო ნიშნები; სასაქონლო ნიშნები; საქმიანობის ლიცენზიები; ხელშეკრულებები კონკურენციის შეზღუდვაზე და სხვა. შემოსავლების მიღებით შეფასების პროცესში გამოიყენება ხუთი ძირითადი მიღება: ნამეტი შემოსავლის მეთოდი; როიალტისაგან განთავისუფლების მეთოდი; დამატებითი მოგების მეთოდი; ნულოვანი მეთოდი; დისტრიბუტორის მეთოდი.

არამატერიალური აქტივების შეფასებას საფუძვლად უდევს აქტივების ლიკვიდის რისკსა და მის შემოსავლიანობას შორის ურთიერთშესაბამისობის კონცეფცია. საერთაშორისო გამოცდილებით პრაქტიკულად დასაბუთებულია, რომ არამატერიალურ აქტივებში ინვესტიციების დაბანდებასთან დაკავშირებული რისკი გაცილებით აღემატება მატერიალურ და ფინანსურ აქტივებში დაბანდებულ ინვესტიციებთან დაკავშირებულ რისკებს. თანამდროვე კომპანიები პერიოდულად ახორციელებდნენ თავისი აქტივების სტრუქტურის ანალიზს და აფასებენ თითოეული ჯგუფის მონაწილეობას შემოსავლის, მოგების მოტანის ოგალსაზრისით. შესაბამისად, არამატერიალური აქტივების შეფასებისას საჭიროა გავითვალისწინოთ ისიც, რომ კომპანიის აქტივებს განასხვავებთ არა მარტო წარმოების სფეროში მონაწილეობის დონე და ფუნქციონირების ხარისხი, არამედ საშემოსავლო პოტენციალიც (მოთხოვნილი შემოსავლის დონე).

### გამოყენებული ლიტერატურა

1. **გ. ცარციძე.** ეპონომიკური განვითარების თავისებურებანი და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები საქართველოში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული, ტომი 12, თბილისი 2015;
2. შეფასების სართაშორისო სტანდარტები (IV ტ 2017). საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტი (სქმე). თბილისი 2017;
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. საქართველოს პარლამენტი, კანონი 786, 1997წლის 26 ივნისი .ქ. თბილისი;
4. საქართველოს კანონი 2112 „სააგენტო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 1999 წლის 22 ივნისი;
5. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 38 „არამატერიალური აქტივები“. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. პტტპს//სარას.გოვ.გვ/კა/იფრს/ დფ/125;
6. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 13 „რეალური ღირებულება“. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. <https://sarar.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/125>;
7. **Aswath Damodaran.** The Value of Intangibles. <http://people.stern.nyu.edu/adamodar/pdfiles/ovhds/dam2ed/intangibles.pdf>;
8. **Damián Pastor, Jozef Glova, František Lipták, Viliam Kováč.** (2016) Intangibles and methods for their valuation in financial terms: Literature review. <http://www.intangiblecapital.org/index.php/ic/article/view/752/627>;
9. **Manoj P. Dandekar, Ph.D.** Valuation of Intangible Assets and Intellectual Property. SDP Annual Conference September 11-12, 2017. <https://cdn.ymaws.com/www.depr.org/resource/resmgr/2017Conference/2017Presentations/MDandekarValuationIntangible.pdf>;
10. **Marilei Osinski,** Methods of evaluation of intangible assets and intellectual capital. <https://www.emeraldinsight.com/doi/abs/10.1108/JIC-12-2016-0138>

*Murman Tsartsidze*

*Doctor of Economic Sciences,*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Natela Latsabidze,*

*Academic Doctor,*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

Giorgi Khmaladze

*Doctor of Economic Sciences,*

# *The Georgian Association of Independent Accountants and Auditors*

Nikoloz Khmaladze

*Academic Doctor,*

# *The Georgian Association of Independent Accountants and Auditors*

# **LEGAL, ORGANIZATIONAL AND METHODOLOGICAL ISSUES OF INTANGIBLE ASSETS AND INTELLECTUAL PROPERTY OBJECTS IN GEORGIA**

## **Expanded Summary**

In terms of modern globalization and Euro-integration, for the economic growth and development of the country is important to activate business, entrepreneurial activity, increase competitiveness of companies and ensure their financial sustainability and long term stability. The latter is directly dependent on the composition and structure of the enterprise assets, where a substantial share belongs to intangible assets and intellectual property objects and their rights.

Determining the effectiveness of the economic benefits, which are adequate to the use of these assets (property), are required to evaluate their real market value, which is also mandatory for the country's current legislation, namely, the international standards of assessment (IVS 2017) and the International Financial Reporting Standards (IFRS-2017). It is obvious that there are very serious tasks in the management of modern companies regarding general assets and intangible assets, including periodic assessment of intellectual property objects. It should also be taken into consideration that the efficiency and quality of the assessment process are essentially dependent on the adequate normative-legislative basis, the relevant methodological basis and the availability of comprehensive information on the market condition of these assets. In accordance with the International Standards of Assessment, in many cases, the objective assessment is the goodwill and the categories of intangible assets such as: Related to marketing; Related to customer; Related to art; Related to agreements; Related to technologies. As for the intellectual property objects as part of the united property complex, their assessment is made according to the standard classification scheme used by the World Intellectual Property Organization (WIPO) and Independent Appraisers. Selection of the methods and value used in assessing non-material assets is directly dependent on the purpose of assessment. Consequently, an evaluator should evaluate intangible assets, intellectual property objects, and carry out their expertise, determine the terms of the economic and juridical service and operatively obtain the following necessary information: Intangible assets, name of the intellectual property objects and full description; Property certificates (patents, licenses, trademarks, etc.); License agreement on usage of license; product production plan with using intangible assets, intellectual property objects (Product nomenclature, price, prime cost, release volume for the latest 5 years according to the species and period); Current expected revenue forecast and planned expenditures, tax expenses and more; Agreement on the performance of the works on which the intangible assets are created; expenses necessary for the implementation of scientific-research and experimental projects; copyright royalty, about the remuneration; about preparation of production and implementation of expenses; about Advertising and marketing surveys; For the assessment date, about actual effect of intangible assets and intellectual property objects, useful service periods; About amortization period, residual carrying value. By assessing these factors, the organization of the evaluation activities shall be carried out in the following sequence:

1. In accordance with the general standards, in particular, according to the MIA 101 "work scale" the assessor is obliged to describe the basic conditions of the evaluation assignment.
2. In order to ensure compliance of the assessment with International Standards of Assessment, the assessor must conduct the examination and obtain relevant evidence, so that he/she have an accurate guarantee that the assessment process will be carried out in accordance with the purpose and value of the assessment and the assessment report will be comprehensive, reliable, objective, in compliance with all requirements of the standard. That is why it is particularly important proper selection of the basic values. It should be fully consistent with the terms and conditions of the Assessment Order, as well as all requirements related to it.
3. An assessor must consider the prerequisite of the assessment, or the alleged use of the asset, in order to analyze: a) the best and most effective use; b)current/existing use. As a result of the analysis, he/she has to make a clear conclusion of the assessment of which option is to use the asset to be more efficient, because this is the factor in calculating the size of the decisive market value.
4. As the next step, the assessor selects the method/methods of evaluation and uses the appropriate information in the selection of the selected option.
5. Calculation of market value and compounding of results are carried out by using the method/methods selected by the assessor.

6. The final stage is to prepare and submit an assessment report in accordance with the requirements defined by the International Standards of Assessment.

Experience and practice of developed countries show that in the process of assessment of intangible assets and intellectual property objects, the method of income is most commonly applied to such objects as: Technology; Trade names; Trademarks; Digital signage; Activity licenses; Contracts on competition restrictions and more. Five main approaches are used in the assessment process of the income approach: Surplus income method Release method from royalties; Additional profit method; Zero method Distributor method.

The intangible asset assessment is based on the concept of mutual trust between the risks of liquidity of the assets and its revenue. International experience is practically justified that the risk of investing in investments in intangible assets exceeds the risks associated with investments in the material and financial assets. Modern companies periodically analyze the structure of their assets and assess the participation of each group in terms of income and profit. Therefore, in assessing intangible assets, it is important to note that the company's assets distinguish not only the level of participation in the industry and quality of functioning but also the income potential (the level of requested income).

## მაკროეკონომიკა –MACROECONOMICS

### მალხაზ ჩიქობავა

იქ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მაკროეკონომიკის კათედრის  
ასოცირებული პროფესორი

პეტრიაშვილი და მონეტარისტული თეორიების შედარებითი ანალიზი

**რეზიუმე.** სტატიაში გაანალიზებულია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ქინზიანური და მონეტარისტული პარადიგმები, მათი როლი კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის დაძლევაში და თანამედროვე გლობალური ფინანსურული ურთისების წინააღმდეგობის კამოწევების წინაშე მათი შესაძლებლობები.

ნაშრომში ხაზასმულია მონეტარული რეგულირების ქინზიანური კონცეციის ინფლაციური ხასიათი და გრძელვადიანი მაკროეკონომიკური წონას-წორობის მიღწევის შეუძლებლობა.

ნაშრომში გაანალიზებულია აგრეთვე მონეტარისტული რეგულირების ძირითადი ასპექტები და ნაწევნებია, რომ კერც ეს პარადიგმა უზრუნველყოფს ეკონომიკის შეუფერხებელ და არაინფლაციურ განვითარებას გრძელვადიანი კერითდისათვის.

ნაშრომის დასკვნით, თანამედროვე გლობალური ფინანსურული ურთისების კამოწევების წინაშე უძლევენ აღმოჩნდა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების როგორც ქინზიანური, ისე მონეტარისტული თეორიები, რაც დღის წესრიგში აუკენებს სრულიად ახალი პარადიგმების შექმნის აუცილებლობას.

**საკვანძო სიტუაცია:** ეკონომიკური კრიზისი, ჭარბწარმოება, ნეოკლასიკური თეორია, მოხმარება, ინვესტიციები, დასაქმება, სახელმწიფო დანახარჯები, კაპიტალის ზღვრული მწარმოებლებობა, მულტიპლიკატორი, კაპიტალის წრებრუნვა, ფინანსური და მონეტარული რეგულირება, მონეტარისტული წესი.

### შესავალი

ისტორიული გამოცდილება მოწმობს, რომ ძირითადი ეკონომიკური მიზნების – სრული დასაქმების, ფასების სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის ნორმალური ტემპების მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების გარეშე. ამ მხრივ, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას, ჯერ კიდევ, XX საუკუნის ოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან და შემდგომ, II მსოფლიო ომიდან მოყოლებული დღემდე საუძველებელ ედო რეგულირების ქინზიანური, მონეტარისტული და ბოლოს, ნეოკლასიკურ სინთესზე დაფუძნებული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პარადიგმები. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე გლობალური ფინანსურული მიკური კრიზისის გამოწვევების წინაშე ზემოაღნიშნული პარადიგმები უძლეური აღმოჩნდა, რომლის მიზეზებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

\* \* \* \*

XX საუკუნის 30-იან წლებში დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკა ისტორიულად უპრეცენდენტო, უეფლაზე ღრმა ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა, რამაც წარმოშვა იმ საშუალებების მოძიების პრაქტიკული საჭიროება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ღრმა რეევების გარეშე დინამიკურ საზოგადოებრივ პალავწარმოებას. პირველმა, რომელმაც „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ თეორიის საფუძველზე სახელმწიფო რეგულირების პარადიგმა დაამუშავა, იყო ჯონ მეინარდ კეინზი.

ეკონომიკის განვითარების ძირითადი ფაქტორი, კეინზის მიხედვით, „უფექტური მოთხოვნაა“, რაც შედგება პირადი და საწარმოო მოხმარებისგან. ფაქტორთა ასეთი არჩევანი, რაც გავლენას ახდენს ეკონომიკური განვითარების დინამიკაზე, შემთხვევითი არ ყოფილა. XX საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ პერიოდში, დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკა ცდილობდა უმძიმესი კრიზისიდან თავის დაღწევას. როგორც ცნობილია, კაპიტალიზმის დროს ეკონომიკური კრიზისი საქონლის, კაპიტალისა და სამუშაო ძალის ჭარბწარმოების კრიზისია, ე.ი. ერთობლივი მიწოდების გადამეტება ერთობლივ მოთხოვნაზე.

გააკრიტიკა რა კლასიკური სკოლის კონცეფცია, რომლის თანახმადაც მიწოდება ავტომატურად წარმოშობს მოთხოვნას (სეის კანონი), კეინზმა სრულიად ლოგიკურად ივარაუდა, რომ შემოსავლების გენერირების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მოთხოვნის სტიმულირება, იმ ფაქტორებზე ზემოქმედება, რომლებიც ახდენს უფექტური მოთხოვნის ფორმირებას და განსაზღვრავს ეროვნული შემოსავლის ნაზრდს. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ეფექტური მოთხოვნის ერთ-ერთი შემადგენელია პირადი მოხმარება. ეს უკანასკნელი, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია დასაქმების დონეზე და ამიტომ, უმუშევრობა ის ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც წინ ელობება ეფექტური მოთხოვნის ფორმირებას.

კეინზმა უარყო ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის პოსტულატები, რომლის მიხედვით, დასაქმება დამოკიდებულია შრომის ზღვრულ მწარმოებლურობასა და რეალური ხელფასით გამოხატულ შრომის ზღვრულ სიმძიმეზე. მისი აზრით, დასაქმების დონე დამოკიდებულია მოხმარებასა და ინვესტიციებზე მოსალოდნელ დანახარჯებზე. მან აღნიშნა, რომ „შემოსავლების ზრდასთან ერთად მოხმარების დონე იზრდება, მაგრამ არა იმავე ზომით, როგორც შემოსავლებისა“ [ . . . 1978, 83]. ეს უკავშირდება ე.წ. „ძირითად ფიქტოლოგიურ კანონს“, რომლის არსია ის, რომ ადამიანები მიღრეკილნი არიან გაზარდონ მოხმარება, მაგრამ არა იმ ზომით, რა ზომითაც იზრდება მათი შემოსავლები. ამით ვლინდება ადამიანთა ბუნებრივი მიღრეკილება დაზოგვასადმი.

უნდა აღინიშნოს, რომ კეინზმა თავისებურად განმარტა რეალურ სინამდვილეში არსებული კანონზომიერება. ერთგული შემოსავლის ზრდის კვალობაზე მასში მოხმარების წილი შედარებით მცირდება. ეს ხდება, უპირატესად, ექსტენსიური ეკონომიკური ზრდისა და მრეწველობის საბაზისო დარგების ფორმირების პირობებში. ამასთან, კეინზის აზრით, რაც უფრო მდიდარია საზოგადოება, მით უფრო მაღალია დაზოგვისადმი მიღრეკილება და ნაკლებია მოხმარებისადმი ზღვრული მიღრეკილება, რასაც მივყავარო წარმოებული პროდუქციის მოცულობისა და დასაქმების მასშტაბების შეზღუდვამდე. ამგვარად, პრობლემის არსი გამოიხატება იმაში, თუ როგორ უნდა განხორციელდეს სრული დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის ერთმანეთთან შეთავსება.

ამ კითხვაზე პასუხი ემყარება დასაქმებას, მოხმარებასა და ინვესტიციებს შორის ფუნქციონალური დამოკიდებულების განსაზღვრას. ჩათვალა რა, რომ დასაქმება წარმოადგენს მოხმარებისა და ინვესტიციების ფუნქციას, კეინზმა

ივარაუდა, რომ მოხმარების ფუნქცია მდგრადია და ამიტომ, სახელმწიფოს ურადღება მიმართული უნდა იყოს ინვესტიციების სტატულირებაზე.

ამგვარად, მოსახლეობის არასაკმარისი მოთხოვნა, რომელიც ჩამორჩება შემოსავლების ზრდას, კომპენსირებული უნდა იქნეს საინვესტიციო მოთხოვნის ზრდით. ინვესტიციების ნაზრდი დამოკიდებულია ორ ფაქტორზე – მოგების მოსალოდნელ ნორმასა და რეალურ საპროცენტო განაკვეთზე. აქედან გამომდინარებს საინვესტიციო მოთხოვნის რეგულირების მონეტარული და ფისკალური ინსტრუმენტები. რა როლი აკისრია ამ ინსტრუმენტებს ინვესტიციებისა და დასაქმების ზრდის სტატულირებაში?

მოგების ნორმისა და მოთხოვნის გადიდება შესაძლებელია ფულადი (ნომინალური) ხელფასის შემცირების ხარჯზე. ამ კონცეფციის ემხრობოდა კლასიკური თეორია. ხელფასის შემცირება იწვევს ფასების შემცირებას და რეალური შემოსავლების გადანაწილებას დაქირავებული მუშაკებიდან მეწარმეების და მეწარმეებიდან რანგიერების სასარგებლოდ. მთლიანობაში ეს გადანაწილება ამცირებს მოხმარებისადმი მიღრეკილებას. თუმცა, ეს ამაღლებს კაპიტალდაბანდების ზღვრულ ეფექტიანობას. გარდა ამისა, ფასებისა და ფულადი შემოსავლების შემცირება, თავის მხრივ, ამცირებს ნაღდ ფულზე მოთხოვნას, რაც იწვევს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას და ინვესტიციების წახალისებას.

ეს გზა, რომელიც მოქნილი ხელფასის პოლიტიკის სახელითაა ცნობილი, ფულადი ხელფასის ერთულით გამოხსატული ფულის რაოდენობის ცვლილების ხერხია. მისი პრაქტიკული რეალიზაცია დემოკრატიულ საზოგადოებაში ფრიად პრობლემურია. მხოლოდ ავტორიტარულ საზოგადოებაშია შესაძლებელი ხელფასის სიდიდის რეგლამენტირება. საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში ერთგაროვანი რეგლამენტირება და, მით უფრო, ფულადი ხელფასის შემცირება შეუძლებელია. ხელფასის ეტაპობრივი შემცირება ცალკეული მეწარმეების მხრიდან აწყდება პროფესიურებოთან ბრძოლას. გარდა ამისა, მოქნილი ხელფასის აოლიტიკის შედეგი შეიძლება იყოს „ფასების უკიდურესი არამდგრადობა, შესაძლოა, იმდენად მნიშვნელოვანი არამდგრადობა, რომ ყოველგვარი საქმიანი გათვლები სრულიად უაზრო იქნება“ [ . . . 1978, 339]. ეს კი, საბოლოოდ, უარყოფითად აისახება საინვესტიციო მოთხოვნაზე.

მოქნილი ხელფასის პოლიტიკის უარყოფითი შედეგები თავიდან იქნება აცილებული მოქნილი მოქნებარული პოლიტიკით. ფულის რაოდენობის ცვლილება ღია ბაზარზე ფულად-საკრედიტო ოპერაციების, საადრიცხვო განაკვეთების რეგულირების, სავალდებულო რეზერვების ნორმის დახმარებით, კეინზის აზრით, სახელმწიფოს გამგებლობაშია. ფულის რაოდენობის ზრდა, რომელიც გამოხსატულია ხელფასის ერთულით, ამ უკანასკნელის შემცირების გარეშე, გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას, ფასებისა და ინვესტიციების ზღვრული ეფექტიანობის ზრდას. ყველაფერი ეს სტატული მისცემს საინვესტიციო მოთხოვნას და დასაქმების ზრდას. გარდა ამისა, დეპოზიტებზე არსებული პროცენტების შემცირება ხელს შეუწყობს მოხმარების ზრდას, რადგანაც ბანკებში ფულადი ანაბრების არსებობა ნაკლებად მიმზიდველი იქნება.

თუმცა, ყველა ეს დონისძიება შეიძლება არასაკმარისი იყოს ეფექტიანი მოთხოვნისა და სრული დასაქმების მისაღწევად. მოთხოვნისა და დასაქმების ზრდის მიზნით კეინზი გვთავაზობს აქტიური ფისკალური პოლიტიკის გატარებას.

აქტიური საინვესტიციო საქმიანობის რეალიზაცია მოითხოვს ეროვნული შემოსავლის გადანაწილებას სახელმწიფოს სასარგებლოდ საგადასახადო განაკვეთების ზრდით. ამ გზით ამოდებული ფულადი საშუალებები, რაც სხვა

შემთხვევაში გაზრდიდა ბანკებში არსებულ დეპოზიტებს, სახელმწიფომ საინ-გესტიციო მოთხოვნის გაფართოებასა და დასაქმების ზრდას უნდა მოახმაროს.

უშუალოდ სამეწარმეო საქმიანობის გარდა, კეინზი სახელმწიფოს რეკო-მენდაციას აძლევდა, განეხორციელებინა, აგრეთვე, მრეწველობის არარენტა-ბელური დარგების, კომუნალური მეურნეობის, შემწეობების გადახდის საბიუ-ჯეტო დაფინანსება. ამასთან, სახელმწიფო ხარჯებს კეინზი არ ზღუდავდა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილის მასშტაბებით და უშვებდა დე-ფიციტური დაფინანსების შესაძლებლობასაც. მას ემოდა, რომ ეს ინფლაციას გამოიწვევდა, მაგრამ თვლიდა, რომ ინფლაციის ტემპები დარეგულირდებოდა სახელმწიფოს მიერ, რადგანაც ის განსაზღვრავს ბიუჯეტის დაფიციტისა და ფულადი ემისიის ზომებს.

მოთხოვნის საბიუჯეტო გაფართოება უმუშევრობის უმცირების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გარ-და, ხელს უწყობს სოციალური წინააღმდეგობების სიმწვავის მოხსნას. ამას-თან, სახელმწიფო ხარჯების აუცილებლობისა და უფეხტიანობის დასასაბუ-თებლად წარმოების მოცულობაზე, შემოსავლებსა და დასაქმებაზე მისი ზე-მოქმედების თვალსაზრისით, კეინზმა შეიმუშავა „მულტიპლიკატორის“ თეორია.

კეინზის კონცეფცია საფუძვლად უდევს სახელმწიფო რეგულირების ხან-გრძლივ პრაქტიკას, რომლის პარამეტრებსა და მიმართულებებს თავისებურუ-ბები გააჩნდა სხვადასხვა ქვეყანაში და საზოგადოებრივი განვითარების ობიექ-ტური ტენდენციის ზემოქმედებით მოდიფიკაციას განიცდიდა.

რეგულირების კეინზიანური მოდელის ანალიზიდან გამომდინარე, აღვ-ნიშნავთ, რომ მისი ძირითადი შერიცხებია:

- ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის გადანაწილება სა-ხელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით;

- სახელმწიფო მეწარმეობის ფართო ზონის შექმნა სახელმწიფო და შე-რეული საწარმოების ფორმირების საფუძველზე;

- ფისკალური და მონეტარული რეგულატორების ფართოდ გამოყენება ეკონომიკური კონიუნქტურის სტაბილიზაციის მიზნით, ციკლური რყევების შთანთქმა, ზრდის მაღალი ტემპებისა და დასაქმების მაღალი დონის მხარ-დაჭერა.

ჩვენი აზრით, კეინზიანური მოდელი არ ითვალისწინებს მთავარ მო-ქნებს: კაპიტალიზმის პირობებში ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მი-წოდების ტოლობის მიღწევის არა თუ პრაქტიკულ, არამედ თეორიულად შეუძლებლობასაც კი. ამის სადემონსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: დავუშვათ, ქვეყნის მთელი კაპიტალი გაერთიანებულია ერთ დიდ ფირმაში ერ-თობლივი კაპიტალის სახით, რომელიც აწარმოებს საბოლოო საქონელს. იმავ-დროულად, აღნიშნული ფირმა აწარმოებს წარმოების საშუალებებს, ნედლე-ულს, ენერგიას, მასალებს და მაკომპლექტებებს დეტალებს. საბოლოო საქო-ლის ფასი, რომელიც ამ ფირმის მიერაა გამოშვებული, განისაზღვრება ფორმუ-ლით: ფასი=ხელფასი+მოგება. მაშასადამე, ფირმა ყიდულობს მხოლოდ ერთ რესურსს - შრომას. დანარჩენს აწარმოებს მისი შიგა ქვედანაყოფები. ერთობ-ლივი კაპიტალის ფირმისათვის არ არსებობს რენტა და პროცენტები. ყველა-ფერი იფარება მოცემული ფირმის შიგნით. დავუშვათ, ერთობლივი კაპიტალის ფირმა ყიდულობს შრომას, იხდის ხელფასს 10 მლრდ ლარის იდენტი წე-ლიწადში და გეგმავს 20%-იანი მოგების მიღებას. ერთობლივი კაპიტალის ფირმას საქონლისა და მომსახურების ბაზარზე გააქვს 12 მლრდ ლარის სა-ქონელი და მომსახურება. ეს ერთობლივი მიწოდებაა.

მაგრამ მომხმარებლები შინამეურნეობებია. მათ შეუძლიათ მაქსიმუმ 10 მლრდ ლარის დახარჯვა, რაც მათ მიერ ხელფასის სახით მიღებული განკარგ-

ვადი შემოსავალია. ამგვარად, 2 მლრდ ლარის საბოლოო საქონლის რეალიზაცია ვერ მოხდება. კაპიტალის წრებრუნვაში წარმოშობა „საცობი“ - მიწოდების სიჭარბე. პრობლემა კიდევ უფრო ღრმავდება იმით, რომ შინამეურნეობა მთლიანად არ ხარჯავს ხელფასს მიმდინარე მოხმარებაზე, არამედ მის ნაწილს ზოგაც. თუ ეს უპანასკნელი შემოსავლის 10%-ია, მაშინ „საცობის“ სიდიდე გაიზრდება 30 მლრდ ლარამდე.

მაშინადამე, 12 მლრდ ლარის ოდენობის ერთობლივი მიწოდების საერთო მოცულობიდან, 30 მლრდ ლარი არარეალი ხებული რჩება – მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას 25%-ით. თუ ერთობლივი კაპიტალის ფირმა შეამცირებს გამოშვების მოცულობას და სამუშაო ადგილებს, ამით გადახდილი ხელფასების მოცულობა და შესაბამისად, ერთობლივი მოთხოვნაც შემცირდება, რაც ისედაც არასაკმარისია. ამგვარად, ჰარბწარმოების კრიზისი კიდევ უფრო გადრმავდება.

კაპიტალის წრებრუნვაში აღნიშნული დისპროპორციის პრობლემა კეინზის მიხედვით შემდეგნაირად „წყდება“: პოტენციური ფულადი მოგება გადაეცემა დაქირავებულებს, მაგრამ მხოლოდ გაცვლის მეშვეობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოტენციური ფულადი მოგება იცვლება შრომაზე, რომელიც გამოიყენება ინვესტირების პროცესში, შრომაზე, რომელიც მოცემულ პერიოდში არ მონაწილეობს საბოლოო პროდუქტის მიმდინარე წარმოებაში. საამისოდ საჭირო ფინანსური რესურსიც არსებობს, ეს არის ის 1 მლრდ ლარი, რომელიც კონცენტრირებულია დანაზოგების სახით. გარდა ამისა, განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ დაქირავებული მუშაკი თავისი შრომით ყოველთვის ახდენს კაპიტალის ავანსირებას. ინვესტიციებში განხორციელებული შრომა არის ისეთი შრომა, რომელიც პოტენციური მოგების ფულად ფორმას გადააქცევს ნივთობრივ კაპიტალად, კერძოდ: შენობა-ნაგებობებიდ, მოწყობილობებიდ, ნედლეულის ნატურალურ ნაზრდად, მასალებად, ენერგიად. ერთობლივი კაპიტალის ფირმისთვის ინვესტიციებში განხორციელებული შრომა არ მონაწილეობს მოგების მიმდინარე წარმოებაში, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ისედაც ჰარბწარმოების პრობლემას განიცდის. ინვესტირებაში გაწეული შრომა არ იძლევა მოგებას არც კონკრეტული ფირმის კონკრეტული ინვესტორისათვის, რადგანაც ფირმა ფულს მხოლოდ მომავალში მოგების მიღების იმედით აბანდებს [ჩიქობავა მ. 2011, 92].

მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ინვესტიციებში გაწეული შრომა არ ქმნიდეს ზედმეტ პროდუქტს. ზედმეტი პროდუქტის მოგებად გარდაქმნა გაწელდილია დროში, ვიდრე ახლად შექმნილი ნივთობრივი კაპიტალი მონაწილეობას არ მიიღებს საბოლოო პროდუქტის წარმოებაში. და აი, დროში ეს დაუმოტხვევლობა ქმნის იმის იღუზიას, რომ თითქოს ერთობლივი მოთხოვნა უტოლდება ერთობლივ მიწოდებას და ჰარბწარმოების კრიზისიც დაძლევულია. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ახლად შექმნილი ნივთობრივი კაპიტალი როცა მონაწილეობას მიიღებს ახალი დამატებული დირებულების, ანუ ახალი საბოლოო პროდუქტის შექმნაში, შეუსაბამობა ერთობლივ მიწოდებასა და ერთობლივ მოთხოვნას შორის კიდევ უფრო მასშტაბური იქნება. ამის შემდეგ ამ შეუსაბამობის „დაძლევა“ კვლავ ზემოთ აღწერილი სცენარით ხდება. თუმცა, როგორც ვნახეთ, ეს ჰარბწარმოების კრიზისის არათუ დაძლევა, არამედ მხოლოდ მისი გადაგადებაა გარკვეული დროით, რაც მომავალში ამ კრიზისის გამწვავების მაპროცენტულებელია. აქედან გამომდინარე, ერთობლივ მიწოდებასა და ერთობლივ მოთხოვნას შორის შესაბამისობის დამყარება, კეინზის თეორიის მიხედვით, შეუძლებელია.

ამასთან, წარმოების პროცესში შექმნილი ერთობლივი ზედმეტი პროდუქტი მიემართება გაცვლის სფეროში, საბოლოო პროდუქტის წრებრუნვის სფე-

როში, სადაც ის გარდაიქმნება ერთობლივ მოგებად და უპევ აღნიშნული მოგების მითვისება ხდება ერთობლივი კაპიტალის ფირმის მიერ. მითვისებული მოგება მიემართება საერთო ქვაბში – ერთობლივი კაპიტალის ფირმის ქვედანაყოფის შიგნით წრებრუნვის სფეროში. ეს ქვედანაყოფები იყოფენ ერთობლივ მოგებას წარმოების ფასების მოგების საშუალო ნორმის ფორმირების კანონის საფუძველზე. საბოლოო პროდუქტის წრებრუნვის სფეროში მიმდინარეობს მოგების მითვისების პროცესი ერთობლივი კაპიტალის მიერ, ხოლო ამ უკანასკნელის შიგნით წრებრუნვის სფეროში ხდება მითვისებული მოგების განაწილება.

ინვესტიციების დროს ზედმეტი ღირებულების წარმოების პერიოდის მოგებად გარდაქმნის პერიოდთან დაუმთხვევლობა, ზედმეტი ღირებულების მოგებად გარდაქმნის დროში ჩამორჩნა, ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ მოხდეს კაპიტალის წრებრუნვაში წარმოშობილი „ორიენტირებული საცობის“ გაწოვება. პირველადი ინვესტიციების არსია ის, რომ ერთობლივი კაპიტალის ფირმა შინამეურნეობისგან სესხულობს დანაზოგებს, ამით იძენს მისი ფულის მართვის უფლებას და გადააქცევს კაპიტალის მატერიალურ ფორმად, ფაქტობრივად ითვისებს კაპიტალს.

ჩვენს მარტივ მაგალითში ერთობლივი კაპიტალის ფირმა შინამეურნეობისგან სესხულობს დანაზოგებს 1 მლრდ ლარის ოდენობით, მიმართავს მას პირველად ინვესტიციებზე და სელახლა დაქირავებულ მუშაქებს უხდის ხელფას 1 მლრდ ლარის ოდენობით. შინამეურნეობის შემოსავალი იზრდება 1 მლრდ-ით: 0,1 მლრდ ლარს ის კვლავ ზოგავს, ხოლო 0,9 მლრდ ლარს ხარჯავს მოხმარებაზე. ერთობლივი მოთხოვნა იზრდება 0,9 მლრდ ლარით და ამცირებს ერთობლივ მიწოდებასთან მის ჩამორჩნას იმავე ოდენობით. ერთობლივი კაპიტალის ფირმამ მიიღო პოენციური მოგება, რომელიც ჩაიდო 0,9 მლრდ ლარის საქონელსა და მომსახურებაში. საბოლოოდ, პირველადი ინვესტიციების შედეგი ასე გამოიყერება: კაპიტალმა მიითვისა 1,9 მლრდ ლარი: 1 მლრდ – სესხის მატერიალურ ფორმად გარდაქმნის სახით და 0,9 მლრდ – დამატებით რეალიზებული საქონლისა და მომსახურების შედეგად. ქვეყანაში იზრდება დასაქმება და შინამეურნეობის შემოსავალი. სახეზეა ღირებულებითი ნაზრდი საბოლოო პროდუქტის ბრუნვის სფეროში, ასევე ერთობლივი კაპიტალის ფირმის შიგა ქვედანაყოფში ბრუნვის ნატურალური ნაზრდი. აღსანიშნავია საწარმოო სიმძლავრების მატება, რომელსაც ძალუს მოგვალში მოგვცეს საბოლოო პროდუქტის ბრუნვის სფეროში ნატურალური ნაზრდი.

მაშასადამე, პირველადი ინვესტიცია არა მარტო გაიწოვს „საცობს“ კაპიტალის წრებრუნვაში, არამედ გამოიწვევს გამოშვების მოცულობის მულტიპლიკატორულ ნატურალურ ნაზრდს. მულტიპლიკატორის ეფექტის მოქმედება საშუალებას იძლევა ეფექტიანად დაიძლიოს მიწოდების სიჭარე, რაც რეალურად უდევს საფუძვლად ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში დღემდე არსებული ეკონომიკის სახელმწიფო რეალიზებას.

პირველადი ინვესტიციები წარუმატებელიც რომ აღმოჩნდეს და გამოიწვიოს ინვესტორის გაკოტრება, საბოლოო პროდუქტის გამოშვების მოცულობა სხვა ფირმებში მაინც გაიზრდება მულტიპლიკატორის ეფექტით, რითაც უზრუნველყოფილი იქნება საქონელბრუნვის ნატურალური ნაზრდი. ამიტომ, გარდაუგალი ხდება უწყვეტი ინვესტიციება. ბუნებრივია, ისმის კითხვა: როგორ შეიძლება ამის ორგანიზება? აյთ ინვესტირებაზე გადაწყვეტილებას დაბულობს კონკრეტული კერძო ფირმა. ამ ფირმას აღელვებს თავისი დაბანდებების ეფექტიანობა და არა ქვეყნის ჭარბწარმოების კრიზისი. ბუნებრივია, ის არ წავარისებზე სხვა ფირმების გასაღების პრობლემების გამო. ასეთ შემთხვევაში, ერთ-ერთი გამოსავალია საპროცენტო განაკვეთების შემცირება. კეინზის ამ

რეკომენდაციას პირდაპირ მისდევენ განვითარებულ ქვეყნებში. მაგალითად, აშშ-ში მეორე მსოფლიო ომის შემდგებ, თანამედროვე გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს თუ არ მივიღებთ მხედველობაში (თუმცა, არც ამ პერიოდში პქონია ადგილი განსხვავებულ პოლიტიკას), ინფლაციის დონე სტაბილურად ნარჩენდებოდა მეოთხედი საუკუნის განმავლობაში 3%-ის ფარგლებში, ე.წ. „სანავთობო შოკების“ პერიოდების გამოკლებით, ხოლო 1992 წლიდან ისევ დაუბრუნდა იმავე 3%-იან ნიშნულს. აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემა დისკონტის განაკვეთს, როგორც წესი, ინარჩუნებდა ინფლაციის მიმდინარე დონესთან შედარებით 0,5%-ით მაღლა. ამგვარად, აშშ-ში ერთობლივი კერძო კაპიტალის-თვის კრედიტები ხელმისაწვდომი იყო ძალიან დაბალი ფასით: სულ რაღაც წლიური 0,5%-ით [ . . . 2000. 504].

მაგრამ, თუ საბოლოო პრედუქტის ბაზებზე სიტუაცია ისეთია, რომ კერძო ინვესტორებს არ სურთ რისკზე წასვლა, ხოლო ინვესტიციებზე ფაქტობრივი მოთხოვნა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საჭიროა მიწოდების სიჭარბის სალიკვიდაციოდ ან თუ ინვესტიციებზე მოთხოვნა არსებობს, მაგრამ ფინანსურ ინსტიტუტებს არ სურთ გარისკონ თავიანთი ფულადი რესურსებით, მაშინ ინვესტიციების რისკი საკუთარ თავზე უნდა აიღოს სახელმწიფომ ფინანსური ინსტრუმენტების დახმარებით. შინამეურნეობის შემოსავლის ნაწილი გადასახადებით უნდა იქნეს მობილიზებული ბიუჯეტში, ხოლო აქედან სახელმწიფო დაკვირვების მეშვეობით უნდა წარიმართოს ინვესტიციებში. კერძო ფირმას უნდა მიეცეს როგორც საკუთარი პროდუქციის გაყიდვის, ასევე მოგების მიღების გარანტია. მოხდეს ინვესტირების სტიმულირება. ასევე უნდა მოხდეს ამ ინვესტიციების ბიუჯეტიდან ავანსირება. კეინზი „ახალ ურსთან“ დაკავშირებით რეკომენდაციას აძლევდა პრეზიდენტ რუზველტს, რომ ბიუჯეტიდან დაფინანსებულიყო საზოგადოებრივი სამუშაოები. ენთუზიაზმით აღვხილი, ის თავაზობდა ხეოფების პირამიდების აგებასაც კი. თუმცა, რეალური კაპიტალიზმი სხვა გზით წავიდა. კერძოდ, პირამიდების აგების ნაცვლად, არნახულად გაიზარდა სამხედრო ხარჯები [3]. აი, რას აცხადებენ ამასთან დაკავშირებით ამერიკელი ეკონომისტები:

„დანახარჯების მულტიპლიკატორის პრაქტიკაში მოქმედების ილუსტრაცია შეიძლება მოვახდინოთ აშშ ბიუჯეტში სამხედრო ხარჯების ცვლილებების ეკონომიკაზე გავლენის მაგალითზე. XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში პრეზიდენტ რეიგანის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება თავდაცვის სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ. 1979 წელს ეს ხარჯები 271 მლრდ დოლარს (უცვლელი ფასებით) შეადგენდა, ხოლო 1987 წელს - 409 მლრდ დოლარამდე გაიზარდა და მან აშშ-ის მშპ-ის 7,5% შეადგინა...“

მულტიპლიკატორის თეორიის შესაბამისად, 80-იანი წლების დასაწყისში სამხედრო სექტორის გაფართოებას ძლიერი გავლენა უნდა მოეხდინა ეკონომიკაზე და ეს მართლაც მოხდა. სამხედრო საჭიროებებზე ხარჯების ზრდამ აშშ, ფაქტობრივად, გამოიყვანა 1981-1982 წლების ეკონომიკური კრიზისიდან და ხელი შეუწყო 80-იანი წლების შეა პერიოდში საქმიანი აქტივობის გამოცოცხლებას. ერთ-ერთ საგაზირო სტატიაში აღინიშნა, რომ ყოველი კარგად ანაზღაურებადი სამუშაო ადგილი თავდაცვის სექტორში შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას სხვა სამუშაო ადგილები „საწარმოების მიერ, რომლებიც აწარმოებენ დაწყებული სპეციალური დანიშნულების დიოთონის ნაკეთობებს, სპორტული კოსტიუმების ქიმწმენით დამთავრებული და კომპანიების მიერ, რომლებიც ამზადებენ მუყაოს კოლოფებს დვეწელებისთვის, რომლის შეძენაც შეუძლია ამა თუ იმ პირს საკუთარი ოფისისკენ მიმავალ გზაზე „ცივი ომის“ დამთავრებისთანავე მულტიპლიკატორი ამუშავდა უკუმიმართულებით. ბიუჯეტის შემ

ცირებამ თავისი წვლილი შეიტანა მორიგი ციკლური ვარდნის განვითარებაში 90-იანი წლების დასაწყისში“ [ . . . . . 2000. 612-634].

ერთ სიტყვით, თუ კერძო სექტორი არ მიღის რისკები, მაშინ ეს რისკი თავის თავზე უნდა აიღოს სახელმწიფომ. ამას ადასტურებს შემდეგი მონაცემები: 1950 წლისათვის აშშ სახელმწიფო ვალი 267 მლრდ დოლარს, 1997 წლს – 5370 მლრდ დოლარს, ხოლო 2010 წლისათვის მშპ-ის თითქმის ტოლ სიღიდეს შეადგენდა [4].

კეინზმა თავისი ნაშრომი - „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“, როგორც აღვნიშნეთ, გამოაქვეყნა 1936 წელს. ჩერჩილის მიერ „ცივი ომის“ გამოცხადებამდე ის წარმოადგენდა მხოლოდ აშშ-ის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის პრაქტიკაში მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკის თეორიული დასაბუთების საშუალებას. 1946 წელს, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დამთავრებასთან ერთად გამწვავდა უმუშევრობის პრობლემა, აშშ-ში მიღებული იქნა კანონი დასაქმების შესახებ, რომელიც პირდაპირ ავალდებულებს ფედერალურ მთავრობას ეკონომიკაში ჩარევას. საეციალური ტერმინიც კი იქნა შემოღებული ეკონომიკურ თეორიაში – დისკურსიული ფისკალური პოლიტიკა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოს მიერ გადასახადებითა და სახელმწიფო ხარჯებით შეგნებული მანიპულირება დასაქმების ზრდის, ინფლაციაზე კონტროლისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მიზნით. სახელმწიფო რეგულირების კეინზის მიერ შემოთავაზებულმა მოდელმა შესაძლებელი გახადა შერბილებულიყო ციკლური რყევები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორი ათწლეულის განმავლობაში. სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტები მიმსქმდგომი სამურნეო განვითარების ობიექტური ტენდენციის კალაპოტში ჯდებოდა, მაგრამ, XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მეორე ეტაპის დაწყების კვალიბაზე, ადგილი ჰქონდა ამ ტენდენციების სერიოზულ ცვლილებებს და გამოვლინდა სახელმწიფო რეგულირების შესაძლებლობებსა და ობიექტურ ეკონომიკურ პირობებს შორის შეუსაბამობა. ამგარად, ჭარბარმოების ეკონომიკური კრიზისის დაძლევა კეინზის კონცეფციის ფარგლებში შეუძლებელი გახდა.

1979-1982 წლების კრიზისი, II მსოფლიო ომიდან 2008 წლამდე (თანამედროვე გლობალური ეკონომიკური კრიზისის დაწყებამდე), არსებული ციკლური განვითარების კრიზისებიდან არა მარტო ყველაზე ღრმა, არამედ სახელმწიფო რეგულირების კეინზიანური მოდელის კრიზისიც იყო. შედეგად, სახელმწიფო რეგულირების სისტემა კარდინალურად გარდაიქმნა და ჩამოყალიბდა სახელმწიფო რეგულირების ახალი, ხეოკონსერვატიული მოდელი, სადაც დომინანტური გახდა მონეტარიზმის იდეოლოგია, თუმცა, ვერც ამ მოდელმა გაართვა თავი კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის დაძლევის ამოცანას, რასაც თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ტენდენციები ადასტურებს. რაში გამოხატება მონეტარიზმის, როგორც კეინზიანური თეორიის ალტერნატივის არსებობა?

როგორც ცნობილია, თანამედროვე შერეული ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება ძირითადად მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებითაა შესაძლებელი. მონეტარულ რეგულირებაში იგულისხმება ცენტრალური ბანკის მიერ მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის რეგულირება, ეკონომიკურ აქტივებაზე ზემოქმედებულ მიზნით. ამისათვის ცენტრალური ბანკი ფულის ბაზარზე ჩამოყალიბებულ წონასწორობას მიზანდასახულად არღვევს იმ მიზნით, რომ ზემოქმედება მოახდინოს საპროცენტო განაკვეთის შემცირებაზე და წაახალისოს კერძო საინვესტიციო მოთხოვნის ზრდა განაპირობებს წარმოების რეალური მოცულობისა და რეალური

შემოსავლების ზრდას, ეს უკანასკნელი ფულზე დამატებით მოთხოვნას წარმოშობს. საბოლოოდ, ფულზე მოთხოვნის ზრდა ფულის მიწოდების უცვლელობისას, იწვევს საპროცენტო განაკვეთის ზრდას და კერძო საინვესტიციო აქტივების თანდათანობით შემცირებას. ამის შემდეგ ცენტრალურ ბანკს, რა თქმა უნდა, შეუძლია გააგრძელოს აღნიშნული პოლიტიკა, ანუ ფულის მიწოდების ზრდა (იაფი ფულის პოლიტიკა) საპროცენტო განაკვეთების შემცირებისა და კერძო საინვესტიციო მოთხოვნის წახალისების მიზნით, რომლის შედეგად მოვლენები ზემოთ აღწერილი სცენარით განმეორდება. თუმცა, ამ პოლიტიკას თავისი შეზღუდვები გააჩნია. საქმე ისაა, რომ წარმოების მოცულობის შემდგომი ზრდის კვალობაზე ზღვრული ხარჯების ზრდისა და კლებადი უკუგების კანონის მოქმედების გამო, ეკონომიკაში ინვესტიციების რენტაბელობის დონე სულ უფრო მცირდება, სულ უფრო იზღუდება დანაზოგების მომგებიანად გამოყენების სფეროები ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის დონის უცვლელობის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, კერძო სექტორში ინვესტიციების მუდმივად წახალისება იაფი მონეტარული პოლიტიკით, შესაძლებელია მოთხოვნის ინფლაციაში გადაიზარდოს. ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზიანური მონეტარული პოლიტიკა ძირითად ინსტრუმენტად იქცა, მან პრაქტიკაში ფართოდ დანერგვიდან დაახლოებით 25-30 წლის შემდეგ თავისი ინფლაციური ხასიათი გამოივლინა. ეს კი გამოწვეული იყო შემდგვი მიზეზით: ცნობილია, რომ იაფი ფულის პოლიტიკის შედეგად მცირდება ნომინალური საპროცენტო განაკვეთი ფულის ბაზარზე, რაც ასტიმულირებს კერძო საინვესტიციო მოთხოვნას. საბოლოოდ, ინვესტიციების გადიდება უზრუნველყოფს წარმოების რეალური მოცულობის ზრდას, რაც ფულზე დამატებით მოთხოვნად გარდაიქმნება და წონასწორული საპროცენტო განაკვეთი უბრუნდება ადრინდედ დონეს. უდავოა, რომ მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის განხორციელებული მონეტარული პოლიტიკა უზრუნველყოფს კერძო საინვესტიციო ხარჯების ზრდას. ეს უკანასკნელი კი ნამდვილად ავლენს გარევეულ ელასტიკურობას საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ.

საქმე ისაა, რომ იაფი მონეტარული პოლიტიკის შედეგად ინვესტიციების სტიმულირების ეფექტი თანდათანობით მცირდება, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინვესტიციები სულ უფრო ნაკლებად ელასტიკური ხდება საპროცენტო განაკვეთის მიმართ. ეკონომიკაში ფულადი მასის ზრდა, მართალია, იწვევს (თუმცა, სულ უფრო ნაკლებად შედეგიანად) საპროცენტო განაკვეთის შემცირებას, ინვესტიციებისა და წარმოების მოცულობის ზრდას, მაგრამ ამის მიღწევის მცდელობა სულ უფრო აჩქარებს ინფლაციას. მოკლევადიანი მონეტარული რეგულირება გულისხმობს რეალური ფულადი მარაგების მიწოდების ზრდას, რასაც, ცხადია, მოკლევება ფულის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის შემცირება. დაბალი საპროცენტო განაკვეთი ასტიმულირებს კერძო საინვესტიციო ხარჯებს, რაც განაპირობებს წარმოების რეალური მოცულობისა და რეალური შემოსავლების ზრდას. ეს უკანასკნელი გარდაისახება ფულზე დამატებით მოთხოვნად, რაც საპროცენტო განაკვეთს ზრდისებულ უბრუნდებს. მაშასადამე, კეინზიანური მონეტარული პოლიტიკის გრძელვადიანი ეფექტით, საპროცენტო განაკვეთი ადრე არსებულ სიდიდეს უბრუნდება. თუ ცენტრალური ბანკი გააგრძელებს მასტიმულირებელ მონეტარულ პოლიტიკას და გაზრდის ფულის მიწოდებას, ის მოკლევადიან პერიოდში შეძლებს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას, თუმცა რეალური შემოსავლების ზრდის კვალობაზე საპროცენტო განაკვეთი საბოლოოდ მაინც დაუბრუნდება ადრე არსებულ წონასწორულ დონეს და რეალური ფულადი მარაგების ზრდა თანდათანობით დაკარგავს ელასტი-

კურობას საპროცენტო განაკვეთის მიმართ. ამრიგად, გრძელვადიანი პერიოდისათვის როგორც არ უნდა გაზარდოს ცენტრალურ ბანკმა ფულის მიწოდება, ის მხოლოდ დააჩქარებს ინფლაციურ პროცესებს, რადგანაც რეალურ ფულად მარაგზე მოთხოვნა სულ უფრო ნაკლებად ელასტიკური ხდება საპროცენტო განაკვეთის მიმართ, ეკონომიკური სუბიექტები კი ინფლაციის აჩქარების შემთხვევაში მჯობიერებენ ფულადი შემოსავლების არა დაზოგვას, არამედ ხარჯვას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ინფლაციას. შედეგად, დანაზოგები და ფულზე მოთხოვნა მკვეთრად კლებულობს. გამოდის, რომ ცენტრალური ბანკი რაც უფრო დაუინგბით ცდილობს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას კერძო ინვესტიციების წახალისების მიზნით, მით უფრო ნაკლებ შედეგს აღწევს. უფრო მეტიც, ის ინფლაციის აჩქარების პროცენტებას ახდენს.

ერთი სიტყვით, მონეტარული რეგულირების კეინზიანური მიდგომის ფართოდ გამოყენების შემთხვევაში თავი იჩინა ინფლაციის აჩქარების პრობლემაში. საბოლოოდ, დღის წესრიგში დადგა ეკონომიკის ხანგრძლივი არაინფლაციური განვითარების უზრუნველყოფი პირობების შექმნის აუცილებლობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარებს, რომ ფულის ბაზარი ორი რეჟიმით ფუნქციონირებს. პირველია მონეტარული პოლიტიკის მოქლევადიანი რევენტი, რომელსაც ზემოთ გავეცანით. გრძელვადიანი წონასწორობის შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი ნეიტრალური ხდება ფულის მიწოდების დინამიკის მიმართ.

ფულის ბაზარზე გრძელვადიანი წონასწორობის პირობას შემდეგნაირად გამოსახავენ:

$$M = Y + \pi^E,$$

სადაც  $M$  გვიჩვენებს ფულის მიწოდების ზრდის გრძელვადიან ტემპს,  $Y$ -რეალური მშპ-ს ზრდის გრძელვადიან ტემპს, ხოლო  $\pi^E$ - მოსალოდნელი ინფლაციის ტემპს (სახელმწიფოს მიერ ფასების ზრდის კონტროლირებად ტემპს) [5, 388].

აღნიშნულ განტოლებას მონეტარისტული, ანუ ფრიდმანის განტოლება ეწოდება. მონეტარისტები თვლიან, რომ ფულის ბაზრის გრძელვადიანი წონასწორობის პირობა გამოიხატება ძირითადი ფულადი კანონის დაცვაში, რომლის შესაბამისად მყარდება ფულის მიწოდებისა და წარმოების რეალური მოცულობის ზრდის გრძელვადიან ტემპებს შორის კავშირი.

გრძელვადიანი მონეტარული პოლიტიკის მიზანია ინფლაციის სტაბილიზაცია და მისი ისეთ პროცესად გარდაქმნა, როცა ის მთლიანად ექვემდებარება ზესტრი პროგნოზირებას. როგორც მონეტარისტები თვლიან, ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკური კონიუნქტურის ცვლილებების გრძელვადიან ტენდენციაზე, კველაზე უკეთ უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის ოპტიმალური ტემპების შენარჩუნებას.

ცხადია, კველა ქვეყანა მიისწავლის სწრაფი ეკონომიკური ზრდის, სრული დასაქმებისა და ფასების სტაბილურობისაკენ. ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: რას ნიშნავს ფასების სტაბილურობა? როგორია ფასების კველაზე სასურველი გრძელვადიანი ტენდენცია? ეკონომისტები მიუთითებენ შედარებით დაბალი და სტაბილური ინფლაციის უპირატესობაზე. სტაბილური ინფლაცია, რომლის წლიური მაჩვნებელი დაახლოებით 3%-ია [Blanchard O., 2007. 54], შეიმჩნეოდა აშშ-ში თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, კერძოდ, მე-2 მსოფლიო ომიდან დღემდე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გასული საუკუნის 70-იანი წლების სტაგფლაციისა და 2008 წლიდან დაწყებულ თანამედროვე გლობალური ეკონომიკური კრიზისის პერიოდებს.

ადსანიშნავია, რომ ეკონომისტთა ნაწილის აზრით, მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ გაცილებით წინ უნდა გადადგას ნაბიჯი და უზრუნველყოს ფასე-

ბის აბსოლუტური სტაბილურობა, ანუ ნულოვანი ინფლაცია. სტენფორდის უნივერსიტეტის ეკონომისტი რობერტ პოლი და ფედერალური სარეზერვო სისტემის ყოფილი მმართველი ლიკ პოსინის ხაზს უსვამენ ფასების წინასწარი განჭვრების, ანუ ზუსტი პროგნოზირების მნიშვნელობას, რათა ადამიანებმა უკეთ შეძლონ თავიანთი გადაწყვეტილებების მიღება ინვესტიციებთან მიმართებაში. კანონპროექტი, რომელიც გაერთიანებული ეკონომიკური კომიტეტის თავმჯდომარის, კონი მაკის მიერ იქნა წარდგენილი აშშ კონგრესის წინაშე, ფაქტობრივად წარმოადგენდა მოწოდებას ფედერალური სარეზერვო სისტემის მიმართ ფასების სტაბილურობის მისაღწევად, რადგანაც „სტაბილური ფასები უზრუნველყოფს მწარმოებლურობის, რეალური შემოსავლების, ცხოვრების ხარისხის, დასაქმებისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის მაქსიმალურად შესაძლო დონეებს“ [ 2000. 523].

თუმცა, მაკროეკონომისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი სხვა აზრისაა. ისინი მიუთითებენ იმაზე, რომ ნულოვანი ინფლაციის მიღწევას აზრი აქვს მხოლოდ იდეალური ეკონომიკის პირობებში. თანამედროვე ეკონომიკური ცხოვრება კი ნამდვილად არ გამოირჩევა სტაბილურობით. ამ ეკონომისტთა აზრით, ასეთი არასტაბილურობის ფაქტორია მომუშავეთა ბრძოლა თავიანთი ნომინალური ხელფასის შემცირების წინააღმდეგ. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ხელფასის საშუალო დონის სტაბილურობა, ალბათ, საჭირო გახდებოდა მომუშავეთა ერთი კატეგორიისათვის ხელფასის მომატება და სხვებისთვის – შემცირება. მაგრამ, არცერთი კომპანია და მომუშავე კატეგორიულად არ დაეთანხმება საკუთარი ხელფასის შემცირებას.

მაკროეკონომიკის კანონების თანახმად, სტაბილური ფასები და ხელფასები უზრუნველყოფს უმუშევრობის უფრო მეტ მდგრად დონეს და გამოშვების მოცულობის შემცირებას, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ინფლაციის ზრდის ტემპი საშუალოდ დაახლოებით 2-4%. გამოკვლევებით დასტურდება, რომ სტაბილური ფასების მიღწევა აშშ-ს გამოშვებისა და დასაქმების დონის 1-3%-იან პერმანენტულ შემცირებად უჯდება ინფლაციის 3%-იან ზრდასთან შედარებით. გამოკვლევების ავტორები (ჯორჯ აკერლოფი, უილიამ დიკენსი, ჯორჯ პერი) ამტკიცებენ, რომ „ხელფასის შემცირების ტენდენცია ზოგიერთი კომპანიის შესაძლებლობას წინ ეღობება დაარეგულიროს რეალური ხელფასი, რასაც მივყართ დასაქმების არაეფექტურის შემცირებასთან. მთავარი შედეგი, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს იმ პირებმა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებებში, არის ის, რომ ნულოვანი ინფლაციისადმი სწრაფვა გამოიწვევს რესურსების არაეფექტურის განაწილებას, რაც გამოიხატება უმუშევრობის მდგრად დონეში, რომელიც შეიძლება დაუსაბუთებლად მაღალი იყოს“.

ამრიგად, მოუხედავად იმისა, რომ ეკონომისტები ვერ თანხმდებიან ინფლაციის ოპტიმალური ტემპის სიდიდეზე, ისინი სოლიდარული არიან იმაში, რომ ფასების პროგნოზირებადი და ზომიერი ზრდა ველაზე სასურველია ჯანსაღი ეკონომიკური ზრდისათვის.

ბოლო აბზაცი ნაკარნახევია თანამედროვე მონეტარისტების იდეოლოგით, რომლის მოედი ფილოსოფია ფასების გრძელვადიანი სტაბილურობის პირობებთან დაკავშირებით ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მ. ფრიდმანის მონეტარისტული წესით გამოისახება. მაშასადამე, იმისათვის, რომ ფასები იყოს სტაბილური (რაც არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ნულოვან ინფლაციას), ცენტრალურმა ბანკმა უნდა შეარჩიოს ფულის მიწოდების ისეთი საშუალო წლიური ზრდის ტემპი, რომელიც უზრუნველყოფს ზომიერი, ვთქვათ, 2-4%-იანი წლიური ინფლაციის ტემპის შენარჩუნებას. სწორედ ამ წესით ცდი-

ლობენ მონეტარისტები დაძლიონ კეინზიანური მონეტარული რეგულირების ინფლაციური ხასიათი.

არის თუ არა სინამდვილეში ეს შესაძლებელი მონეტარისტული (მ. ფრიდმანის) განტოლებით?

ამ კითხვაზე საპასუხოდ განვიხილოთ, თუ რა შედეგებამდე მიგვიყვანს ფრიდმანის განტოლება გრძელვადიანი პერიოდისათვის. ვთქვათ, ინფლაციის მიზნობრივი ტემპი მაქსიმუმ 4%-ია, ხოლო წარმოების რეალური მოცულობის საშუალო წლიური ზრდის ტემპი, რომელიც განპირობებულია ახალი ტექნოლოგიებითა და წარმოების ფაქტორებით - 3%. მაშინ, ცენტრალურ ბანკს ისდა დარჩენია, გრძელვადიანი პერიოდისათვის უზრუნველყოს ფულის მიწოდების მაქსიმუმ 7%-იანი საშუალო წლიური ზრდა. ასეთ შემთხვევაში შენარჩუნდება ინფლაციის ტემპზე კონტროლი. მაგრამ, თუ პრაქტიკაში ზუსტად მონეტარისტული წესით ხდება ფულის ბაზრის გრძელვადიანი რეგულირება, მაშინ, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკა გარდაუგალი კრიზისის წინაშე დადგება, რაც ფიზიკურ ეკონომიკასთან შედარებით ფულადი მასის სულ უფრო აჩქარებული ზრდით იქნება განპირობებული. დროთა განმავლობაში, ეკონომიკაში სულ უფრო მეტად მოიყრის თავს დაუსაქონდებელი ფული, საიდანაც ინფლაციური აფეთქების გარდა სხვა გამოსავალი არ არსებობს.

თუ წარმოების რეალური მოცულობა, მაქსიმუმ, 3%-ით მატულობს ყოველწლიურად, რაც ზუსტად ასახავს განვითარებული ქვეყნების სინამდვილეს, მაშინ, დაახლოებით 23-24 წელიწადში მოხდება ამ მაჩვენებლის გაორმაგება. ახლა განვიხილოთ ფულადი მასის - M -ის ზრდა. მისი საშუალოდ ყოველწლიური 7%-იანი ზრდა უზრუნველყოფს მის გაორმაგებას დაახლოებით 10 წლიწადში, ხოლო 23-24 წლის შემდეგ, როდესაც წარმოების რეალური მოცულობა ორმაგდება, ფულადი მასა დაახლოებით 4,4-ჯერ გაიზრდება, ხოლო 50 წლის შემდეგ მისი ზრდის მაჩვენებელი წარმოების რეალური მოცულობის ზრდის მაჩვენებელს თითქმის 7-ჯერ გადააჭარბებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქათ, ფულადი მასის ზრდა ექსპონენციალურად გაუსწრებს წარმოების რეალური მოცულობის ზრდას, ანუ ფრიდმანის განტოლება ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის არაინფლაციურ განვითარებას ხანგრძლივი პერიოდისათვის. ამის შედეგად ეკონომიკაში თავს მოიყრის დაუსაქონდებელი ფულის სულ უფრო მზარდი მასა, რამაც შეუძლებელია არ გამოიწვიოს მძლავრი ეკონომიკური კრიზისი [წიქობავა მ., 2010. 125].

## დასკვნა

ვფიქრობთ, ეს ჩვენი მცირედი შენიშვნა მონეტარისტულ განტოლებასთან მიმართებით, ნამდვილად არ არის საფუძველს მოკლებული. მართლაც, ანალიტიკოსთა შეფასებით, თანამედროვე გლობალური ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთ მიზეზად აშშ-ის დოლარის ჭარბი ემისია სახელდება, რასაც, როგორც დავრწმუნდით, ნამდვილად შეიძლება პქნონდეს აღგილი მონეტარული რეგულირების ფრიდმანისეული კონცეფციის პრაქტიკულად განხორციელების შემთხვევაში. საბოლოოდ, მიგვაჩნია, რომ მონეტარისტული წესის საფუძველზე გრძელვადიანი მონეტარული რეგულირება ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის არაინფლაციურ განვითარებას უფრო მეტიც, თანამედროვე გლობალურ კრიზისში სწორედ ამ იდეოლოგიას მიუძღვის, როგორც იტყვიან, დომის წილი.

The third factor that contributes to the strengthening of the "green" economy position is the high level of scientific and technological "green" production, which provides a rapid transition to a new (sixth) technological process. It is increasingly defines the competitiveness of national economies nowadays.

Significant investments and the rapid growth of the green economy have generated serious expectations of its strong development in the coming decades among a considerable part of analysts and political circles. It is evidenced by numerous reports and forecasts (including UN specialized organizations) prepared with the participation of international experts, management bodies and research institutions [16].

As the main scenario, experts are considering the option of transforming the European economy by 2050 into a low-carbon, resource-efficient economy, and as the main mechanism for implementing this scenario, the annual investment for 2012-2050 is about \$ 1.3 trillion in ten key sectors. These include agriculture, forestry, water management, fisheries, housing and utilities, energy, industry, tourism, transport, waste management and recycling. In the first four sectors, the development of which most depends on the availability of natural capital and weather and climatic risks, it is recommended to send a quarter of these green investments (\$ 325 million, or 0.5% of world GDP).

It is planned to attract funds necessary for investments provided that a well-considered state policy is implemented and innovative financing mechanisms, including greenhouse gas emission trading and microfinance, are used. It is expected that implementation of this scenario will provide for 5-10 years higher annual growth rates than investments in normal development, in the absence of negative consequences for the environment. It is expected that the ratio of emissions to the ecological capacity of the environment (the so-called ecological footprint or imprint), which is today 1.5, will have decreased to 1.2 until 2050, significantly approaching the first level consistent with sustainable development, whereas it can exceed 2. In addition, due to a significant increase in energy efficiency as a return from "green" investments, the world economy's energy demand is projected to decline by 40% by 2050 compared to the inertial development scenario (i.e., while maintaining the amount of energy consumption at the level of 2011) and a reduction in greenhouse gas emissions compared to their current level of one third.

### Conclusions and perspectives of further scientific developments

However, despite the fact that the scenario of the "green economy" is definitely progressive and positive for the world socio-economic development, reducing its environmental and climate risks, there are factors and conditions in the world that can affect the performance of projected global transformations. In particular, such as the uneven economic development, the ambiguity of supporting the "green economy" by key actors of the international community - national states and corporate supranational entities; insufficient development of reforms to stimulate public investment and development costs for green industries.

Thus, the consideration of the main trends and factors of the "green economy" development in the countries of the European Union allows identifying significant structural changes in the system-based sectors of the economy such as energy, construction, agriculture, etc. As a result, the production unit is updated, the energy efficiency of production is increased, and the transition to alternative energy sources and the reduction of greenhouse gas emissions. In addition, the "green" infrastructure development enhances the economic development of both supply and demand, while expanding employment and helping to reduce unemployment.

### References

1. S. Byla, Syrokhman D. The European Union: Fundamentals of Sustainable Development. Foreign policy and diplomacy: trends, traditions, experience. Issue 22, Vol. 3. 2015. pp. 114-121 URL: file:///C:/Users/Dell/Downloads/Nvdau\_2015\_22(3)\_14.pdf
2. European Commission on Prospects Development: Europe 2020 [Electronic resource]. - Access mode: [http://ec.europa.eu/europe2020/tools/monitoring/annual\\_growth\\_survey\\_2011/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/europe2020/tools/monitoring/annual_growth_survey_2011/index_en.htm)
3. Europe 2020 targets [Electronic resource]. - Access mode: [http://ec.europa.eu/atoz\\_en.htm](http://ec.europa.eu/atoz_en.htm)
4. The 5 targets for the EU in 2020 [Electronic resource]. - Access mode: [http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/europe\\_2020\\_indicators/headline\\_indicators](http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/europe_2020_indicators/headline_indicators).
5. Pearce D. Blueprint for a green economy / David Pearce, Anil Markandya, Edward Barbier. – London : Earthscan Publications ltd, 1989. – 193 p.
6. Pearce D. Blueprint 2: Greening the world economy / David Pearce. – London : Earth scan Publications ltd, 1990. – 232 p.
7. Pearce D. Blueprint 3: Measuring Sustainable Development / David Pearce. – London : Taylor & Francis Inc.,1994. – 224 p.
8. Allen C. A guidebook to the Green Economy. Issue 1: Green Economy, Green Growth and Low-Carbon Development – history, definitions and a guide to recent publications Division for Sustainable Development / Cameron Allen, Stuart Clouth. – New York : UNDESA, Division for Sustainable Development. – 2012. – 65 .
9. Agenda 21. Report of the United Nations Conference on Environment and Development Rio de Janeiro, 3 – 14 June. [Document A/CONF.151/26/REV.1(VOL.I)]. – New York : United Nations, 1992. – 492 p.
10. Framework convention on climate change. DOC A/ AC.237/18. – New York : United Nations, 1992. – 33 p.
11. Rø pke I. Trends in the development of ecological economics from the late 1980s to the early 2000s. / I. Rø pke // Ecological Economics. – 2005. – 55 (2). – P. 262 – 290.

12. Commonwealth Secretariat (2014), Transitioning to a Green Economy: Political Economy of Approaches in Small States, Commonwealth Secretariat, London. DOI: 10.14217/9781848599178-en
13. Rossi Vanessa The EU Economy to 2020: Coping with Divergence and Debt / Vanessa Rossi // Global Governance and the Role of the EU. – 2011. – 224 .
14. UNEP (2011), «Towards a Green Economy: Pathways to Sustainable Development and Poverty Eradication», [Online], available at: <http://www.unep.org/greenconomy>.
15. B. Porfiriev, “Green Economy”: Realities, Prospects and Limits to Growth / Boris Porfiriev [Electronic resource]. - Access mode: <http://carnegie.ru/2013/04/04/ru-pub-51414>
16. Ye. Khlobists, V. Trofimchuk, A. Chechel. Sustainable development and local ecological policy: international experience for Ukraine [Electronic resource]. - Access mode: [https://mindjournal.wseh.pl/sites/default/files/article/03-18/ustoychivoe\\_razvitiye\\_i\\_lokalnye\\_ekologicheskie\\_politiki\\_opyt\\_dlya\\_ukrainy\\_na\\_primere\\_obrashcheniya\\_s\\_othodami.pdf](https://mindjournal.wseh.pl/sites/default/files/article/03-18/ustoychivoe_razvitiye_i_lokalnye_ekologicheskie_politiki_opyt_dlya_ukrainy_na_primere_obrashcheniya_s_othodami.pdf)

დენის ტარასეგნევ  
გეონომიკის კანდიდატი, დოცენტი;  
ანდრე ჩეხელაძე  
გეონომიკის დოქტორი

ევროპავშირის კვეყნების “მწვანე ეკონომიკის” განვითარების  
ფინანსები და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

#### რეზიუმე

სტატიაში განხილულია ევროპავშირის ქვეყნებში “მწვანე ეკონომიკის” მიზანთადი ტენდენციები და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნება როგორც სასარგებლო გამოცდილება უკრაინის მდგრადი განვითარების გზაზე, რაც საშუალებას იძლევა ვისაუბროთ ეკონომიკის სისტემაშექმნელ სექტორებში მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებზე. ასევე, დამტკიცებულია, რომ “მწვანე” ინფრასტრუქტურის განვითარება უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების აქტივიზაციას მოთხოვნა-მიწოდების მიხედვით. ამავე დროს ზრდის დასაქმებას და ამცირებს უმცურვლეს უმცურვლეს.

**მურმან კვარაცხელია**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოცების სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თეჯ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსიტიტუტის  
უფროსი მეცნიერ-მუშავი

**მსოფლიო ინოვაციური პოლიტიკა და საქართველო**

**რეზიუმე.** მსოფლიოში გლობალური გარდაქმნები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინოვაციური პროცესების სწრაფი ტექნიკური განვითარებაზე. საქართველოში მოქმედი ინოვაციური პოლიტიკა პირდაპირ დაკავშირდებულია საერთაშორისო ტენდენციებთან. ინოვაცია უშუალოდ ეხება ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა: ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტების შექმნა, მისი მარკეტინგული უზრუნველყოფა, ინვესტიციების მოზიდვა, ღირებული ინტელექტუალური საქართველოში შექმნა და სხვა.

თანამედროვე პირობებში სწორედ იაპონია გვევლინება ინოვაციის თვალსაზრისით ერთ-ერთ დაწინაურებულ ქვეყანად. აქ შეიქმნა სრულიად ახლებული ძირის ინდუსტრიული მართვის თეორიები, რომელიც საფუძვლად უდევს ახალი ტექნოლოგიების შედებივად განახლების პროცესი. იაპონიის გამოცდილება განვითარებადი ქვეყნებისათვის შეიძლება ზოგად ორიენტირადაც გამოდგეხს, რაც გასათვალისწინებელი ის.

ინოვაციის დონე მეტად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. მისი დონის გაზომვა ინოვაციის ინდექსით ხდება, რომელსაც გააჩნია მრავალი კომპონენტი. ამ მხრივ, მსოფლიოში პირველი ხუთეული ასე გამოიყერება: შეიცარია, შვედეთი, არაბთა გაერთიანებული სამყოო, ამერიკის შეერთებული შტატები და ფინეთი. საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა, 64-ე ადგილზეა 128 სახელმწიფოთა შორის, რაც დადგებით მოქმედად უნდა ჩაითვალოს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ამ მხრივ ბევრი გამოწვევის წინაშე დგას. ეს, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება გრძელვადიან პერიოდში ინოვაციურ განვითარებაში, აღამიანურ ქაპიტალში, კვლევაში, ცოდნასა და ტექნოლოგიებში.

საქართველო, როგორც მსოფლიო ეკონომიკის ნაწილი, ქმნის ახალ სტრატეგიებს, რომელიც უკრძალა ახალ ინოვაციურ სისტემას. სწორედ ეს განაპირობებს გლობალიზაციის პროცესს არსებით სტრუქტურულ გარდაქმნებს ინოვაციური კონკურენციის განვითარებისათვის.

ქვეყანაში უკვე ჩანს გამოყენებითი კონტრეგბი მომავლის ინოვაციების კუთხით, რომელიც კველაზე დიდ გავლენას ინტელექტუალური კაპიტალის ხარისხზე მოახდენს. ამასთან სწრაფი ტექნიკური გთავარდება ბიოტექნოლოგიური დარგები, ავტონომურია, კომუნიკაციების მარტივი მოდელები, უნივერსიტეტების მიღების აღმატება ტერნატიული წეართვები, მედიცინის თანამდებობები დარგები, ხანობების მიღების და ა.შ.

ინოვაციების ასეთი რევოლუციური ნახტომი კონკურენტული უპირატესობის თეორიის პროცესითაც არის ნაკარნახვი. ეს კი მსოფლიო ბაზარზე ინოვაციების დანერგვითა განპირობებული. საქართველოსთვის მსოფლიო ბაზარზე მაღალი კონკურენტულიანობის მომენტის პერსპექტივა ინტელექტუალური კაპიტალის განვითარებითაა შესაძლებელი, რომელიც უახლოეს პერსპექტივაში ქვეყნის პროგრესის ერთ-ერთ მათმარაცებულ ძალად იქცევა.

**საქანძო სიტყვები:** ახალი ტექნოლოგიები, ინოვაცია, ინოვაციური მენეჯმენტი, ინოვაციის ინდუსტრია, ბიზნეს გარემო, მომავლის ინოვაციები, ნანოტექნოლოგიები.

### შესავალი

საქართველოს, როგორც განვითარებად ქვეყანას, ეკონომიკის დაწერებული ზრდის ტემპი სჭირდება. ეს შეუძლებელია მცირე რესურსების პირობებში. თუმცა უამრავმა ჩატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმამ გაცილებით მეტი პრობლემა წარმოშვა. საბაზრო ეკონომიკის მსოფლიო ისტორიული გამოცდილებისა და ინსტიტუციური რეფორმების გათვალისწინება წინაპირობაა ეკონომიკის წინსვლისა და პროგრესისათვის, მაგრამ მასთან ერთად აუცილებელია ინოვაციური პროცესების გაძლიერებაც. ეს კი მოითხოვს ქვეყნის სტრატეგიული განვითარების მეცნიერებულად დასაბუთებული პროგრამების შედეგნასა და ინოვაციური მიღწევების დანერგვის სანგრძლივოქმედი სტრატეგიის შემუშავებას. ყოველივე ეს ხელშემწყობი ფაქტორი გახდება წარმატებული ეკონომიკური რეფორმების გატარებისათვის, რაც ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისადმი ახლებურ მიღგომას მოითხოვს წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

\* \* \*

ინოვაცია, ზოგადად, ფართო და მრავალმხრივი დატვირთვის მქონე კატეგორია, რომელიც დაკავშირებულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტასთან, როგორიცაა: ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტის შექმნა, მისი სრულყოფილი მარკეტინგული უზრუნველყოფა, ინვესტიციების მოზიდვა, დირებული ინტელექტუალური საკუთრების შექმნა, უახლესი ტექნოლოგიების შესყიდვა და სხვა. ამასთან, ინოვაციური პროდუქტის შექმნას ყოველთვის წინ უსწრებს ახალი იდეების გენერირება, რომელიც საზოგადოებრივი პროგრესის მასტიმულირებელი საშუალებადა. გარდა ამისა, ინოვაცია თავის თავში გულისხმობს ახალი შესაძლებლობების გამოვლენას ახალი ბაზრების საშუალებით გარკვეული სარგებლის მისაღებად, ანუ ეს არის პროცესი, რომელიც ახალ იდეებს გარდაქმნის ახალ ბიზნესმოვლებად და, საბოლოოდ, ახალ პროდუქტებად და ბრენდებად.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ინოვაციის ზოგად მახასიათებლებსაც. აქ საინტერესოა ერთი მოსახურება იმის შესახებ, რომ ინოვაცია მხოლოდ ტექნოლოგიებს არ უკავშირდება. ის არის აზროვნების ფორმა, რომელიც ბიზნესის ნებისმიერ ეტაზზე შეიძლება გამოვიყენოთ არსებული ტენდენციების ტრანსფორმაციისათვის. ტექნოლოგია თავისთვის ინოვაციის სამიზნეა, ამდენად მაღალ-ტექნოლოგიური კომპანიებისათვის უმთავრესი მიზანია ინოვაციურობის მაქსიმალურად გათვალისწინება განვითარების ამა თუ იმ ეტაზზე. თუმცა ინოვაციების მასტიმულირებელი როლიც მნიშვნელოვანია, რადგანაც „თუ შენ არ ვითარდები, არ აქთებ რაღაც განსხვავებულსა თუ უკეთესს, მაშინ კონკურენცია გაგაქრობს“[7]. აქედან, ცხადია, ინოვაცია ნიშნავს უწყვეტ გაუმჯობესებას, მაგრამ ამასთან, „რაღაცის კონკურენტებისაგან განსხვავებულად კეთებას“[7], ანუ ტექნოლოგიურ გარდვევებას, პრობლემების განსხვავებულ ხედვას. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ასევე ახალ-ახალი მოთხოვნების სწრაფად და მარტივად დაქმაყოფილება. თუმცა სიჩქარით უნდა დაინერგოს სიახლე ისე, რომ მისი შეთვისება შეძლოს მომხმარებელმა.

ნებისმიერ ინოვაციას უნდა გააჩნდეს ისეთი ტექნოლოგიური სიახლე, რომელიც გაზრდის შემოსავლის მიღების შესაძლებლობას. მასშტაბებით კი - შეიძლება პქონდეს როგორც გლობალური, ასევე ლოკალური მნიშვნელობა ამა თუ იმ ქვეყნისათვის.

სანამ უშეალოდ შევეხებოდეთ საქართველოს ინოვაციურ პოლიტიკასა და მის გამოწვევებს, გვიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება ამ სფეროში მსოფლიოს ერთ-ერთი დაწინაურებული ქვეყნის, იაპონიის, ინოვაციურ პოლიტიკურ სისტემაზე გავამახვილოთ ყურადღება.

იაპონია ერთ-ერთი განვითარებული ქვეყანაა. მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით მოსახლეობის ერთ სულ 48 ათასი აშშ დოლარით ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში (საქართველოს მაჩვენებელს ის აღემატება თითქმის 12-ჯერ)[4].

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ იაპონია არც ტერიტორიის სიდიდით (378 ათასი კვადრატული კმ) და არც მოსახლეობის რიცხოვნობით (126 მლნ. ადამიანი) არ გამოირჩევა სხვა ქვეყნებისაგან[12]. ასეთი წარმატების მთავარი მიზეზი კი, ჩვენი აზრით, ქვეყნის მიერ განხორციელებული პროგრესული ინოვაციური პოლიტიკაა. მსოფლიოში ბევრი მოწინავე ქვეყანა იაპონიურ ინოვაციურ მექანიზმებს ნერგავს და მისი იმპორტი ადგილობრივი მთავრობების მიერ ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტია ითვლება, რაც დადგით ტენდენციად შეიძლება ჩავთვალოთ. ამის შედეგად ეს ქვეყნები უფრო კონკურენტუარიანს ხდიან საჭუთარ წარმოებას, რაც, ასევე, მათი ეკონომიკური სიძლიერის მაჩვენებელია.

აქ ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ იაპონია საქართველოს მსგავსად მცირე რესურსების მქონე ქვეყანაა, მაგრამ მისი პრიორიტეტია მაღალხარისხიანი და კუნკურენტუარიანი პროდუქციის ექსპორტი.

უნდა აღინიშნოს, რომ იაპონია, როგორც ერთ-ერთი უდიდესი ეროვნული ეკონომიკის მქონე, მეოთხე ადგილზეა მსოფლიოში, როგორც ექსპორტიორი და იმავდორულად იმპორტიორი ქვეყანა[13]. ამასთან დიდი მიღწევები აქვთ მაღალი ტექნოლოგიების დარგში. უკვე შექმნილია სუბერკომპიუტერების ახალი სისტემა, რაც იძლევა შესაძლებლობას დიდი სიზუსტით მოხდეს სხვადასხვა ბუნებრივი პროცესებისა თუ მოვლენების პროგნოზირება. ასეთ წარმატებებს კი საფუძვლად უდევს იაპონიური მართვის თეორიები.

იაპონიური სახის გამოცდილება უნიკალურია მსოფლიოში. მათ გააჩნიათ საქუთარი პრიციპები, რომელთა არსი იმაშია, რომ უცხოურ ტექნოლოგიებს არა მარტო იყენებენ, არამედ განუწყვეტლივ აუმჯობესებენ. ამით ეუფლებიან ტექნოლოგიური ინიციატივას და საქუთარ სიახლესაც სთავაზობენ მსოფლიოს. ამასთან, სახელმწიფოს მიერ დაწესებული საგადასახადო შედაგათები სტიმულს აძლევს კორპორაციებსა და ფირმებს შექმნა ინოვაციური, ექსპორტზე ორიენტირებული მოწინავე ტექნოლოგიები და პროდუქცია, რომლებიც სახელმწიფოს კეთილდღეობის უცილობელ გარანტიას წარმოადგენს.

ინოვაციის სფეროში განვითრებული ქვეყნების, და, განსაკუთრებით, იაპონიის გამოცდილება, ჩვენი აზრით, განვითარებადი ქვეყნებისათვის შეიძლება ზოგად ორიენტირადაც გამოდგეს. ამ კუთხით საინეტერესოა, თუ რა მდგომარეობაა გლობალური ინოვაციის ინდექსის მხრივ საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნებში.

ცნობილია, რომ ცალკეულ ქვეყნებში არსებული ინოვაციების დონე ბოლო წლების განმავლობაში გლობალური ინოვაციის ინდექსით II იზომება. იგი შეიძლება კომპონენტისაგან შედგება[14]. ესენია:

ქვეყანაში არსებული შესაბამისი ინსტიტუტები, კერძოდ, პოლიტიკური გარემო, მარეგულირებელი გარემო, ბიზნეს გარემო;

ადამიანური კაპიტალი და სამეცნიერო კვლევები;

ინფრასტრუქტურის არსებობა, რომელშიც შედის ინფორმაციისა და კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიები და ეკოლოგიური მდგრადობა, ბაზრის განვითრების დონე, რაც მოიცავს კრედიტების ხელმისაწვდომობას, ინვესტიციების ჩადებას, ვაჭრობას, კონკურენციის არსებობას და ბაზრის მასშტაბებს;

ბიზნესის განვითრების დონე, რომელიც ფასდება დასაქმებულთა ცოდნით, ინფორმაციისთვის საჭირო კავშირებითა და ცოდნის მიღების შესაძლებლობებით; ცოდნა და ტექნოლოგიები, რომელთაც უდიდესი როლი ენიჭება ინოვაციების შექმნაში;

შემოქმედებითობა, სადაც მნიშვნელოვანია არამატერიალური აქტივების არსებობა, ახალი პროდუქტი და მომსახურება და სხვა.

გლობალური ინოვაციის ინდექსის მიხედვით მსოფლიოში ქვეყნები განსხვავებული რეიტინგით ხასიათდებიან. ინდექსის სიის სათავეში შვეიცარია დგას. შემდგა მოდის შვედეთი, არაბთა გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები, ფინეთი და ა.შ. რაც შეეხება საქართველოს, 2016 წლის მონაცემებით ქვეყანა გლობალური ინოვაციის ინდექსის რეიტინგში 64-ე ადგილს იკავებს 128 ქვეყანას შორის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელთან შედარებით საქართველოს რეიტინგი 9 პოზიციით გაუმჯობესდა (2015 წელს 73-ე ადგილიდან)[4].

საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. პარლამენტმა 2016 წლის 22 ივნისს მიიღო კანონი ინოვაციების შესახებ, რომლის მიზანია: 1. ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა და სრულყოფა; 2. ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა; 3. სხვადასხვა სახელმწიფოში შექმნილი ტექნოლოგიების საქართველოში აოვისების ხელშეწყობა; 4. საქართველოში შექმნილი ინტელექტუალური საპუთრებისა და ტექნოლოგიების დანერგვისა და ექსპორტის ხელშეწყობა; 5. მოწინავე ტექნოლოგიების მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შედწევა.

ამ ფუნქციების რეალიზაციისა და ინოვაციების მხარდასაჭერად საქართველოს მთავრობაში შექმნილია სათათბირო ორგანო კვლევებისა და ინოვაციების საბჭო.

აქცენტ გამომდინარე ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სუვერენული რეიტინგები. ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსით 189 ქვეყანას შორის 24-ე პოზიციაზე იმყოფება ქვეყანა. ამან ხელი შეუწყო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით 23-ე ადგილზე ყოფნას 178 ქვეყნებს შორის (ევროპაში კი მე-12 ადგილზე). ბიზნესის დაწყების პოზიციაზე კი მე-4 ადგილზე გადაინაცვლა. 2013 და 2015 წლების შედარებისას ირკვევა, რომ საქონლის საერთო ბრუნვა გაიზარდა 10,6%-დან 11,4%-მდე. პროდუქციის გამოშვება - 11,8%-დან 14,3%-მდე. დასაქმებულთა რაოდენობა კი - 28,7%-დან 31,5%-მდე. ხოლო ინვესტიციების მოცულობა - 2,9%-დან 10,5%-მდე [4].

ასეთი დადებითი ტენდენციები გამოიწვევილია ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნითა და მათი კონკურენტურიანობისა და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლებით. ეს ქმნის წინაპირობას ეკონომიკის ინკლუზიური და მდგრადი განვითარებისათვის. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ექსპერტების გათვლით 2020 წლისათვის ინოვაციების დანერგვის შედეგად ქვეყანაში გამოშვებული პროდუქციის საშუალო წლიური ზრდა იქნება 10%. ამ პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობა კი 15%-ით გაიზრდება, ხოლო მწარმოებლურობა - 7%-ით [18].

საქართველოს ჩამოთვლილი კომპონენტებიდან ძლიერი მხარეებიც გააჩნია. ესენია: ბიზნეს გარემო (რეიტინგით მეექვსე ადგილზე) და ბაზრის განვითარების დონე (მეშვიდე ადგილი). სუსტი მხარეებიდან უნდა აღინიშნოს განათლების დონე (რეიტინგით 115-ე ადგილი, რომელიც ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევაა ქვებისთვის, მიუხედავად საგანმანათლებლო დაწესებულებების სიმრავლისა, მისი ხარისხის მაჩვენებლები კრიტიკულად დაბალია). სამეცნიერო კვლევების განვითარება (მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ჩამოსცილდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და უნივერსიტეტებში ჯერჯერობით სამეცნიერო სფერო დაბალ რეიტინგულია, ხოლო რეიტინგით 103-ე ადგილზე). ერთ-ერთი სერიოზული

გამოწვევაა ინვესტიციები, ამ მხრივ, რეიტინგით ქვეყანა 86-ე ადგილზეა. ასევე კრიტიკულია დასაქმებულთა ცოდნის დონე, როთაც 91-ე ადგილზე გომულფებით[4].

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ წლების მიხედვით გლობალური ინოვაციის ინდექსის კომპონენტებს ზრდადი დინამიკის ტენდენცია ახასიათებს. თუმცა, მისი შედეგი მაინც დაბალია. ქვეყანას სტაბილურად მაღალი შედეგი აქვს ინსტიტუტების კომპონენტში, ხოლო ყველაზე დიდი მერყეობით ბაზრის განვითარების კომპონენტში გამოირჩევა.

საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის განვითარების შედეგად მცირე და საშუალო მეწარმეობაც გაიზრდება. ეს კი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე ამაღლებს SMS-ს კონკურენტუნარიანობას, რაც სამეწარმეო უნარების ამაღლებისა და მისი თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვის წინაპორობას ქმნის. ყოველივე ეს SME-ს მოდერნიზაციისა და ტექნოლოგიური დონის გაუმჯობესების ხელშემწყობი ფაქტორი ხდება. ასეთი მიზანმიზი მოითხოვს ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი სტრატეგიული მიმართულებების განვითარებას, როგორიცაა საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების სრულყოფა და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა; ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია და ინოვაციების კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა.

საერთო ტენდენციებიდან გამომდინარე, საქართველოს რეიტინგი წინა წლებით შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა, თუმცა ქვეყანა კვლავაც დიდი გამოწვევის წინაშე დგას. ეს ეხება გრძელვადიან პერიოდში ინოვაციურ განვითარებას, ადამიანურ კაპიტალსა და კვლევას, ცოდნასა და ტექნოლოგიებს.

მეტად საინტერესოა მომავლის ინოვაციები. ჩვენი აზრით, მნელია ზუსტად გათვალის მეცნიერებამ მომავალში, თუ რა სიახლეებს შემოვთავაზებს ადამიანის გონება, მაგრამ ნათელი კონტურები თვალნათლივ ჩანს. ეს ეხება მაღალი ტექნოლოგიების შედეგად წარმოქმნილ ახალ-ახალ დარგებს. ჩვენ შევხებოთ ზოგიერთ მათგანს.

ასე მაგალითად, თანამედროვე ბიოტექნოლოგიები ხელოვნური ხელების გამოყენებას ცდილობენ. არქიტექტურის დარგში უკვე შენდება ისეთი ცათამბჯენები, რომლებიც მისი ლერძის გარშემო იტრიალებს წამში ექვსი მეტრის სიჩქარით, რაც მოხდება შიგნით მყოფების მიერ შეუმჩნევლად. კომპიუტერულ ტექნოლოგიებში მოსალოდნებლი მიღწევები კაცობრიობას პპირდება, რომ უახლოეს რამდენიმე წელიწადში აუცილებელი ადარ იქნება კლავიატურისა და კომპიუტერის თაგვის გამოყენება, რადგან კომპიუტერის მართვა აზროვნების საშუალებით იქნება შესაძლებელი. ასევე, მეცნიერები არ გამორიცხავენ ტვინის იმპლანტების სწრაფად დანერგვის შესაძლებლობას.

ინოვაციის თვალსაზრისით, დიდი მიღწევებია მოსალოდნებლი ავტომატიზაციის დარგშიც. აქ ცალსახახი იყვნება ტენდენცია, რომ მომავლის საწვავი ელექტროენერგია იქნება. არის ვარაუდი, რომ 2030 წლისთვის მოსახლეობა მთლიანად გადავიდეს ელექტრომობილების მოხმარებაზე.

საინტერესოდ განვითარდება გარესამყაროსთან ურთიერთქმედების კომუნიკაციის მარტივი მოდელები. ამის საშუალებით საგანზე ერთი შეხედვით შესაძლებელი გახდება მასზე სრული და დეტალური ინფორმაციის მიღება. ეს ადამიანის აუცილებელი თანამგზავრი გახდება რამდენიმე წელიწადში.

უახლოესი პერიოდის განმავლობაში არსებითდ შეიცვლება ენერგიის მიღების წყაროები. ცნობილია, რომ მიწიდან მოპოვებული წიაღისეული ამოწურვადია, რაც მზის ენერგიის გამოყენების მნიშვნელობას კოლოსალურად ზრდის. ამის შეარსაფუძველს იძლევა მზის ენერგიის გაიაფება და მისი მოცულობის გაორმაგება ფიგელწლიურად, რაც დადასტურებულია ბოლო ათწლეულების განმავლობაში[15].

დიდი ძვრებია მოსალოდნელი მედიცინის დარგში. ამ სფეროს განვითარება უკეთადაზე დიდი გამოწვევების წინაშე დგას. შეიძლება ერთი მაგალითის მოყვანა. მსოფლიო მედიცინა დონორული ორგანოების პრობლემების გადაწყვეტას 3 - ბეჭდვით ცდილობს, რისი დასტურიცაა ჩატარებული ცდების დადებითი შედეგები. გარდა ამისა, მეცნიერები ნანოტექნოლოგიების დახმარებითა და გენომის რედაქტირებით რეკოლუციას მოახდენენ მედიცინაში. ამ მეთოდების გამოყენებით შესაძლებელს გახდიან შიზოფრენიისა და აუტიზმის განკურნებას გენეტიკურ დონეზე [16].

ასევე მეტად საინტერესოა ნანოტექნიკური მედიცინის ტექნოლოგიების სფეროს მომავალი. აქ უკვე გამოიკვეთა სამი მიმართულება: ნანობოჭკოს, ნანოგენერატორებისა და პიდროფობული. ამ ინვაციური პროდუქტების თვისებები იმდენად განსხვავდება თანამედროვე ანალოგიური პროდუქტისაგან, რომ მას შეიძლება ეწოდოს გადატრიალება ამ სფეროებში. ასე მაგალითად, ნანოგენერატორების დახმარებით მომრაობის დროს გამოიყოფა ენერგია, რომელიც ადამიანს პატარა ელექტროსადგურად აქცევს. რაც შეეხება პიდროფობულ ნანობოჭკოებს, იგი სიმშრალის შენარჩუნების უნიკალურ შესაძლებლობებს იძლევა წყლით დაფარულ სივრცეში [17].

ზემოთ აღნიშნულიდან ცხადია, რომ მსოფლიო ინვაციური პოლიტიკა პროგრესულად ცვალებადია. მისი მთავარი მამოძრავებელი ძალაა განვითარებული ქვეყნების მეცნიერული კვლევის მიღწევები. განვითარებად ქვეყნებს კი შეუძლიათ ამ გამოცდილების გაზიარება და პრაქტიკაში პრობლემებული მოდელების მორგება საკუთარ ეროვნულ ეკონომიკებზე. ამ მხრივ, ჩვენი აზრით, მისაბაძია იაპონიის გამოცდილება. ეს ეხება საქართველოსთვის ერთ-ერთ კულტურულ გამოწვევას - განათლების სისტემას. ჩვენმა ქვეყანაში სტორედ საკუთარი ინტელექტუალური კაპიტალის დახმარებით უნდა მოახდინოს ეროვნული ეკონომიკის განვითარება და მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვა.

მსოფლიო ინვაციური პოლიტიკიდან და განვითარებადი ქვეყნების მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საქართველოში ინვაციური სტრატეგიები ძრითადად სამი მიმართულებით უნდა განვითარდეს. ესენია „გადმოტანის პრინციპი“, „დასესხებისკე სტრატეგია“ და „გაძლიერების“ სტრატეგია.

### დასკვნა

გლობალიზაციის პროცესში ინვაცია ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. მისი მნიშვნელოვანი უპირატესობა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მოწინავე პოზიციების შენარჩუნებაა მსოფლიო ბაზარზე. ამისათვის საქართველოს, როგორც მცირე რესურსების ქონე ქვეყანას, სჭირდება ინვაციური ეკონომიკის განვითარება. ამისათვის საკუთარი გზების მიერა ეროვნული ინტელექტუალური კაპიტალის სტიმულირებასა და ხელშეწყობაზე გადის.

ინვაციური მიღწევების დანერგვა და მისი გამოყენება საკუთარი ტრადიციული დარგების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ქმნის, რაც სტიმულის მიმცემია ინვესტიციური კაპიტალის მოზიდვისათვის. მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა კი - მომავლის ინვაციების ხელშეწყობი ფაქტორი გახდება.

საქართველოში ინვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა სამი მიმართულებით შეიძლება განვითარდეს. ესაა „გადმოტანის“, „დასესხების“ და „გაძლიერების“ სტრატეგია.

ყოველივე ეს უნდა აისახოს სახელმწიფოს მიზნობრივ პროგრამებში, რომებიც რეალურად ხელს შეუწყობენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სტრაფ განვითარებასა და ცივილიზებულ სამყაროში ღირსეული ადგილის დაქვემდებარებაში.

### გამოყენებული დიტერატურა

1. აბესაძე რ., ბურდული ვ. 2014. „ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები“. თბილისი, (რუსულ ენაზე).
2. ჭითანავა ნ. 2018. „საქართველოს კონიმიკის გამოწვევები და სტრატეგია“. თბილისი.
3. ჩიქავა ლ. 2004. „ცოდნა როგორც სპეციფიკური საქონელი და მისი გადამწყვეტი როლი ინოვაციურ კონიმიკაში“. კრებულში: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები 4. თბილისი, გვ.5-25.
4. [WWW.Geostati.ge](http://WWW.Geostati.ge).
5. <http://forbes.ge/blog/221/globaluri-inovaciis-indeksi-da-saqarTvelo>
6. <http://b2p.ge/10-inovazia-romlebic-samyaros-amoatrialeben-2020-wlistvis/>
7. <https://businesshub.ge/ge/innovation/increase-rd/types-of-innovation>
8. <https://www.trendbook.ge/en/component/content/article/49-extra/12978-inovaciagvesmishvamisimishvneloba>
9. <http://ite-r.blogspot.com/2014/01/blog-post.html>
10. <http://forbes.ge/blog/221/globaluri-inovaciis-indeksi-da-saqarTvelo>
11. <https://www.businessaward.ge/ka/nomination/wlis-inovaciuri-biznesi>
12. [forbes.ge/news/](http://forbes.ge/news/)
13. [www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t](http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t).
14. [forbes.ge/blog/221/globaluri-inovaciis-indeksi-da-saqarTvelo](http://forbes.ge/blog/221/globaluri-inovaciis-indeksi-da-saqarTvelo).
15. <https://www.overclockers.ge/index.php?/>
16. <https://www.youtube.com/watch?v=GqeJrJ0Kv4k>.
17. [cheminanospace.blogspot.com/2017/10/blog-post\\_23.htm](http://cheminanospace.blogspot.com/2017/10/blog-post_23.htm).
18. <http://www.economists.ge/ka/activities/publications/#141-mtsire-da-sashualobiznesi-saqartveloshi>

**Murman Kvaratskhelia**

*Doctor of Economics, Professor of  
Sokumi State University,*

*I.e. Senior Scientific Worker of Paata Gugushvili Institute of Economic Sciences,  
Javakhishvili Tbilisi State University*

### WORLD INNOVATIVE POLICY AND GEORGIA

#### Expanded Summary

The global transformation in the world depends on the rapid development of innovative processes. The innovative policies in Georgia are directly related to international tendencies. Innovation is directly related to such important topics as: Create a new or improved product, its marketing provision, to attract investments, create valuable intellectual property and act.

In modern conditions, Japan is one of the prominent countries in terms of innovation. There was a new approach to Japanese management theories, which are based on the continuous updating of new technologies. Japan's experience can be a general orientation for developing countries, which should be taken into consideration.

The level of innovation is a very important indicator. Its level of measurement is made by innovation index, which has many components. In this respect, the first five in the world looks like this: Switzerland, Sweden, United Arab Emirates, United States and Finland. Georgia as a developing country, it is ranked 64th among 128 countries, which should be considered a positive moment, it should be noted that Georgia faces many challenges in this regard. This, first of all, is evident in innovative development in the long term, human capital, research,

knowledge and technology. Georgia as part of the world economy creates new strategies, which are based on a new innovative system. This is precisely what the structural changes in the globalization process are for developing the innovative economy. Existing contours in the country are seen in future innovations, which will have the greatest influence on the quality of intellectual capital. At the fast pace is developing biotechnological fields, auto model, simple models of communications, alternative sources of energy, modern medicine of medicine, nano-technologies, etc. Such a revolutionary leap of innovations is dictated by the progress of the competitive advantage theory. This is due to the innovation of the world market. Georgia's prospects of obtaining high competitiveness on the world market are possible to develop intellectual capital, which is one of the driving forces in the country's progress in the near future.

Georgia as a developing country needs an accelerated growth rate of economy. This cannot be done in a small resource. A lot of economic reforms have led to a lot of problems. Global historical experience of market economy and institutional reforms are a prerequisite for the advancement and progress of the economy, but it is necessary to strengthen the innovative processes. This requires the creation of scientifically grounded programs of the strategic development of the country and the elaborate strategy to implement innovative achievements. All this will be a contributing factor for successful economic reforms, which requires a new approach to the economic policy of the country in terms of successful socio-economic development.

Innovation is, in general, a wide and versatile category, which is related to solving such important issues as: Creating a new or improved product, providing its perfect marketing, attracting investments, creating valuable intellectual property, buying latest technologies and more.

Moreover, the creation of innovative product is always preceded by the creation of new ideas that can stimulate public progress. In addition, innovation in its chapter implies new opportunities to get some benefit from new markets, this is a process that transforms new ideas into new business models and, eventually, new products and brands.

You cannot even notice the general characteristics of innovation. One interesting point here is that the innovation is not only connected with technologies. It is a form of thinking that can be used at any stage of business for transformation of existing tendencies. Technology is itself an innovation target, and so for high-tech companies, the main goal is to maximize innovation at a certain stage of development. But the stimulating role of innovations is important, "If you do not grow up, do not do something different or better, then the competition will get rid of you" From this, it is obvious that innovation means continuous improvement, but "doing something different from competitors" Technological breakthrough, a different view of the problems. In this process, it is also important to quickly and easily meet new requirements. However, the speed should be introduced to the user so that it can be consumed by users.

Any innovation should have a technological innovation that will increase the possibility of revenue. Scale - can have both global and local value for a particular country.

As long as we have to interact with Georgia's innovative policies and challenges, I think we will not focus on the innovative political system of Japan, one of the prominent countries in the world.

Japan is one of the developed countries. GDP per capita is one of the highest in the world with 48 thousand US dollars (Georgia's index is more than 12 times!)

It is noteworthy that Japan is not the size of the territory (378 thousand sq.mm) and the number of population (126 mln) is not distinguished from other countries. The main reason for success is the country's progressive innovative policy. Many advanced countries in the world introduce Japanese innovative management and its import is considered one of the priorities of economic policy by local governments, which can be considered a positive trend. As a result, these countries become more competitive in their own production, as well as their economic strength. It should be noted that Japan, as one of the largest national economies, is the fourth in

the world as an exporter and simultaneously importing country. There are great achievements in the field of high technology. The new system of supercomputers has been created, which gives the opportunity to predict various natural processes or events. Such success is based on Japanese management theories.

This kind of Japanese experience is unique in the world. They have their own principles, the essence of which is to use foreign technologies not only to use but also to improve continuously. By doing this you are learning technological initiative and offer your own innovation to the world.

In addition, the tax advantages imposed by the state stimulate corporations and firms to develop innovative, export-oriented advanced technologies and products which are a guarantee of state welfare.

The experience of the developed countries in the field of innovation, and especially the Japanese, in our opinion, can be a general focus for developing countries. In this regard, it is interesting to know about the global innovation index in Georgia and in different countries.

It is known that the level of innovations in individual countries in recent years has been measured by the global innovation index GII. It consists of seven components. These are: Relevant institutes in the country, namely, political environment, regulatory environment, business environment; Human capital and scientific research;

The existence of infrastructure, which includes modern technologies and ecological sustainability, market development level, including access to credits, investing, trading, competition, and market scales; Business development level measured by the knowledge of the employee, the ability to get the information and knowledge necessary for information; Knowledge and Technologies, which play a major role in creating innovations;

Creativity, where important is the existence of intangible assets, new products and services. According to the Global Innovation Index, countries around the world are characterized by different rates. Switzerland is leading the index list. Then comes Sweden, United Arab Emirates, United States, Finland, etc. According to the data of 2016, Georgia ranked 64th in the Global Innovation Index ranking among 128 countries.

There are also strong sides from the listed components of Georgia. These are: business environment (ranked sixth) and market development level (seventh place). From the weaknesses, the level of education that is one of the serious challenges for the country, despite the abundance of educational institutions, its qualitative indicators are critically low.

Development of scientific research is one of the serious challenges for the country and the level of knowledge of the employee is critical.

From the above, it is clear that the world innovative policy is progressively changing. Its main driving force is the achievement of scientific research in developed countries. Developing countries can also share this experience and adjust the practiced models in their national economies. In this regard, in our opinion, the experience of Japanese experience. This is one of the most painful challenges for Georgia - education system. Our country must, with its own intellectual capital, should develop the national economy and engage in global integration processes.

Innovation in the process of globalization is characterized by an increasing tendency. Its significant advantage is to increase the competitiveness of the country and maintain the leading position on the world market. To this end, Georgia, as a small resource, needs to develop an innovative economy. For this, the search for their own ways is to stimulate and promote national intellectual capital. The introduction and innovation of innovative achievements creates the prerequisites for enhancing the competitiveness of their traditional sectors, which is a stimulus for attracting investment capital. To attract Introduction of high technologies will become a contributing factor for future innovations.

All this should be reflected in the target programs of the state that will support Georgia's rapid growth of economy and a decent place in the civilized world.

## სოცლის გეზრვეობა – AGRICULTURE

თენის ქავთარაძე  
ეკონომისტის დოქტორი

### გლასტონის უშემციონირების გამოცდილება აშშ სოცლის გეზრვეობაში და მისი განხობადება საჩართველოში

**რეზიუმე.** თანამდეროვე პრაქტიკაში ნაკლებად არის შესწავლილი რეგიონული კონკურენტუნარიანობის მექანიზმი და კლასტერების როლი. კლასტერების განხილვა უნდა მოხდეს სხვადასხვა კონკურენტულური მიღვომების მიხედვით: ინოვაციური პროცესი, სოციალური კაპიტალი, ეკონომიკური გეოგრაფია და სხვა.  
**საჯანმო სიტყვები:** ინოვაციური კლასტერი, რეგიონული კონკურენტუნარიანობა, კერტიკალური კოორდინირება, ინოვაციური მოდელი, მენეჯმენტი.

#### შესავალი

საინოვაციო საქმიანობა წარმოადგენს ქვეყნის განვითარების იმ პრიორიტეტულ მიმართულებას, რომლის წარმატებულმა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევა და ბაზრის შევსება საკუთარი წარმოების სხვადასხვა სახის კონკურენტუნარიანი პროდუქტით.

ბოლო ათი წლის განმავლობაში აშშ-ში განსაკუთრებით გაიზარდა კონკურენტუნარიანობის პრობლემის მიმართ ინტერესი, რაც ნაწილობრივ აისხება იმ გარემოებით, რომ ქვეყანამ უნდა გაითვალისწინოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ეფექტიანობის მზარდი სტანდარტები. პარადის ბიზნესის სტოლის პროცესორის მ. პორტერის აზრით, კონკურენტუნარიანობა განსაზღვრავს ცალკეული კომპანიების, ეკონომიკური დარგების, რეგიონების, ერების ან მეზობელი ქვეყნების ჯგუფების უნარს, მიაღწიონ შემოსავლების მიღებისა და დასაქმების მაღალ დონეს საერთაშორისო კონკურენციის პირობებში. ეს მიღები ხელსაყრელია რეგიონების, სახელმწიფოების ან ქვეყნების ჯგუფებისათვის იმ მიზეზით, რომ ის შეესაბამება აღნიშნული ერთეულების მთავარ მიზანს, კერძოდ, ცხოვრების დონის ამაღლების დანიშნულებას.

\* \* \*

რეგიონული კონკურენტუნარიანობის კვლევისას გადასაწყვეტია შემდეგი ამოცანები: გლობალიზაციის პროცესის მიზნების და მამოძრავებელი ძალების ანალიზი; კონკურენტუნარიანობის არსის განსაზღვრა ტერიტორიულ ერთეულებთან მიმართებაში; რეგიონალური კონკურენტუნარიანობის შესწავლის სხვადასხვა მეთოდებისა და მიღგომების გეოეკონომიკური ხედვა; კლასტერების კონცეფციის ოქროიული საფუძვლების შემუშავება და მათი როლი რეგიონულ კონკურენტუნარიანობაში.

რეგიონული კონკურენტუნარიანობა თავისი არსით არის ტერიტორიული ერთეულის კონკურენტუნარიანობა, რომელსაც აქვს განსაზღვრული პოლიტიკურ-ეკონომიკური საზღვრები და აფიქსირებს აღნიშნულის განსხვავებას სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურების კონკურენტუნარიანობასთან შედარებით. თანამედროვე პრაქტიკაში ნაკლებად არის შესწავლილი რეგიონული კონკურენტუნარიანობის მექანიზმი და კლასტერების როლი რეგიონულ კონკურენტუნარიანობაში. კლასტერების განხილვა უნდა მოხდეს სხვადასხვა კონკურენტუნარიანობაში.

ცეპტუალური მიდგომების მიხედვით: ინოვაციური პროცესი, სოციალური კაპიტალი და ეკონომიკური გეოგრაფია.

კლასტერის გეოგრაფიული მასშტაბები შეიძლება იცვლებოდეს ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის ან მეზობელი ქვეყნების მიხედვით. კლასტერი შეიძლება ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ფორმით. მზა პროდუქტების მწარმოებელი ან მომსახურეობით დაქავებული ფინანსური ინსტიტუტები და სხვა. კლასტერული პოლიტიკა, ჩვეულებრივ, ლიბერალური და დირიჟისტული მოდელების ჩარჩოში ხორციელდება. ამ ორ მოდელს შემდგენ პრინციპული თავისებურება ახასიათებს: ლიბერალური კლასტერული პოლიტიკა ითვალისწინებს ბაზრის ზემოქმედების ჩამოყალიბებული კლასტერების შექმნას, ხოლო დირიჟისტულ მოდელს კლასტერების შერჩევა დარგობრივი და რეგიონული პრიორიტეტების გათვალისწინებით, სახელმწიფო ღონებები ხდება. დირიჟისტული პოლიტიკა კლასტერისათვის, რეგიონის და მისი დაფინანსების მოცულობას განსაზღვრავს. ლიბერალური კლასტერული პოლიტიკის ძირითადი მიმდევრები არიან: აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი; დირიჟისტულის – საფრანგეთი, ფინეთი, იაპონია, კორია, შვედეთი.

ბოლო პერიოდში მიმდინარე ეკონომიკურ კალეგიში, როგორც ფირმის, ისე რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, უშადლოდ დამოკიდებულია ინოვაციური პროცესის შესწავლაზე. ამასთან, ითვალისწინებენ კლასტერში სოციალური კაპიტალის დიდ მნიშვნელობასაც. სოციალური კაპიტალი ადამიანური კაპიტალის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით იქმნება და ხდება მისი გადაცემა კულტურის ისეთი მექანიზმებით, როგორიცაა რელიგია, ტრადიციები, და სხვა წეს-ჩვეულებები. სოციალური კაპიტალი არათანაბრად არის განაწილებული სხვადასხვა საზოგადოებებსა და ტერიტორიებს შორის. სოციალური კაპიტალი ერთმანეთთან არის დაკავშირებული, უფრო მეტიც, დამოკიდებულია ერთმანეთზე, რაზეც მრავალი მკვლევარი მიუთითებს. მ. პორტერის წიგნში (საერთაშორისო კონკურენცია) (1993) რეგიონი განხილულია, როგორც ფირმის კონკურენტუნარიანობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გარემო. რეგიონი, როგორც გარემო, განაპირობებს ფირმების კონკურენტუნარიანობას. ეს არის ადგილობრივი ფაქტორების ერთობლიობა, რომელთა შორის მთავრია: მომთხოვნი მომხმარებლები, ძლიერი კონკურენტები, ძლიერი ნედლეულის მომწოდებლები და დამხმარე დარგების კომპლექსები. ეს ერთობლიობა (სამრეწველო კლასტერი) ცნებაში იწევებით დამტკიცებული უპირატესობა სხვა რეგიონების მიმართ. რეგიონის ინოვაციური სექტორის კონკურენტუნარიანობა გვიჩვენებს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული ურთიერთობების ერთობლიობას სხვა რეგიონებთან შედარებით.

ლასტერები, ჩვეულებრივ, სხვადასხვა ზომის საწარმოებს აერთიანებენ, რომელთა მფლობელობის მოტივაცია საქმაოდ განსხვავებულია. აშშ-ს სოფლის მეურნეობის ინოვაციურ სისტემებში ამ ფაქტორს სათანადო ყურადღება

ეთმობა. მრავალი მცირე და საშუალო ფირმისათვის მჭიდრო თანამშრომდობის ფორმა შეიძლება მიუღებელი იყოს. კერძო საწარმოები ვითარდებიან ინდივიდუალიზმისა და ფხიანობის საფუძველზე, ამიტომ მათი მფლობელები კონკურენტებთან, მიმწოდებლებთან ან კლიენტებთან მჭიდრო თანამშრომდობისათვის მზად არ არიან. შესაბამისად, უპირველესად, საჭიროა კერძო საწარმოთა მფლობელების (ხელმძღვანელების) სტრატეგიული აზროვნების მაღალი დონის ჩამოყალიბება. მათ უნდა გადაწყვიტონ 2 ძირითადი საკითხი: რა დონის თანამშრომდობისათვის არის მზად და რა შედეგს ელიან ამ თანამშრომდობისაგან. კლასტერში შესვლის სუსტი მოტივაცია შეიძლება ჰქონდეთ, აგრეთვე კარგად განვითარებული კავშირების მქონე მსხვილ საწარმოებს, რადგან მთავარია მათთვის მოგების მიღება. მცირე და საშუალო საწარმოებთან მუშობა კი დამატებით ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. რეგიონალური კონკურენტუნარიანობის განვითარების მიზნით, უფრო ძლიერ ეკონომიკურ სტრუქტურებში მცირე ბიზნესის ინტეგრირების ხელშეწყობის განვითარებისათვის, მიზანშეწონილია ინტეგრაციის სხვადასხვა ფორმების გამოყენება. აშშ-ს სოფლის მეურნეობაში რეგიონალური კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, ადგილი აქვს მომგებიანი მრეწველური საწარმოების ინტეგრაციას სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებსა და კულტურებთან.

ამ მხრივ საინტერესოა აშშ-ს პურფუნთუშეულის კლასტერის გეოგრაფიული მასშტაბები. იგი ჩამოყალიბებულია სხვადასხვა ფორმით. მაგალითად, მზა პროდუქციის მწარმოებელი პრაქტიკულად 20 კველაზე მსხვილი, მათ შორის 5 ათასი საბითუმო პურსაცხობები აწარმოებენ კველა სახის პურფუნთუშეულის ნაწარმის 45%. ასეთი კლასტერული ფირმების პოზიცია ბაზარზე ძალიან ძლიერია. ყოველ მათგანს მთელ ქვეყანაში ჩვეულებრივად გააჩნია საკუთარი ფართო სარეკლამო საგაჭრო მართვის ქსელი. ასეთი კომპანიების პროდუქციის მომსახურების ასორტიმენტი ძალზე ფართოა. ისეთი მსხვილი პურსაცხობი კომპანიები, როგორიც არის „ნაბისკო“ და „სანმაიბეიკინგი“ ჯერჯერობით არასამარისადაა ინტეგრირებული ფირმებთან, რომლებიც ახორციელებენ ამა თუ იმ სტადიაზე ხორბლის გასაღების პროცესის გაძლიერებას. იმისათვის, რომ კონკურენციულ ბრძოლაში წინ აღვდგნენ ასეთ გიგანტურ კომპანიებს, ბევრი წვრილი დამოუკიდებელი პურსაცხობები ერთიანდებიან კოოპერატივებში („ქველითიბეიკერს“, „ოფ ამერიკა კოოპერატივ“, „ამერიკენ ბეიკერ კოოპერატივ“, „ინტერპრენდიტ ბეიკერს“). აშშ-ში კოოპერატივების წილად ოთხმოცდათიან წლებში საშუალოდ მოდიოდა 30% პურფუნთუშეული პროდუქციის გასაღება; ხორბლის წარმოებაში, გადამუშავებასა და გასაღებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დამოუკიდებელი ფირმები. აღნიშნულ პერიოდში მათზე მოდიოდა ხორბლის წარმოების 60%, 45% მარცვლეული მიეწოდებოდა ადგილობრივ ელევატორებს, მარცვლეულის 35% მიეწოდებოდა ცენტრალურ ელევატორებს, 20% მარცვლეული გადიოდა ექსერტზე; ცქვილის წარმოების მრეწველობაში დამოუკიდებელი ფირმების ხვედრითი წილი შეადგენდა - 19%, პურსაცხობებში - 15%, საცალო გაჭრობაში - 10%; სოფლიად კონკურენტუნარიანი კლასტერული განვითარების თვალსაზრისით ადგილი აქვს მსხვილი მონოპოლიების ფუნქციონირებას (რომლებიც თავიანთი ძირითადი საქმიანობიდან იღებენ დიდად მოგებას), რომლებიც აფინანსებენ საკუთარ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს. მაგალითად, უმსხვილესი ნავთობმონოპოლიის „სუპერილის“ შვილობილი კომპანიის ფირმის „სუპერილ ფარმინგ“ -ის მფლობელობაშია 14 ათასი ჰა ბაზი და ვენახი კალიფორნიისა და არიზონის შტატებში. მიწის მოელი ფართობი განაწილებულია 49 ნაკვეთად, მათგან 6 ნაკვეთი მდგრადი მადერა ფრესნოს რაიონში, სადაც მოყავთ მაღალი ხარისხის

ვაშლი, ატამი, ციტრუსი, ყურძენი, გარგარი, მსხალი და ქლიავი. 39 ნაკვეთი მდებარეობს მეკერსეფილდას ირგვლივ, სადაც აწარმოებენ ხილის 15 სხვადასხვა სახეობას; არიზონის შტატის ტუსინის რაიონში დამშრალი მიწების ზონაში განთავსებულია სათბურები, სადაც მთელი წლის განმავლობაში მოყავთ პომიდორი და ბაზარზე გასაყიდად ყოველდღიურად გაიტანება 45 ტონა პომიდორი. ფირმა ახორციელებს ინოვაციებს მეცნიერების უახლესი მიღწევების გამოყენებით, წარმოების განახლების თვალსაზრისით. წარმოების კველა სტადიაზე ისინი ფლობენ საირიგაციო სისტემის უძალეს აგროტექნიკას, რომელიც განაპირობებს ხილისა და ბოსტნეულის მყარ, მაღალ მოსავალს. მაგალითად, დახურული გრუნტის სასათბურე მეურნეობებში პომიდვრის მოსავალი 8-ჯერ მაღალია დიდ გრუნტის მეურნეობებთან შედარებით. სათბურები განლაგებულია აეროდრომებთან სიახლოებებს და მიღებული ბოსტნეული თვითმფრინავებით მიეწოდება ქვეყნის რაიონებს. კომპანია „სუპერიორ ფარმინგ“-ის მმართველობითი სტრუქტურა ასახავს წარმოების ორგანიზაციის მაღალ დონეს. ინოვაციური თვალსაზრისით, იგი წარმოადგენს ვერტიკალური კოორდინირების ტიპურ ამერიკულ მოდელს, მებოსტნეობაში მოიცავს არა მარტო ბოსტნეულის წარმოებას, არამედ მის გადამუშავებას, გასაძებას, ინფრასტრუქტურას. აგროსასურსათო გაერთიანებაში აწარმოებენ პროდუქციის დიდ ასორტიმენტს. ბევრი ასეთი გაერთიანება შედის მსხვილ კორპორაციაში, როგორც ვერტიკალური კოორდინირებული საწარმო. სამრეწველო გაერთიანების შემართველობა მოქმედებს იმავე პრინციპით, როგორც მსხვილი სამრეწველო საწარმოები. აქ ადგილი აქვს წარმოების დეცენტრალიზაციას, საერთო სტრატეგიული ხელმძღვანელობისაგან თქვერაციული ხელმძღვანელობის გამიჯვნას. ინოვაციური თვალსაზრისით, წარმოების პროცესში ადგილი აქვს მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის განმეორებითი კავშირების შესწავლას, სისტემური მიღგომების გამოყენებით.

ინოვაციური თვალსაზრისით, მებოსტნეობა და განსაკუთრებით დახურული გრუნტის მებოსტნეობა მემცნებარეობის მეტად რთული დარგია. იგი ემსარება მეცნიერულ ცოდნას, უახლეს ტექნიკასა და ტექნოლოგიას, შრომის და წარმოების ორგანიზაციის მართვის ზედმიწვნით სრულყოფილ მეთოდებს. რეგიონული კონკურენტუნარიანობის განვითარების რიგ კლასტერულ საწარმოებს მებოსტნეობაში არ გააჩნიათ მუშაობის სათანადო გამოცდილება და ორგანიზებას უწევენ საკუთარ პლატფორმებში დაქირავებული შრომის გამოყენებას. ხშირად ისინი ვერ აღწევენ წარმოების რენტაბელურად მუშაობას. ეს საკითხი მეტად პრობლემატურია. მის მოგვარებას სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად უდგებიან. მაგალითად, აშშ-ის მსხვილი ნავთობ მონოპოლიური ფირმა „ს.ს. პირს“-ი თავისი ძირითადი საქმიანობის გარდა დაკავებული იყო 800 ჰექტარ ფართობზე მარწყვის მოყვანით. სხვადასხვა მიზეზის გამო, ამ უზარმაზარი ფართობიდან დაბალი იყო მარწყვის მოსავლიანობა და ხარისხი. მნიშვნელოვნად გაეზარდათ სამუშაო ძალის დანახარჯები. მარწყვის წარმოებიდან მიღებულმა ზარალმა სამ მილიონ ლონდას გადააჭარბა. წარმოება გაკიტრდა. კომპანია „პირელსი“ არის აშშ-ის ფლაგმანი კომპანია – საყოფაცხოვრებო ქიმიაზი. მან შეიძინა კალიფორნიასა და არიზონაში მიწის დიდი ფართობები. დაიწყო ადრეული ბოსტნეულისა და სალათა „ლატუკის“ წარმოება. სალათაზე ფასების მნიშვნელოვანმა დაცემამ, პროდუქციის წარმოებიდან მიღებული მოგება უმნიშვნელო გახდა. ფირმამ უარი თქვა 4,5 ათასი ჰექტარი ფართობების არენდაზე და თავისი საკუთარი 500 ჰექტარი მიწის ფართობიც გაყიდა. კომპანიამ 800 ჰექტარ მიწის ფართობზე სალათა „ლატუკის“ წარმოება შეწყვიტა.

საბაზრო ურთიერთობებმა თვისებრივად შეცვალა ინოვაციურ სისტემებში კლასტერიზაციის, როგორც რეგიონული კონკურენტუნარიანობის განვითარების მუშაობის მართვის მექანიზმი. იგი მაცრი საგეგმო სისტემის ორიენტაციიდან სულ უფრო მზარდ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას იღებს. შეიცვალა საწარმოთა საკუთრების ფორმები. შესაბამისად განახლდა მართვის ფუნქციები, როლი და ამოცანები, რაც იმას ნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოებმა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირებისათვის, მეტად რთული სამუშაოები განახორციელებს, რომელიც პრაქტიკულად სახელმწიფოს მიერ შესაბამისი საკანონმდებლო სამართლებრივი ნორმებისა და მეურნეობის მექანიზმის სრულყოფის საფუძველზე მოხდა.

#### ინსტიტუციური და ეპონომიკური განვითარების დოკომენტის შედარება საქართველოში გაფართოებული რეზიუმე

ინსტიტუციური განვითარება მნიშვნელოვანია საკითხია მსოფლიოს განვითარებულ და განვითარებად ნაწილში შემავალი ეკონომიკებისთვის. ინსტიტუციურ ცვლილებათა თემა განსაკუთრებით მგრძნობიარე არის განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ შორის პოსტკომუნისტური ეკონომიკებისთვის, ისეთი, როგორც საქართველოა. ინსტიტუციური განვითარების აქტუალობა იზრდება დღევანდებით მსოფლიოში, სადაც სწრაფად იცვლება ინსტიტუტების როლი ეკონომიკაში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 25 წლის შემდეგ, საქართველოს პროდუქტი ეკონომიკა ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა 90-იანების რეცესიამდე შემოსავლების დონეს. მიუხედავად წარმატებული ეკონომიკური და ინსტიტუციური რეფორმებისა, მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე ჯერაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება არათუ დასავლეთ, არამედ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რესპუბლიკების შესაბამის მაჩვენებლებს. პოსტ-კომუნისტურ საქართველოს წილად ხვდა როგორც ინსტიტუციური, ისე ეკონომიკური ჩამორჩენა დანარჩენ პოსტ ომუნისტურ ეკროპულ ქვეყნებთან, რომელთა ნაწილმაც მოახდინა სხვადასხვა ეკროპულ სტრუქტურებში დრმა ინსტეგრაცია.

კვლევის მეცნიერული სიახლე, ინსტიტუციური სტრუქტურის სხვადასხვა განზომილების ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირება საქართველოს მაგალითზე, რაც გამოისახება ერთის მხრივ ინსტიტუციური და ეკონომიკური ჩამორჩენის ერთდროული შეფასებით, ასევე ინსტიტუციურ ჯგუფებსა და ეკონომიკურ ცვლადებს შორის კავშირების აღმოჩენით.

კვლევის მიზანია მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაში არსებული ინსტიტუტების შეფასება, კავშირების შესწავლა სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის და

შათი შედარება დანარჩენი პოსტკომუნისტური ქვეყნების ინსტიტუტებთან. ასევე, საქართველოს ინსტიტუციური და ეკონომიკური ჩამორჩენის გაანალიზება დინამიკაში.

კვლევაში გამოიყენება ინსტიტუტების დაჯგუფების ორ მეთოდი (როგორც დამოუკიდებლად, ასევე კომბინაციურად). პირველი, ყველაზე გავრცელებული ინსტიტუციური დაჯგუფება მოცემულია ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომისტი დუგლას ნორტის მიერ. ის მოიცავს ინსტიტუტების (ნორმების) დაყოფას ორ ფართო ჯგუფად: ფორმალური და არაფორმალური. მეორე თეორიული დაჯგუფება არის შიდა და გარე ინსტიტუტები, რომელიც ერთ-ერთი პირველი ნახსენებია გერმანელი ეკონომისტის ლუდვიგ ლაპმანის მიერ 1973 წელს. ნორმა არის გარე, თუ მის აღსრულებაზე პასუხიმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს, ხოლო შიდა ნორმის სანქცირება ხდება უშუალოდ საზოგადოების მიერ [ვოიგტი, 2016].

თანამედროვე გერმანელი ეკონომისტი სტეფან ვოიგტი 2016 წლის ნაშრომში გვთავაზობს ამ ზემოთ მოცემული ორივე მიდგომის ერთდროულ გამოყენებას, რითაც ჩვენ მივიღებთ ორგანზომილებიან ინსტიტუციურ სტრუქტურას 4 ჯგუფის შემადგენლობით. ეს ჯგუფებია: ფორმალური შიდა, ფორმალური გარე, არაფორმალური შიდა და არაფორმალური გარე.

საქართველოში და სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში არსებული ინსტიტუციური დონის შეფასებისთვის გამოყენებულია გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსები, რომელიც გაიანგარიშება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ყოველწლიური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის ფარგლებში. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი მოიცავს ინფორმაციას 140 ქვეყნის შესახებ და თითოეული მათგანისთვის აერთიანებს ინდექსებს 12 ძირითად ჯგუფში. ამ ჯგუფებიდან, ნაშრომისთვის საინტერესოა 1-ლი ჯგუფი - „ინსტიტუტები“. მოცემული ჯგუფი მოიცავს 21 ინსტიტუციურ ინდიკატორს გაერთიანებულ 7 ქვეინდექსად. ინსტიტუციური ინდიკატორების წყარო არის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ჩატარებული ყოველწლიური საზოგადოებრივი აზრის კვლევები.

ინსტიტუციური და ეკონომიკური ჩამორჩენის შესაფასებლად საქართველოს ინსტიტუციური და ეკონომიკური მაჩვენებლები შევადაროთ რეგიონის (ცენტრალურ და აღმოსავლეთ ეკონომიკის) სხვა პოსტკომუნისტურ რესპუბლიკებს, ეს ქვეებია: ალბანეთი, სომხეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთი, ესტონეთი, საქართველო, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, მაკედონია, მოლდოვა, მონტენეგრო, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და უკრაინა.

პოსტ კომუნისტურ ეპროპულ ქვეყნებში, იკვეთება დადებითი დამოკიდებულება შემდეგ ორ ცვლადს შორის - გლობალური კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტების ინდექსი და მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა (2016 წელი). თუმცა საქართველოს შემთხვევაში, ქვეყანას აქვს ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელი ინსტიტუციური განვითარების კუთხით, მაგრამ იკვეთება მნიშვნელოვანი ეკონომიკური ჩამორჩენა უმეტეს ქვეყნებთან შედარებით.

ირაკლი გაბრიაძე  
თხუ დოქტორანტი

## ინსტიტუციები და ბანკითარება: პოსტ-საბჭოთა სისტემის ბაზოცდილება

პვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მსარდაჭერით [გრანტის ნომერი: PhD\_F\_17\_137; პროექტის სახელ-წოდება: ინსტიტუციური ფაქტორები ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მოდელებში (პოსტ-საბჭოთა სივრცის მაგალითზე)]; ავტორი მადლობას უხდის პროფესორ იური ანანიაშვილს კვლევის მომზადების პროცესში აღმოჩენილი დახმარებისთვის


**რეზიუმე.** სტატიაში პოსტ-საბჭოთა სივრცის გამოცდილებაზე დაყრდნობით გაანალიზებულია დამოკიდებულება, ქვეყნის ინსტიტუციურ გარემოსა და ეკონომიკურ განვითარებას შორის კერძოდ, განხილულია ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციების როლი მოსახლეობის ერთ ხელზე შემოსავლების განსაზღვრაში. ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციების ანალიზისთვის ფიურცელი მათი ხარისხის საზომებს მსოფლიო ბანკის მსოფლიოს მმართველობის ინდიკატორებიდან და პროექტ Polity IV-ს ბაზიდან. სტატიისტიკურად სარწმუნო შედეგების მისაღებად შემოთავაზებული რეპრესიული მოდელის შეფასებას ვახდებოთ ინსტრუმენტული ცვლადების შეთვალით. შეფასებისას ვიყენებთ როგორც ჯვარედინ, ასევე პანელურ მონაცემებს. კვლევის ძირითადი შედეგი არის ის, რომ შერჩევაში შემავალი ქვეყნების ეკონომიკური კეთილდღეობის განსაზღვრის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობები არაფორმალური ინსტიტუციები, ხოლო ფორმალური ინსტიტუციების გავლენა შედარებით სუსტია. სტატიის ავტორის აზრით, ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი შესაძლოა იყოს ის გარემოება, რომ განხილულ ქვეყნებში, ერთი ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემიდან შეორებულ გადასვლისას, ფორმალურ ინსტიტუციებში განხორციელებული მრავალმხრივი ცვლილებები თავსებადი არ აღმოჩნდა ჩამოყალიბებულ არაფორმალურ ინსტიტუციებთან, შედეგად, ცვლილებები პრაქტიკაში სათანადოდ არ აისახება ადამიანთა ქცევასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

**JEL codes:** O43, P14, P20, P30

**საკვანძო სიტყვები:** ინსტიტუციები, ეკონომიკური განვითარება, პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნები, გარდამავალი ეკონომიკური განვითარება

### შესავალი

თითქმის თანაბარ ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნები დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 25 წლის შემდეგ ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან ეკონომიკური განვითარების დონით (იხ. ნახ. 1). ერთი მხრივ, არიან ქვეყნები, რომლებმაც დიდ წარმატებას მიაღწიეს და დღეს განვითარებად სახელმწიფო ერთობებად იწოდებიან; მეორე მხრივ, ქვეყნების ნაწილი ჯერ კიდევ ეკონომიკური განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფება. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რატომ მიაღწია ქვეყნების ერთმა ნაწილმა სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას, მაშინ როცა მეორე ნაწილმა ეს ვერ შეძლო?



ნახაზი 1: მსეიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მიხედვით შესწორებული მშპ მოსახლეობის ერთ სულ-ზე

ასამოღლუ, ჯონსონი და რობინსონი (Acemoglu, Johnson, and Robinson 2005) აღნიშნავენ, რომ ნეოკლასიკური ეკონომიკური ზრდის მოდელები (Cass 1965; Koopmans 1963; Solow 1956) ქვეყნებს მორის შემოსავლების განსხვავების ძირითად გამომწვევ მიზეზად განიხილავენ ფაქტორთა აკუმულაციას, მაგრამ ეს მოდელები უძლურია, უპასუხოს კითხვას იმის შესახებ, თუ რატომ ახერხებს ქვეყნების ერთი ნაწილი მეტი რესურსის გამოყოფას ფაქტორების აკუმულირებისთვის, ვიდრე სხვა დანარჩენები. ნორთი და ტომასი (Douglass C. North and Thomas 1973) ამტკიცებენ, რომ ნეოკლასიკურ მოდელებში განხილული ზრდის ფაქტორები (ინოვაციები, კაპიტალის აკუმულირება, ინვესტიციები) თვითონ წარმოადგენერ ეკონომიკურ ზრდას და არა მის გამომწვევ მიზეზს. ეს ავტორები ეკონომიკურ განვითარებაში განსხვავების ძირითად გამომწვევ მიზეზად ასახელებენ ქვეყნების ინსტიტუციურ გარემოს შორის განსხვავებას.

ინსტიტუციების ყველაზე ხშირად გამოყენებადი დეფინიციის მიხედვით, რომელიც ეკუთვნის დუგლას ნორთს (Douglass C North 1990), ინსტიტუციები არის საზოგადოებაში ჩამოყალიბებული თამაშის წესები (rules of the game), უფრო ფორმალურად კი - საზოგადოების მიერ თავის თავისთვის დაწესებული შეზღუდვები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანების ინტერაქციას და ამ ინტერაქციის მოტივებს. დღესდღეობით, ეკონომისტები თანხმდებიან, რომ ინსტიტუციური გარემო ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყანაში შემოსავლების დონის განსაზღვრაში (Acemoglu 1995; Acemoglu, Johnson, and Robinson 2001; Glaeser et al. 2004; Knack and Keefer 1995; Douglass C North 1991; Douglass Cecil North 1990). ამავე დროს, არსებობს უთანხმოება იმის შესახებ, თუ რომელი ტიპის ინსტიტუციებია ყველაზე მნიშვნელოვანი.

ჯერადაც როულანდი (Roland 2004) ინსტიტუციებს ჰყოფს 2 ნაწილად: არა-ფორმალური (ნელა ცვალებადი) და ფორმალური ინსტიტუციები (სწრაფად

ცვალებადი). არაფორმალური ინსტიტუციების ქვეშ იგულისხმება კულტურა, ჩვევები, საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებები და ნორმები, საზოგადოების მსოფლმხედველობა და ა.შ.. ამ ტიპის ინსტიტუციების ძირითადი თავისებურებაა დროში ნელი ცვლილება. ფორმალურ ინსტიტუციებში კი იგულისხმება კონსტიტუცია, კანონები და სხვადასხვა სამთავრობო უწყებების ფუნქცია-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტები, რომელთა ცვლილებაც დროის შედარებით მცირე მონაკვეთშია შესაძლებელი. როგორც ჯეფრი ჰოდგსონი (Hodgson 2006) აღნიშნავს, ასევე გასათვალისწინებელია, რომ პრაქტიკაში ხშირად არის სიტუაციები, როდესაც ფორმალურად ჩამოყალიბებული კანონები არ მუშაობს, რადგანაც ისინი არათავსებადია არაფორმალურ ინსტიტუციებთან. მაშასადამე, რომ გავიგოთ თუ როგორ ყალიბდება ქვეყნის ინსტიტუციონალური გარემო და როგორ განისაზღვრება მისი შესაბამისი ცხოვრების დონე, აუცილებელია მხედველობაში მიყიდოთ ინსტიტუციების ორივე ჯგუფი.

საბჭოთა კავშირის დაშლამ ბიძგი მისცა (ეგზოგენური შოკი) პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნების სწრაფ ტრანსფორმაციას გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე, რასაც მოჰყვა ფართო მასშტაბიანი ინსტიტუციური რეფორმები. რეფორმები, მეტ-ნაკლები წარმატებით, ძირითადად განხორციელდა ფორმალური ინსტიტუციებში. ზოგიერთ ქვეყანაში დაწერილმა „იდეალურმა“ კანონებმა პრაქტიკაში ვერ იმუშავა. ამ ფაქტის ერთ-ერთი შესაძლო ასენა არის სწორედ ის, რომ აღნიშნული ფორმალური ცვლილებები არ აღმოჩნდა თავსებადი ქვეყნებში ჩამოყალიბებულ არაფორმალურ გარემოსთან, შესაბამისად, მათ გავლენა ვერ მოახდინეს ეკონომიკური აგენტების ქცევაზე. აღნიშნული პიპორების ტესტირება ამ ნაშრომის ძირითადი მიზანია.

#### ინსტიტუციები: ფორმალური და არაფორმალური

1937 წელს რონალდ კოაზმა (Coase 1937) თავის გავლენიან ნაშრომში, „ფირმის ბუნება“, განიხილა ტრანზაქციული დანახარჯების კონცეფცია და აჩვენა, რომ კონკრეტულ სიტუაციებში ფირმებს შეუძლიათ შეამცირონ ტრანზაქციული დანახარჯები იმ გაურკვევლობის შემცირებით, რომელიც თან ახლავს ტრანზაქციებს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების პროცესში. მოგვიანებით, ნორთმა და ტომასმა (Douglass C. North and Thomas 1973) ტრანზაქციული დანახარჯების იდეა გადაიტანეს მოლიან ეკონომიკაზე და ჩამოყალიბებს პიპორება, რომ ტრანზაქციული დანახარჯების ზომა გადამწყვეტ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ავტორები აღნიშნავენ, რომ მრავალი კლასიკოსი ეკონომისტი ხაზს უსვამდა ეფექტური ბაზრის გადამწყვეტ როლს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, თუმცა ეფექტური საბაზრო მექანიზმი, როგორც წონასწორული შედეგი, მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როცა არ არსებობს ტრანზაქციული დანახარჯები. რეალობა კი სხვაგვარია და ტრანზაქციული დანახარჯების არსებობამ შეიძლება ქვეყანა მიიყვანოს არაეფექტურ ბაზრამდე ან სულაც ბაზრის არარეალიბრაცია, რაც შემდეგ გარედან ჩარევას ითხოვს (Acemoglu 1995). გარედან ჩარევაში კი იგულისხმება ინსტიტუციების ცვლილება, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს ტრანზაქციული დანახარჯების განსაზღვრაში და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში (Cheung 1983). მაშასადამე, ძირითადი არხი, რომლითაც ინსტიტუციები გავლენას ახდენენ ქვეყანის ეკონომიკურ ზრდაზე, არის მათი უნარი, განსაზღვრონ ტრანზაქციული დანახარჯები. კარგი ინსტიტუციების პირობებში ტრანზაქციული დანახარჯები მცირდება, ეკონომიკური საქმიანობა უფრო მომგებიანი ხდება და ქვეყანაში კეთილდღეობის დონე იზრდება. ცუდი ინსტიტუციების პირობებში ტრანზაქციის დანახარჯები მაღალია და, შესაბამისად, ნაკლებ ეფექტურიანია ეკონომიკური აქტიურობა.

როგორც აღინიშნა, ინსტიტუციები შეიძლება დაიყოს ფორმალურ და არაფორმალურ ნაწილად. განვითარებულ ქვეყნებში მოქალაქეები ძირითადად ჟერდნობიან ფორმალურ წესებს ტრანზაქციების განხორციელებისას. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში კი უფრო მეტად გამოიყენება არაფორმალური ინსტიტუციები იმიტომ, რომ ფორმალური ინსტიტუციები ან არ არსებობს ან არაეფექტურია (Jütting 2003). არაფორმალურ ინსტიტუციებზე საუბრისას მათში შეგვიძლია ვიგულისხმოთ საზოგადოებაში არსებული ნდობა და ურთიერთპატივისცემა. როცა ქვეყანაში მაღალია ნდობა საზოგადოების სხვა წევრის მიმართ, ეს ამცირებს კონტრაქტის დადებასა და მის აღსრულებასთან დაკავშირებულ ტრანზაქციულ დანახახარჯებს. ასევე ასეთ საზოგადოებებში მაღალია ნდობა მთავრობების მიმართ, რაც ზრდის ბიზნესის კეთების მოტივაციას საკუთრების უფლების დაცვის რისკის შემცირების ხარჯზე. შესაბამისად, მაღალი ნდობის ქვეყნებში ტრანზაქციული დანახახარჯები დაბალია და მეტი დრო და რესურსი რჩება ინოვაციებისთვის და სხვა პროდუქტიული ეკონომიკური საქმიანობისთვის.

ფორმალურ ინსტიტუციებზე საუბარისას ყველაზე ხშირად განიხილება საკუთრების უფლების დაცვის და კონტრაქტის აღსრულების ინსტიტუციები. როგორც ასამოღლუ და ჯონსონი ამტკიცებენ (Acemoglu and Johnson 2005), საკუთრების დაცვის ინსტიტუციებს მიეკუთვნებიან ისინი, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობას პოლიტიკურ სისტემასა და კერძო სექტორს შორის, რადგან საკუთრების უფლების ძირითადი დამტღვევი, როგორც წესი, მთავრობაა. რაც შეეხება კონტრაქტის ინსტიტუციებს, მათში იგულისხმება ორ კერძო სუბიექტს შორის ურთიერთობის მარეგულირებელი ინსტიტუციები, რადგან კონტრაქტი, როგორც წესი, წარმოადგენს შეთანხმებას ორ კერძო სუბიექტს შორის.

საკუთრების უფლების დაცვის ინსტიტუციების მნიშვნელობა მოდის ეკონომიკური მეცნიერების გულიდან. ეკონომიკური მეცნიერება სხვა არაფერია თუ არა, როგორ მოვახდინოთ შეზღუდული რესურსების განაწილება მაქსიმალური შედეგის მისაღებად. ეს იდეა თავისთავად გულისხმობს კონფლიქტს შეზღუდულ რესურსებზე (A.A. Alchian 1965; Armen A. Alchian and Demsetz 1973). ამ პროცესში, როგორც მრავალი კვლევა ცხადყოფს (Acemoglu and Johnson 2005; Acemoglu, Johnson, and Robinson 2001; Angeles 2011; Leblang 1996), ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანას ჰქონდეს სათანადო განსაზღვრული და დაცული საკუთრების უფლება.

რაც შეეხება კონტრაქტის აღსრულების ინსტიტუციებს, აქ ძირითადი დაშვება ისაა, რომ ეს არის შეთანხმება ორ სუბიექტს შორის, რომელიც არაა სრულყოფილი და არაა სრულყოფილად აღსრულებადი. ეს არასრულყოფილება ტოვებს ოპორტუნისტული ქმედების რისკს ორივე მხრიდან (Kähkönen and Meagher 2002): შეიძლება არსებობდეს ძლიერი მოტივაცია კონტრაქტის მხარეებისთვის, უარი თქვან კონტრაქტის შესრულებაზე. ეს ფენომენი შეიძლება ძალიან ცუდი იყოს სოციალური გადმოსახედიდან, რადგანაც ეკონომიკური ტრანზაქციები ძირითადად დაფუძნებულია კონტრაქტებზე და ამ კონტრაქტების რისკის ზრდა უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკური აქტიურობაზე (Stone, Levy, and Paredes 1992).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველა ქვეყანა ცდილობდა სწრაფად ცვალებადი ფორმალური ინსტიტუციების შეცვლას, რათა მოქედინათ ქვეყნის გეგმიური ეკონომიკის ტრანსფორმაცია საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე. დონორი ორგანიზაციებისა თუ სხვა ქვეყნის მთავრობების მხარდაჭერით შეტნაკლები წარმატებით მოხდა ახალი კანონმდებლობის შემუშავება. მაგრამ იმ ქვეყნებს, სადაც ახლად დანერგილი ფორმალური ინსტიტუციები თავსებადი არ იყო არსებულ არაფორმალურ ინსტიტუციებთან, მოუწიათ მტკიცნეული გარდამავალი პროცესის გავლა. ქვეყნების მეორე ნაწილში კი აღნიშნული ინსტიტუციები თავ-

სებადი აღმოჩნდა ქვეყანაში არსებულ არაფორმალურ ინსტიტუციებთან და მათი ინტერაქციით ეფექტური ინსტიტუციური გარემო ჩამოყალიბდა.

ინსტიტუციების გავლენის შეფასების მიმართულებით არსებული კვლევების უმრავლესობა, როგორც წესი, ძირითადად ყურადღებას ფორმალურ ინსტიტუციებზე ამახვილებს. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ამისა ისაა, რომ საქმაოდ რთულია არაფორმალური ინსტიტუციების განსაზღვრა და შემდეგ მათი ხარისხის რაოდნობრივ გამოსახულებაში გაზომვა.

არაფორმალური ინსტიტუციების გაზომვისა და მათი როლის შეფასებისთვის ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს ღირებულებათა კვლევის (World Value Survey)<sup>16</sup> მონაცემთა ბაზები (Knowles and Weatherston 2006; Tabellini 2010). სულ ამ კვლევის ქვეში რაუნდია ჩატარებული ოუმცა აღნიშნული მაჩვენებლების გამოყენება ჩვენი შერჩევის ქვეშ გამოიყენებას ჯგუფთან მიმართებაში შეუძლებელია. მიზეზი ისაა, რომ კვლევის მექანიზმი ტალღაც არ მოიცავს მონაცემებს ჩვენი შერჩევის 5 ქვეყნის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შერჩევაში სულ 15 ქვეყანა გვაქვს, ეს საქმაოდ დიდ რიცხვია.

ინსტიტუციების გაზომვაში მნიშვნელოვნი გაუმჯობესება მოხდა მას შემდეგ, რაც შეიქმნა მსოფლიო ბანკის მმართველობის ექსი ინდიკატორი. ეს ინდიკატორები დაფუძნებულია 300 სხვადასხვა ცვლადზე და ასახავენ მთავრობებს შორის განსხვავებებს. ინდიკატორებიდან ერთ-ერთია კანონის უზენაესობა (rule of law), რომელიც ზომავს თუ რამდენად აქვთ მოქალაქეებს ნდობა და ემორჩილებიან საზოგადოებაში დამკვიდრებულ წესებს (პოლიციას, სასამართლოს და ა.შ.), ასევე ზომავს დანაშაულისა და ძალადობის აღბათობას. ეს მაჩვენებელი სრულად არის დაფუძნებული ქვეყანაში მცხოვრებ ექსპერტთა მოსაზრებებსა და საზოგადოების გამოკითხვაზე იმის შესახებ, თუ როგორ ხდება კანონების აღსრულება პრაქტიკაში. შესაბამისად, ეს მაჩვენებელი შეგვიძლია მივაკუთვნოთ არაფორმალური ინსტიტუციების საზომის. ქვემოთ წარმოდგენილ რეგრესიულ ანალიზში სწორედ ამ ცვლადს გამოვიყენებთ არაფორმალური ინსტიტუციების გავლენის შესაფასებლად.

ფორმალური ინსტიტუციების საზომის არჩევისას ჩვენ მივყვებით ასამოდლუს და რობინსონს (Acemoglu and Johnson 2005) და ვისარგებლებთ Polity IV პროექტის მონაცემთა ბაზებში არსებული გადაწყვეტილების მიმდევ პირთა შეზღუდვის საზომით (executive constraint). ეს საზომი თავისი შინაარსით მიეკუთვნება ფორმალური ინსტიტუციების საზომს, რადგან დაფუძნებულია მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტების შესწავლაზე და ასახავს განსხვავებას ქვენებში ჩამოყალიბებულ (დაწერილ) კანონმდებლობებს შორის.

ინსტრუმენტული ცვლადების მიმოხილვა

ინსტიტუციების მნიშვნელოვნების ემპირიული ანალიზისას ერთ-ერთი უკეთა ფართოდ გავრცელებული პრობლემა არის ენდოგენურობის პრობლემა, ანუ სიტუაცია, როცა ამსხნელი ცვლადი იმავდროულად შეიძლება დამოკიდებული ცვლადიც იყოს. მაგალითად, როცა ვამბობთ, რომ ინსტიტუციების ხარისხის გაუმჯობესება იწვევს ერთ სულზე შემოსავლის ზრდას, შეიძლება ასევე სამართლიანი იყოს მსჯელობა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესება იწვევს ინსტიტუციების ხარისხის გაუმჯობესებას, რადგანაც ქვეყანას უფრო მეტი რესურსი უზნდება ამ ხარისხის გასაზღდელად და უზრუნველსაყოფად. ეკონომიკურ ლიტერატურაში ამ პრობლემის მოგვარების ყველაზე გავრცელებულ გზად

<sup>16</sup> World Values Survey: Round Six - Country-Pooled Datafile Version: [www.worldvaluessurvey.org/WVSDocumentationWV6.jsp](http://www.worldvaluessurvey.org/WVSDocumentationWV6.jsp). Madrid: JD Systems Institute

ითვლება ინსტრუმენტული ცვლადის გამოყენება. მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული ენდოგენური ცვლადისთვის უნდა ვიპოვოთ ისეთი ეფზოგენური ცვლადი, რომელიც შედეგობრივ ცვლადზე მხოლოდ ენდოგენურ ცვლადზე ზემოქმედებით ახდენს გავლენას. ანუ ჩვენს მაგალითში, მოსახლეობის შემოსავლებზე ინსტრუმენტული ცვლადი გავლენას მხოლოდ ინსტიტუციების ხარისხზე ზემოქმედებით უნდა ახდენდეს.

თავისთვის, კარგი ინსტრუმენტული ცვლადების შერჩევა ადვილი არ არის. ამავე დროს, კონკრეტული სიტუაციებისთვის ლიტერატურაში შემოთავაზებულია ინსტრუმენტულ ცვლადთა მეტნაკლებად გამოსადევი გარიანტები. ჩვენს შემთხვევაში მივყვებით ბეჭ და ლაევენს (Beck and Laeven 2006) და რეგრესიულ ანალიზში არაფორმალური ინსტიტუციების ინსტრუმენტულ ცვლადად გამოვიყენებოთ ქვეყნის მიერ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში გატარებული წლების რაოდენობას. მიზეზი, თუ რატომ ვიყენებოთ ამ ინსტრუმენტულ ცვლადს, არის მასი შესაძლო გავლენა საზოგადოების ინდივიდუალურ და კოლექტიურ ბუნებაზე.

გოროდნიჩენკომ და როლანდმა (Gorodnichenko and Roland, 2017) ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის გამოცდილების შესწავლით აჩვენეს, რომ არსებობს ძლიერი პოზიტიური დამოკიდებულება ინდივიდუალიზმსა და ეკონომიკური ინსტიტუციების სიძლიერეს შორის. დამატებით, ავტორები ავითარებენ მოსაზრებას, რომ ქვეყანაში ინდივიდუალიზმის დონე განისაზღვრება საზოგადოების კულტურული მახასიათებლებით და მსოფლიმებელებით. მაშასადამე, პრაქტიკაში შეიძლება გვქონდეს შემთხვევები, როცა რომელიმე იმპერიის ქვეშ ცხოვრებამ შეიძლება გავლენა იქონიოს საზოგადოების ინდივიდუალიზმის ხარისხზე და შესაბამისად, მის ეკონომიკურ განვითარებაზე. ზუსტად ამ შეხედულებას ასახავს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში გატარებული წლების რაოდენობის ინსტრუმენტულ ცვლადად გამოვიყენება. საბჭოთა სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაულოთ, რომ საბჭოთა კავშირში ცხოვრებამ გავლენა იქონია საზოგადოებაში ინდივიდუალიზმის და კოლექტივიზმის ხარისხზე და სახელმწიფოს მიმართ ადამიანების დამოკიდებულებაზე. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ გავლენის ხარისხი კორელაციაშია საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროსთან. საბჭოთა კავშირში ყველაფერი სახელმწიფოს საკუთრება იყო და აღარ რჩებოდა სივრცე კერძო ინიციატივებისთვის, მეწარმეობისთვის. შესაბამისად, შესუსტდა საზოგადოებაში ინდივიდუალიზმი და გაძლიერდა კოლექტივიზმი. ასევე, ამ ქვეყნებში მთავრობის როლი არ იყო სწორად აღქმული და მოქალაქე დამოკიდებული იყო სახელმწიფოზე და მის გადაწყვეტილებებზე (Papava 2005). ამის შედეგი ისაა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნებს გაუჰქირდათ მთავრობებისთვის შეზღუდვების დაწესება და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბება. ამან შესაბამისი გავლება იქონია ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. ზოგიერთ ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოება დღესაც რჩება მთავრობის ძლიერი წნების ქვეშ. შედეგად მივიღეთ ფორმალურად დემოკრატიული ქვეყნები მთავრობების შეუზღუდვავი ძალაუფლებით.

მეორე ინსტრუმენტული ცვლადი, რომელსაც რეგრესიულ ანალიზში ფორმალური ინსტიტუციების ინსტრუმენტად გამოიყენებოთ, არის ინსტიტუციური გამოცდილება (Institutional Experience). ეს ცვლადი ინსტრუმენტად შემოთავაზებულია იდამისა და გაბრიაძის მიერ (Eydam and Gabriadze 2018) და გვიჩვენებს წლების რაოდენობას 1918 წლის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც ქვეყნები იყვნენ დამოუკიდებელი. ძირითადი იდეა ისაა, რომ დამოუკიდებელი ქვეყნის მართვის და დამოუკიდებელი ინსტიტუციების არსებობის წინა გამოცდილება, რომელიც ქვეყნებს გააჩნიათ საბჭოთა კავშირისგან განსხვავებულ სისტემაში, შეიძლება გამოსადევი ყოფილიყო საბჭოთა კავშირის დანგრევის მომენტში. ინსტიტუციური

გამოცდილების მქონე ქვეყნებში მოქალაქეებს აქვთ საქმარისი ცოდნა და გამოცდილება, რომ სწრაფად ჩამოაყალიბონ ფუნქციონირებადი ინსტიტუციები და დაუწესონ შეზღუდვები გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამ პროცესში ასევე მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობის ხანგრძლივობა. ლოგიკურია დავუშვათ, რომ ქვეყნები რომლებიც უფრო დიდი ხანი იყენებ დამოუკიდებლები, უფრო სწრაფად შეძლებენ მყარი ინსტიტუციების ჩამოყალიბებას საბჭოთა კავშირისგან განსხვავებულ გარემოში. მაგალითის სახით შეგვიძლია განვითილოთ საქართველო, რომელმაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1992 წელს სცადა აღედგინა 1921 წელს მიღებული კონსტიტუცია, თუმცა საბოლოოდ ეს ვერ შეძლო და მოუწია განახლებული კონსტიტუციის მიღება 1995 წელს. განსხვავებული იყო ბალტიის-პირეთის გამოცდილება, სადაც თავიდანვე შეძლეს ადრე არსებული კონსტიტუციის ადდგნა. ასევე ადსანიშნავია, რომ ბალტიის ქვეყნებში ეს ინსტიტუცია მყარია, მაშინ, როცა საქართველოში, კონსტიტუციის მიღების შემდეგაც, უამრავი ცვლილება განხორციელდა ქვეენის ძირითად კანონში.

ამ ორი ინსტრუმენტული ცვლადის გამოყენებით, ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციების როლის შეფასებას შევეცადეთ პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებისთვის. ინფორმაცია მონაცემებზე, მეთოდოლოგია და ემპირიული შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ.

შეთოლოლოგია და მონაცემები

რეგრესიული ანალიზისთვის გამოვიყენებოთ შემდეგ განტოლებას:

$$Y = \beta_0 + \beta_1 F + \beta_2 I + \beta_3 X + \varepsilon, \quad (1)$$

სადაც  $Y$  არის მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე;  $F$  - ფორმალური ინსტიტუციების საზომი;  $I$  - არაფორმალური ინსტიტუციების საზომი;  $X$  - მოდელში ჩართული სხვა დამოუკიდებელი ცვლადების ვაქტორი,  $\varepsilon$  - შემთხვევითი შეცდომების წევრი.

ეკონომიკური ზრდის მსგავს რეგრესიებში მწვავედ დგას ენდოგენურობისა და გამოტოვებული ცვლადების პრობლემა. ენდოგენურობის პრობლემის ინსტრუმენტული ცვლადებით მოგვარების შესახებ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. რაც შექსება გამოტოვებული ცვლადის პრობლემას, მოდელში ჩართულმა დამატებითმა ამსხელმა ცვლადებმა უნდა უზრუნველყოს ამ პრობლემის გადაჭრა.

მოყანილი რეგრესიით ანალიზს ორ ეტაპად განვახორციელებთ. პირველ ეტაპზე განტოლება (1)-ს შევაფასებოთ მხოლოდ ქვეენების შესახებ არსებულ ჯვარედინი მონაცემებით. მეორე ეტაპზე, დაგროვილი ინფორმაციის სრულად გამოყენების მიზნით, (1)-ის პარამეტრებს შევაფასებოთ პანელურ მონაცემებზე დაყრდნობით.

მოდელის შეფასებისას შედეგობრივ ცვლადად ვიყენებოთ მსყიდველობითი უნარის პარიტეტით შესწორებულ მთლიან შიგა პროდუქტს მოსახლეობის ერთ სულზე, რომელიც აღებულია მსოფლიო ბანკის მსოფლიოს განვითარების ინდოკატორებიდან და წარმოადგენს ქვეენების ცხოვრების დონის საზომს. ეს ცვლადი საშუალებას გვაძლევს, შევადაროთ ერთმანეთს ქვეენები განვითარების დონეების მიხედვით და, ამავდროულად, გავითვალისწინოთ მათში არსებული ფასთაშორისი განსხვავებები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

არაფორმალური ინსტიტუციების საზომად ვიყენებოთ კანონის უზენაესობის ინდექსს მსოფლიო ბანკის მსოფლიოს მმართველობის ინდიკატორებიდან, რომელიც განვითარებს დენიელ კაუფმანმა და სხვებმა (Kaufmann, Kraay, and Mastruzzi 2010). ეს მაჩვენებელი მერყეობს -2,5-დან 2,5-მდე ისე, რომ მისი ზრდა ნიშნავს ინსტიტუციების ხარისხის გაუმჯობესებას.

ფორმალური ინსტიტუციების გასახომად ვიყენებთ გადაწყვეტილების მიმღებ პირთა შეზღუდვის მაჩვენებელს Polity IV პროექტის ბაზიდან. ეს მაჩვენებელი ასახავს ქვეყნების კანონმდებლობებს შორის განსხვავებას და გვიჩვენებს, რა დონით ხდება ქვეყნებში პოლიტიკური ძალაუფლების მქონე პირების შეზღუდვა. მაჩვენებელის მნიშვნელობა მერყეობს 1-დან 7-მდე; ციფრი 1 ნიშავს რომ დაწესებულია ძალიან კარგი კონტროლი, 7 კი იმას, რომ ქვეყანაში თითქმის არ არსებობს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა კონტროლის მექანიზმები.

ძალმოსილი შეფასებების მისაღებად ჩვენს მიერ შეფასებულ რეგრესიაში არაფორმალური ინსტიტუტების ინსტრუმენტულ ცვლადად განიხილება შერჩევაში შემავალი ქვეყნების მიერ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში გატარებული წლების რაოდენობა, ხოლო ფორმალური ინსტიტუტების ინსტრუმენტულ ცვლადად კი - ინსტიტუციური გამოცდილება ანუ წლების რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც ქვეყანა იყო დამოკიდებული, დამოუკიდებელი სახელმწიფო საბჭოთა კავშირში შესვლამდე. გარდა ამისა, შეფასებათა ძალმოსილების უზრუნველსაყოფად რეგრესიებში დამატებით ჩავრთეთ სხვადასხვა ამსხნელი ცვლადი, რომლებიც ჩვენი აზრით, გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხარისხზე. მათ რიცხვში შედის სხვადასხვა ეკონომიკური და გეოგრაფიული ცვლადი. უფრო კონკრეტულად, ეკონომიკურ ცვლადებად ვიყენებთ რესურსებს, როგორც ქვეყნის სიმდიდრის მაჩვენებელს (de Melo et al. 2001) და ქვეყნის გახსნილობას, რომელსაც გზომავთ სავაჭრო ბრუნვის წილით მთლიან შიგა პროდუქტში; გეოგრაფიულ ცვლადებად კი ვიყენებთ მანძილს ეკვადორიდან (La Porta et al. 1999) და ქვეყნისთვის ზღვაზე გასავლელის (CIA World Factbook webpage) არსებობას ან არ არსებობას. ადსანიშნავია, რომ უკალი ეს საკონტროლებელი ცვლადი სხვადასხვა მკლევარის მიერ ფართოდ გამოიყენება ეკონომიკური ზრდის რეგრესიებში (Acemoglu and Johnson 2005; Beck and Laeven 2006; de Melo et al. 2001; La Porta et al. 1999; Schönenfelder and Wagner 2016).

#### შედეგები

ცხრილი 1-ში წარმოდგენილია 2016 წლის ჯვარედინი მონაცემების გამოყენებით შეფასებული მოდელის ეჭვის განსხვავებული სპეციფიკაციის შედეგები. ეს სპეციფიკაციები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ამსხნელი ცვლადების შემადგენლობით, ხოლო დამოკიდებული ცვლადი უკელა მათგანში არის მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე. პირველ ორ სვეტში წარმოდგენილი მოდელები გვიჩვენებს დამოკიდებულებას კანონის უზენაესობასა და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლებს შორის. პირველისგან განსხვავდებით, მეორე მოდელში ჩართული გვაქვს დამატებითი საკონტროლებელი ცვლადები. ორივე ამ მოდელის მიხედვით, კანონის უზენაესობის კოეფიციენტი მნიშვნელოვანია 5%-იან დონეზე. მომდევნო ორ სვეტში ამსხნელ ცვლადად, კანონის უზენაესობის ნაცვლად, გამოყენებულია გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე დაწესებული შეზღუდვები. ამ

ცხრილი 1: ჯვარედინი რეგრესია. დამოკიდებული ცვლადი მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (ppp)

	(1)	(2)	(3)	(4)	(5)	(6)
კანონის უზენაესობა	6,871** (2423)	5,176** (1970)			11,171*** (2855)	7,221*** (1921)
შეზღუდვა		400 (1122)	(318) (950)	-2,343*** (1044)	-1,628** (730)	
მანძილი ეკვადორიდან	63,726*** (18556)		95,111*** (20854)		66,824*** (15967)	
რესურსები		4,967*** (1587)	2841 (2373)		3,073* (1604)	
მუდმივი	17,982*** (2217)	-19,889* (10192)	13,772** (5572)	-35,339*** (10506)	29,824*** (5622)	(12241)
დაკვირვებათა რიცხვი	15	15	15	15	15	15
R-კვადრატი	0.38	0.81	0.01	0.69	0.57	0.87
ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული გადახრები						
*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1						

რეგრესიებიდან პირველში კოეფიციენტი არაა მნიშვნელოვანი და აქვს არამოსალოდნელი ნიშანი. მოდელში დამატებითი ამსხველი ცვლადების ჩართვით შეზღუდვის კოეფიციენტი მანც არამნიშვნელოვანია, თუმცა აქვს მოსალოდნელი ნიშანი. ცხრილის ბოლო ორი მოდელი გვიჩვენებს ორივე ცვლადის მოდელში ერთდროულად ჩართვისას მიღებულ შედეგებს. ორივე ამ რეგრესიაში კანონის უზენაესობისა და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა შეზღუდვის კოეფიციენტებს აქვს მაღალი მნიშვნელოვნების ხარისხი. კერძოდ, კანონის უზენაესობა მნიშვნელოვანია 1%-იან დონეზე, ხოლო შეზღუდვა 5%-იან დონეზე.

როგორც მეთოდოლოგიურ ნაწილში აღნიშნეთ, პირველ ცხრილში მოცემული რეგრესიების შედეგების ინტერპრეტაციისას უნდა გამოვიჩინოთ სიფრთხილე, რადგან ამ მოდელებში გვაქვს ენდოგენურობის პრობლემა, რომლის

ცხრილი 2: ჯვარედინი რეგრესია ინსტრუმენტული ცვლადით. დამოკიდებული ცვლადი მშპ მოსახლეობის ერთ სულხე

	(1)	(2)	(3)	(4)	(5)	(6)
კანონის უზენაესობა	6,332** (3045)	6,185** (3073)			14,105*** (4604)	9,639*** (2638)
შეზღუდვა			4,764* (2647)	8757 (9033)	(3117) (2203)	(1753) (1900)
მანძილი ეკვადორიდან		58,155*** (21391)		14906 (94105)		54,574*** (16909)
რესურსები		5,285*** (1593)		16992 (14894)		3641 (2700)
მუდმივი	17,789*** (2192)	(16823) (11760)	(5432) (12171)	(43327) (28467)	34,279*** (11281)	(4784) (11183)
დაკარგებათა რიცხვი	15	15	15	15	15	15
R-კვადრატი	0.38	0.80			0.53	0.85
ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული გადახრები						

\*\*\* p<0.01, \*\* p<0.05, \* p<0.1

ადმოსაფხვრელად გამოვიყენებოთ ინსტრუმენტული ცვლადის მიღეომას. ცხრილი 2 გვიჩვენებს ინსტრუმენტული ცვლადების გამოყენებით მიღებული რეგრესიების შედეგებს. კანონის უზენაესობის ინსტრუმენტად გამოყენებულია საბჭოთა კავშირში წევრობის წლები. გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე დაწესებული შეზღუდვების ინსტრუმენტად კი დამოუკიდებლობის წლები. როგორც რეგრესიებიდან ჩანს, კანონის უზენაესობას მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტი აქვს ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების განსაზღვრაში, მაშინ, როცა გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე დაწესებული შეზღუდვის კოეფიციენტი, თოთქმის ყველა სპეციფიკაციაში, არამნიშვნელოვანია. მაშასადამე, რეგრესიის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია დაგასცვნათ, რომ მოცემულ ქვეყნებში ცხოვრების დონეებს შორის განსხვავებას ძირითადად არაფორმალურ ინსტიტუციებს შორის განსხვავება განაპირობებს. ცხრილ 2-ში წარმოდგენილ რეგრესიებთან დაკავშირებით ყველა სტანდარტული ტესტი გვიჩვენებს, რომ ჩვენი ინსტრუმენტები ვალიდურია.

ჯვარედინი მონაცემებით შეფასებული რეგრესიის მოდელების შედეგების ინტერპრეტაციისას გარკვეული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, რადგან აღნიშნულ რეგრესიებში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა დაკვირვებათა რიცხვის სიმცირეა. აღნიშნულის გამო, პირველსა და მეორე ცხრილებში მოყვანილ მოდელებს ჩვენ განვიხილავთ, როგორც საბაზისო ვარიანტებს, რომლებიც გარკვეულ საწყის წარმოდგენას გვიქმნიან დამოკიდებულ და ამსხველ ცვლადებს შორის არსებულ კავშირზე.

დაკვირვებათა რიცხვის სიმცირის პრობლემის აღმოსაფხვრელად და წლების მანძილზე დაგროვებული ინფორმაციის სრულად გამოყენების მიზნით,

ცხრილი 3: პანელური რეგრესია ინსტრუმენტული ცვლადით.

დამოკიდებული ცვლადი შპპ მოსახლეობის ერთ სულზე

	(1)	(2)	(3)	(4)	(5)
კანონის უზენაესობა	5,442*** (1629)	4,305*** (1054)			5,948*** (1216)
შეზღუდვა			1507 (945)	678 (819)	-1,614*** (564)
მანძილი ეკადორიდან	50,642*** (7605)		57,569*** (13637)	45,713*** (7084)	
ჩაკვტილი	1792 (1326)		899 (2990)	931 (1414)	
მასალების ექსპორტი	217.2*** (28)		190.6*** (46)	142.1*** (36)	
ვჭრობის ღიაობა	-44.87*** (14)		(19)	(17)	
მუდმივი	12,295*** (1440)	-15,531*** (4603)	2053 (4315)	-25,907*** (8848)	(4715) (5860)
დაკვირვებათა რიცხვი	315	315	373	330	315
ქვეყანა	15	15	15	15	15

ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული გადახრები

\*\*\* p<0.01, \*\* p<0.05, \* p<0.1

ანალიზში ჩატრეთ პანელი, რომელიც შეიცავს 15 ქვეყნის მონაცემებს 1996 წლიდან 2016 წლის ჩათვლით. მე-3 ცხრილში წარმოდგენილია ამ მონაცემებით შეფასებული რეგრესიების შედეგები. აღსანიშნავია, რომ შეფასებისას გამოვიყენეთ შემთხვევითი ეფექტების (Random Effects) მეთოდი, რომელიც დროში არაცვალებადი არადაკვირვებადი ეფექტების გათვალისწინების საშუალებას გვაძლევს. გარდა ამისა, დაკვირვებათა რიცხვის გაზრდამ მოდელში დამატებითი ამსახური ცვლადების ჩართვის საშუალება მოგვცა. კერძოდ, ჯვარედინ რეგრესიებში გამოყენებულ საკონტროლებელ ცვლადებთან ერთად გავითვალისწინეთ ასევე პირველადი მასალების (ბუნებრივი რესურსების) ექსპორტის წილი მთლიან შიგა პროდუქტში და ქვეყნების ზღვაზე ხელმისაწვდომობის (ლანდლოკედ) სტატუსი. ჯვარედინი რეგრესიების მსგავსად, პანელურ რეგრესიებშიც ვიყენებთ ინსტრუმენტული ცვლადის მიღებრის. როგორც მე-3 ცხრილიდან ჩანს, განხილულ რეგრესიებიდან უმრავლეს შემთხვევაში (პირველი, მე-2 და მე-5 რეგრესია) კანონის უზენაესობას საკმაოდ ძლიერი დადგებითი გავლენა აქვს შედეგობრივ ცვლადზე (ერთ სულზე გაანგარიშებულ შემოსავლებზე). ამავე დროს, გადაწყვეტილების მიმდებ პირებზე დაწესებული შეზღუდვის აღმნიშვნელი ცვლადი ორ მოდელში (მე-3 და მე-4) სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის, ხოლო ერთ მოდელში (მე-5 მოდელი) არამოსალოდნელი ნიშნის მქონეა. ცხრილში წარმოდგენილი რეგრესიები ასევე გვიჩვენებენ, რომ მანძილს ეკვადორიდან და პირველადი მასალების ექსპორტს ძლიერი გავლენა აქვს შედეგობრივ ცვლადზე.

### დასკვნა

დასახრულს შეგვიძლია ვთქვათ, რომ როგორც ჯვარედინი, ასევე პანელური მონაცემების რეგრესიებით ჩატარებულმა კვლევამ ძირითადად დაადასტურა პიპორება, რომლის თანახმადაც, ქვეყნების ცხოვრების დონეებს შორის განსხვავების ასსნაში საკვანძო როლს თამაშობს განსხვავება არაფორმალურ ინსტრუმენტების შორის. აქედან პირდაპირ გამომდინარეობს რეკომენდაცია: თუ ქვეყნებს

სურთ, რომ ფორმალურ ინსტიტუციებში განხორციელებულმა ცვლილებებმა რეალურად იმუშაოს პრაქტიკაში, მათ აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ არსებული არაფორმალური ინსტიტუციები. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ეს ორი ინსტიტუცია ერთმანეთზე გამუდმებით ზემოქმედებს და ამ ურთიერთკავშირით განისაზღვრება ინსტიტუციების საბოლოო სახე. თუმცა, როგორც დუგლას ნორთი ადნიშნავს, ერთია, ადწერო ეკონომიკური ცვლილებები, მეორე - გამოწერო სწორი რეცეპტი იმისათვის, თუ როგორ შეცვალო პრაქტიკაში ინსტიტუციები უკეთესობისკენ, რათა მათმა გაუმჯობესებულმა ხარისხმა უზრუნველყოს ქვეყნის სწრაფი განვითარება. მიგვაჩნია, რომ საჭიროა კვლევების გაგრძელება ინსტიტუციების ცვლილების განმსაზღვრელი ფაქტორების მიმართ ულებით. ასევე საჭიროა იმის ანალიზი, თუ როგორ იღებს საზოგადოება გადაწყვეტილებას ინსტიტუციების ცვლილებასთან დაკავშირებით და რა ფაქტორები თამაშობენ გადამწყვეტ როლს ამ პროცესში.

### გამოყენებული ლიტერატურა

- Acemoglu, Daron. 1995. “Reward Structures and the Allocation of Talent.” *European Economic Review*.
- Acemoglu, Daron, and Simon Johnson. 2005. 113 *Journal of Political Economy Unbundling Institutions*. <https://economics.mit.edu/files/4467> (September 13, 2018).
- Acemoglu, Daron, Simon Johnson, and James A Robinson. 2001. “The Colonial and Origins of Comparative and Development: An and Empirical Investigation.” *American Economic Review* 91(5): 1369–1401.
- . 2005. “Institutions as a Fundamental Cause of Long-Run Growth.” In *Handbook of Economic Growth*, eds. Philippe Aghion and Steven N Durlauf. Elsevier.
- Alchian, A.A. 1965. “Some Economics of Property Rights.” In *Economic Forces at Work*.
- Alchian, Armen A., and Harold Demsetz. 1973. “The Property Right Paradigm.” *The Journal of Economic History*.
- Angeles, Luis. 2011. “Institutions, Property Rights, and Economic Development in Historical Perspective.” *Kyklos*.
- Beck, Thorsten, and Luc Laeven. 2006. “Institution Building and Growth in Transition Economies.” *Journal of Economic Growth* 11(2): 157–86. <http://dx.doi.org/10.1007/s10887-006-9000-0>.
- Cass, David. 1965. “Optimum Growth in an Aggregative Model of Capital Accumulation.” *The Review of Economic Studies* 32(3): 233. <https://academic.oup.com/restud/article-lookup/doi/10.2307/2295827> (September 26, 2018).
- Cheung, Steven N S. 1983. “The Contractual Nature of the Firm.” *The Journal of Law & Economics* 26(1): 1–21. <http://www.jstor.org/stable/725182>.
- Coase, R. H. 1937. “The Nature of the Firm.” *Economica*.
- Eydam, Ulrich, and Irakli Gabriadze. 2018. “Institutional Development in Transition Economies - The Role of Institutional Experience.” <https://mpra.ub.uni-muenchen.de/87395/> (September 22, 2018).
- Glaeser, Edward L., Rafael La Porta, Florencio Lopez-de-Silanes, and Andrei Shleifer. 2004. “Do Institutions Cause Growth?” *Journal of Economic Growth*.
- Gorodnichenko, Yuriy, and Gerard Roland. 2017. “Culture, Institutions, and the Wealth of Nations.” *Review of Economics and Statistics*.
- Hodgson, Geoffrey. 2006. “What Are Institutions?” *Journal of Economic Issues*.
- Jüttig, Johannes. 2003. *Institutions and Development: A Critical Review*. <https://ideas.repec.org/p/oec/devaaa/210-en.html>.
- Kähkönen, Satu, and P. Meagher. 2002. “Contract Enforcement and Economic Performance.” *Journal of African Finance and Economic Development*.

- Kaufmann, Daniel, Aart Kraay, and Massimo Mastruzzi. 2010. “The Worldwide Governance Indicators : Methodology and Analytical Issues.” *World Bank Policy Research Working Paper* (5430).
- Knack, Stephen, and Philip Keefer. 1995. “Institutions and Economic Performance: Cross-Country Tests Using Alternative Institutional Measures.” *Economics and Politics* 7(3): 207–27.
- Knowles, Stephen, and Clayton Weatherston. 2006. “Informal Institutions and Cross-Country Income Differences.” *Credit Research Paper*.
- Koopmans, Tjalling. 1963. *On the Concept of Optimal Economic Growth*. <https://econpapers.repec.org/RePEc:cwl:cwldpp:163>.
- Leblang, David A. 1996. “Property Rights, Democracy and Economic Growth.” *Political Research Quarterly*.
- de Melo, Martha, Cevdet Denizer, Alan Gelb, and Stoyan Tenev. 2001. “Circumstance and Choice: The Role of Initial Conditions and Policies in Transition Economies.” *World Bank Economic Review* 15(1): 1–31.
- North, Douglass C., and Robert Paul Thomas. 1973. “The Rise of the Western World:” *A New Economic History*, Cambridge, Cambridge University Press.
- North, Douglass C. 1991. “Institutions.” *Journal of Economic Perspectives*.
- North, Douglass Cecil. 1990. “Institutions, Institutional Change, and Economic Performance.” *Economic Perspective*.
- Papava, Vladimer. 2005. *NECROECONOMICS: THE POLITICAL ECONOMY OF POST-COMMUNIST CAPITALISM (Lessons from Georgia)*.
- La Porta, Rafael, Florencio Lopez-de-Silanes, Andrei Shleifer, and Robert Vishny. 1999. “The Quality of Government.” *Journal of Law, Economics and Organization*.
- Roland, Gerard. 2004. “Slow-Moving Institutions.” *Studies in Comparative International Development* 38(4): 109–31.
- Schönenfelder, Nina, and Helmut Wagner. 2016. “Impact of European Integration on Institutional Development.” *Journal of Economic Integration* 31(3): 472–530.
- Solow, Robert M. 1956. “A Contribution to the Theory of Economic Growth.” *The Quarterly Journal of Economics* 70(1): 65–94.
- Stone, a., B. Levy, and R. Paredes. 1992. Policy Research Working Paper Series, the World Bank *Public Institutions and Private Transactions: The Legal and Regulatory Environment for Business Private Transactions in Brazil and Chile*.
- Tabellini, Guido. 2010. “Culture and Institutions: Economic Development in the Regions of Europe.” *Journal of the European Economic Association* 8(4): 677–716. <https://academic.oup.com/jeea/article-lookup/doi/10.1111/j.1542-4774.2010.tb00537.x> (September 22, 2018).

**Irakli Gabriadze**  
PhD student, Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Faculty of Economics and Business

## INSTITUTIONS AND DEVELOPMENT: THE EXPERIENCE OF POS-SOVIET UNION ION Expanded summary

The author wants to thank professor Iuri Ananiashvili for his helpful comments and suggestions. This work was supported by the Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF) [grant number: PhD-F-17-137, Project Title: The Role of Institutions in Economic Growth and Development Models (Lessons from the Post-Soviet Union Countries)].

**JEL codes:** O43, P14, P20, P30

**Keywords:** Institutions, Economic Development, Post-Soviet Union Countries, Transition Economies

In the paper, based on the experience of the Post-Soviet Union countries, the author analyses the importance of institutions for economic development. In particular, the role of formal and informal institutions is assessed. To test the relationship, cross section as well as panel data regressions methods are deployed. In addition, to account for endogeneity in the regressions, instrumental variable approach is used. The main result is that informal institutions are more important in determining the level of economic development in our sample countries than formal institutions. Proposed explanation is that implemented reforms in formal institutions during the transition process were not consistent with informal institution, therefore reformers fails and were never adopter in practice.

When looking at post-Soviet Union countries one of the most vivid observation is that there is considerable difference in terms of economic development of these countries. On the one hand we see the countries, which have achieved the good level of development, on the other hand there are countries, which are still straggling to transform their economic and political system. The pattern is especially surprising if we will take into consideration that at the moment of the dissolution these countries were at the same level of development. Therefore, the question which is arising naturally is that why some countries managed to achieve fast economic development over the last 25 years, while others failed to do so?

To answer the question, the author analyses the role of institutions in determination the level of economic development. Economics agree that institutions play an important role in determining the level of economic development. The main channel through which the institutions are able to do so is their ability to reduce transaction cost in an economy. However, disagreement exists about the type of institutions that matters the most. In this paper the role of formal and informal institutions is analyzed.

Under informal institutions culture, habits, world views of a society and taboos are meant. The main characteristics of these institutions is that they change slowly over time. Under formal institutions we mean constitutions, laws, legislation and other formal documents determining the roles and functions of different government entities and agencies. Unlike to informal institutions, it is relatively easy to make changes in formal institutions in relatively short period of time. As Hogson (2006) argues, in practice we often have a case when the implemented reform in formal institutions does not work. In the author's view, the main reason is that formal institutions are not consistent with informal institutions. Therefore, in order to understand how institutional environment is formed in the country and how institutions contribute in the countries' economic development it is important to analyze both group of institutions.

When talking about formal institutions, property rights and contract enforcement institutions are the most often discussed. As Acemoglu and Johnson (2005) argue, property right institutions are those regulating the relationship between government and private sector, since the main threat of violation of property rights come from the government. When it comes to contract enforcement institutions, they are institutions regulating relationship between two private parties and since they are not complete and completely enforceable there is the risk of opportunism from either side. Elimination of the risk requires strong institutional arraignment in the country.

After the dissolution of the Soviet Union, all former member countries were trying to transform their economic system from planned to market oriented. With the help of the international aid organizations and the governments of different countries the changes in formal institutions were more or less implemented successfully. However, in some countries newly imposed institutional changes were not consistent with existing informal institutions and the implemented reforms failed. In the second half of the countries, the institutional changes were consistent with informal institutions and therefore they managed to establish strong and growth supporting institutions right from the beginning.

In this paper, we empirically test the relationship between economic development and institutional quality based in the evidence from post-Soviet Union countries. First, we will use cross section data for the analyses. Next, to use all the information accumulated over the years main model will switch to panel regression. In the regression analyses, to address potential endogeneity and omitted variable problems we will use instrumental variable approach and additional control variables. To measure informal institutions, we will use index of rule of law from the World Bank World Governance Indicators. As an instrument for informal institutions we follow Beck and Laeven (2006) and use the years under socialism. The measure is the number of years the country was member of the Soviet Union and is meant to capture collectivism and individualism nature of a society. To measure formal institutions, we use constraints on executives from Polity IV project. As an instrument of the formal institutions we follow Eydam and Gabriadze (2018) and use the measure of institutional experience, the number of years during which the country was independent before joining the union. This measure is intended to capture the experience of self-administration and forming functional formal institutions, which could have been used as a benchmark during the transition period.

To measure the economic development of the country we use ppp adjuster GDP per capita for these countries. As an additional control different Geographic and economic measure are used in regression analysis, including absolute latitude, landlocked status, trade share in GDP and export of natural resources.

Regression analysis showed that informal institutions play more important role in determining the level of economic development in a set of post-Soviet Union countries. Therefore, if the countries want the implemented reforms in formal institutions to work in practice, they should take into consideration existing informal institutions. Also, it should be taken into account that these institutions constantly interact and their interaction determines the institutional arrangement of a country. However, one thing is to describe the existing situation and the other is to determine particular steps to change the situation and help least developed countries to achieve economic development. for this purpose, it is important to continue research to explain the causes of institutional development and change.

**Vakhtang Chkareuli**  
PhD Candidate in Economics  
(Tbilisi State University – Department of Macroeconomics)

## GOVERNMENT ACTION AND ECONOMIC FREEDOM

**Paper is published in the framework of Shota Rustaveli National Science Foundation  
PhD Grants Project N PhD2016\_145**

**Summary.** Fundamentally, there are only two ways of coordinating the economic activities of millions. One is central direction involving the use of coercion, so called the technique of the army and of the modern totalitarian state. The other is voluntary co-operation of individuals - the technique of the market place. As Milton Friedman, has mentioned in his public speeches, the government solution to a problem is usually as bad as the problem and very often makes a problem worse. In this paper, we are going to discuss the role of government to create a framework for the whole economy so that economic agents can benefit the most.

**Key words.** Economic Freedom; Economic Freedom Index; Economic Growth; Government.

### Introduction – Description of Economic Freedom

A common objection to totalitarian societies is that they regard the end as justifying the means. Liberals disagree with this statement and argue that appropriate means are free discussion and voluntary co-operation, which implies that any form of coercion is inappropriate.

Basically, individuals can be considered as economically free when (a) property they acquire without the use of force, fraud, or theft is protected from physical invasions by others, and (b) they are free to use, exchange, or give their property to another as their actions do not violate the identical rights of others.

Economic freedom is the fundamental right of every individual to control his/her own labor and property. In an economically free society, people are free to choose whether they want to work or not, produce, invest etc. The success of every individual depends on their own labor and initiative, their personal effort and ability. Institutions do not discriminate either or in favor of people to any factor unrelated to individual merit, government decision making is characterized by openness and transparency. The allocation of resources for production/consumption is based on the open competition so that every individual gets the chance to succeed.

It is important to distinguish economic freedom from political and civil liberties. Political liberty means that citizens are free to participate in the political processes (vote, lobby, and choose among candidates), elections are fair and competitive, and alternative parties are allowed to participate freely. Civil liberty encompasses the freedom of the press and the rights of individuals to assemble, hold alternative religious views, receive a fair trial and express their views without fear of physical retaliation.

The key ingredients of economic freedom are personal choice, free competition and protection of private property.

### Government as a Rule-Maker

When we are talking about what should be the role of government, first of all we must sign that it must do something that the market cannot do for itself, namely, to determine, arbitrate and enforce the rules of the game.

Discussion economic freedom, people see a critical relationship between individuals and government. Generally, state action or government control that interferes with individual autonomy limits economic freedom, but the goal is not simply an absence of government coercion.

The government has its exclusive role in this layout. It can provide a legal structure and a law-enforcement system that will protect the property rights of owners and enforce contracts in an evenhanded manner.

When governments substitute taxes, government expenditures, and regulations for personal choice, voluntary exchange, and market coordination, they reduce economic freedom.

#### References

- Goldsmith, M. (2010). THEORIES OF URBAN POLITICS edited by Jonathan S. Davies and David L. Imbroscio. Public Administration, 88(2), 597-599.
- Mollenkopf, J. H. (1975). The post-war politics of urban development. Politics & Society, 5(3), 247-295.
- DiGaetano, A., & Klemanski, J. S. (1993). Urban regimes in comparative perspective: The politics of urban development in Britain. Urban Affairs Quarterly, 29(1), 54-83.
- Lowndes, V., & Pratchett, L. (2012). Local governance under the coalition government: Austerity, localism and the ‘Big Society’. Local government studies, 38(1), 21-40.
- Bailey, S. J. (1999). Local government economics: principles and practice. Palgrave Macmillan.
- Pratchett, L. (2004). Local autonomy, local democracy and the ‘new localism’. Political studies, 52(2), 358-375.
- Friedrich, C. J. (1941). Constitutional government and democracy; theory and practice in Europe and America.
- Zhang, L. F., & Sachs, J. (1997). Assessing thinking styles in the theory of mental self-government: A Hong Kong validity study. Psychological reports, 81(3), 915-928.
- R Gvelesiani, I Gogorishvili - The Basic Problems for the Realization of the Concept of Economic Policy. [PDF] waset.org  
[https://scholar.google.com/scholar?start=0&q=Irina+Gogorishvili&hl=en&as\\_sdt=0,5](https://scholar.google.com/scholar?start=0&q=Irina+Gogorishvili&hl=en&as_sdt=0,5)  
(Accessed 12 December 2017)
- Irina Gogorishvili. Foreign Economic Policy of Georgia Since Gaining the Independence. [PDF] utlib.ee <https://ojs.utlib.ee/index.php/TPEP/article/viewFile/12984/8067>;  
[https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2840803](https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2840803)  
(Accessed 13 December 2017)
- Sepashvili E. Economic Aspects of Gender Discrimination in the Georgian Labour Market: Myths and Realities  
<http://georgica.tsu.edu.ge/files/03-Society/Gender%20&%20Family/Sepashvili-2012.pdf>  
(Accessed 11 December 2017).
- Gagnidze I., Cluster as a tool for the challenges of development, STRATEGICA, International Academic Conference– Third Edition –Local versus Global Bucharest, Romania, October 29-31, 2015, ISSN: 2392-702X; ISBN: 978-606-749-054-1, pp.336-344.  
<http://meu.usue.ru/attachments/article/207/CROSS-CULTUR-AL%20VARIATIONS%20IN%20CONSUMER%20BEHAVIOUR%20LITERATURE.pdf>  
(Accessed 11 December 2017).

ერეკლე ზარანდია  
თხუ დოქტორანტი  
ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკის შემოსავლების  
განვითარება საქართველოში, სამეცნიერო-ზემო სენატის რეზიტის  
მაგალითზე  
გაფართოებული რეზიუმე

გეოგრაფიული ადმინისტრაციული ერთეულით, სოფელი არის ყველაზე მცირე, მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში მყოფი ერთეული და სავსებით დოგიკურია, როცა ქვეყანაში ყველაზე პატარა ტერიტორია მდიდარია, ქვეყანაც მდიდარია. კვლევითი პროექტის თქმა არის საქართველოსთვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის განვითარება მოგვცემს შეუძლებად ეკონომიკურ პრო-

ცეს. საქართველოს ეკონომიკური პროგრესი დამოკიდებულია ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებაზე. ამ პროცესის წინაპირობა არის საკითხის გამოკვლევა და კვლევის ეფექტიანობაზეა დამოკიდებული განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება.

ადგილობრივი თვითმმართველობის არის და დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ ადგილობრივი საზოგადოების წინაშე არსებულ პრობლემათა დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლება, საერთო კეთილდღეობაზე ზრუნვის შესაძლებლობა და საკუთარ თანასაზოგადოების ბედზე პასუხისმგებლობა. ამავე დროს, ეს ვერ ჩამოყალიბდება, თუ სწორად არ გაიმიჯნა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების უფლებები, მოვალეობები და ვალ-დებულებები.

სწორედ მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობის განხორციელებაში არის თვითმმართველობის დამოუკიდებლობის უმთავრესი გარანტი და თვითმმართველობის განხორციელების შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი. რაც უფრო მეტი მოქალაქე ჩართული თვითმმართველობის ეფექტიან განხორციელებაში, მით უფრო მაღალია თვითმმართველობის განხორციელების ხარისხი.

საქართველოში თვითმმართველობის განვითარების მიზნით, დღემდე ჩატარებული რეფორმების უმთავრესი ნაკლი თვითმმართველობის ჩამოყალიბების პროცესში თვითმმართველობის მთავარი სუბიექტის და მოსახლეობის ინტერესთა ჯგუფების არასაკმარისად გათვალისწინება. ამიტომაც თვითმმართველობის ორგანოები კვლავინდებურად დამოკიდებული არიან უფრო მეტად ცენტრალურ ხელისუფლებაზე და არა იმ ინტერესების რეალიზაციაზე, რაც არის მათი არსებობის საფუძველი.

თვითმმართველობის სფეროში ჩატარებული რეფორმების ხარვეზები განპირობებულია იმითაც, რომ ეს რეფორმები იგეგმება და ნორმატიულ შინაარსს იძენს საქართველოში ამ პროცესის მიმდინარეობის სიღრმისცეული შესწავლისა და მეცნიერულად გაზრდების გარეშე. სამწუხაროდ, საქართველოში ძალზედ მწირია მეცნიერული შრომები ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ხოლო შენიცალური სამართალი, მხოლოდ ჩამოყალიბების ეტაპზე.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად მარტივი გზის ძიება და ევროპის განვითარებული ქვეყნების თვითმმართველობის მოდელების ინდენტურად გადმოტანა ვერ იქნება შედეგის მომზანი. ევროპის ქვეყნებში თვითმმართველობები შეიქმნა ბუნებრივი გზით, მოსახლეობის თვითორგანიზების ინსტიტუციური გაფორმებით. საქართველოში არის რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა. თვითმმართველობის ჩამოყალიბება და რეფორმირება ხდება „ზემოდან“, საკანონმდებლო აქტების მიღებითა და მათი ცვლილებებით.

ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია ყველა პოსტსაბჭოური ქვეყნისათვეს, რომელთაც 70 წელზე მეტი მოუწიათ ზეცნიტრალიზებული მართვის პირობებსა და ტოტალიტარულ რეჟიმში ცხოვრიბა. აქედან გამომდინარე, აქტუალურია ადგილობრივი თვითმმართველობებში არსებული პრობლემების მეცნიერული შესწავლა და შესაბამისი გზების დასახვა. განსაკუთრებით შეიძლება უშუალოდ საქართველოს მაგალითზე ჩატარებული მეცნიერული კვლევები, სხვა პოსტ-კომუნისტური ქვეყნების ჭრილში.

ოცდახუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკისკენ ტრანსფორმაცია დაიწყო. შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველო საბაზრო ეკონომიკათა რიგს მიეკუთვნება. თუმცა, როგორც ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში, აქტუალობას არ კარგავს ინსტიტუციურ ცვლილებათა აქტიური პროცესი. ერთის მხრივ, საბჭოთა ეპოქის შემდეგ შეიქმნა ფორმალური ინსტიტუტები, რომლებიც მეტნაკლებად პასუხობენ თანამედროვე გამოწვევებს და მოქმედებენ ქვეყნის სო-

ციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. მეორეს მხრივ, დროში ნელ-ნელა იცვლება არაფორმალური ინსტიტუტები, რომელთაც შედარებით დიდი დრო სჭირდებათ ტრანსფორმაციისათვის.

მსგავსად ფორმალური ინსტიტუტებისა, არაფორმალურ ინსტიტუტებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ქვეყნის განვითარებაზე. სწორედ აქ იკვლება ხშირად განვითარებად ქვეყნებში პრობლემა, არსებული არაფორმალური ინსტიტუტების შეუთავსებლობით ფორმალურ ინსტიტუტებთან და ეკონომიკურ პროცესებთან.

სსენებული პრობლემა მოიცავს საზოგადოების და ბიზნესის ირაციონალურ მოლოდინებს, მოქმედი ფორმალური ინსტიტუტების არაეფექტურობას, აღამიანების ნდობის ხარისხს საჯარო თუ კერძო ორგანიზაციების მიმართ, საზოგადოებრივ დამოკიდებულებას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზის მიმართ, საბაზისო ეკონომიკურ განათლების დონეს, მოსახლეობის წარმოდგენების ეკონომიკურ ცხოვრებაში საკუთარი და სახელმწიფო როლის შესახებ.

### **თათია უდესიანი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორატი**

#### **შიდა პონტოროლის სისტემის ორგანიზაციულ სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვაში**

**რეზიუმე.** საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაკავშირდებული პროცესების ეფექტური მართვა ერთადერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რადგან იგი უზრუნველყოფს ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯებას, ჯანხალი კონკურენციის საფუძველზე ეკონომიკურ და ხარისხის მომსახურებასა თუ საქმის მიწოდებას, პროცესების ხაჯარობასა და სხვ. თავის მხრივ, სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვაში შიდა კონტროლის ხისტებას მნიშვნელოვანი როლი უკავია, რისი საშუალებითაც ხდება ხარჯებისა და რისკების მინიმუმამდე შემცირება.

**საქანძო სიტყვები:** სახელმწიფო უნივერსიტეტი, შიდა კონტროლი, შიდა აუდიტი, ეფექტურობა, რისკი.

#### **შესავალი**

სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაკავშირებულ პროცესებს არეგულირებს საქართველოს კანონი „სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ“, რომლის მიზანია: სახელმწიფო უნივერსიტეტის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯების უზრუნველყოფა, სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქმის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯაროების უზრუნველყოფა და ა.შ.

ამდენად, საბიუჯეტო ორგანიზაციებში სახელმწიფო უნივერსიტეტის ეფექტური მართვა უმნიშვნელოვანესი საკითხია ორგანიზაციის ფინანსური სახსრების ეკონომიკურად და პროდუქტულად განკარგებისათვის. აღნიშნული საკითხის რეგულირებაში კი შიდა კონტროლის სისტემას მნიშვნელოვანი როლი უკავია.

\*\*\*

საბიუჯეტო სექტორში არსებული მდგრადი რეალობის შესწავლის მიზნით, მოვახდინეთ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში არსებული მდგრადი რეალობის შეფასება 2014-2017

წლების მიხედვით<sup>22</sup>. კვლევისა და ანალიზის პროცესში გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევები, რაც გამოწვეული იყო შემდეგი ძირითადი მიზეზით:

- ✓ საბიუჯეტო თანხები გადარიცხულია სრულყოფილი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე;
- ✓ დაუსაბუთებლად გაზრდილია სამუშაოთა მოცულობები და ერთეულის დირექტორები. ანაზღაურებულია შესრულებული სამუშაოები;
- ✓ სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოყენებულია სუსტი კონტროლის მექანიზმები;
- ✓ სამუშაოს შესრულების ვადებში ცვლილებები შეტანილია სათანადო დასაბუთების გარეშე, რის გამოც, არ არის გამოყენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები;
- ✓ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები მოლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებელია;
- ✓ სატენდერო პროცედურებისას ადგილი ჰქონდა პრეტენდენტთა არასამართლიან შერჩევას, შეფასებას, დისკვალიფიკაციას;
- ✓ დაუსაბუთებლად არის ანაზღაურებული და გაწვეულია არაეფექტიანი ხარჯები.

ჩვენი შეფასებით, ზემოაღნიშნული ხარვეზები მიუთითებს რამდენიმე სახის პრობლემაზე, რომელთა შორის უმნიშვნელოვანების როლი უკავია შიდა კონტროლის ფუნქციონირების სისუსტეებს ორგანიზაციებში. პირველ ეტაპზე, თუკი საკითხს განვიხილავთ შიდა აუდიტის ფუნქციონირების კუთხით, რადგან იგი შიდა კონტროლის სისტემის ნაწილს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ხარვეზები, უმრავლეს შემთხვევაში, შიდა აუდიტორულ ანგარიშებში არ გვხვდება. აქედან გამონდინარე, შეგვიძლია დავსკვნათ, რომ ორგანიზაციაში შიდა აუდიტის ფუნქციონირება არაეფექტურია, რადგან იგი ვერ აღწევს მის მიერ დასახულ მიზნებსა და ამოცანებს, კერძოდ:

1. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხები, მით უფრო მაშინ, როდესაც ორგანიზაციაში არ არსებობს ეფექტური და ადეკვატური კონტროლის სისტემები, მაღალი რისკის მატარებელია. თუკი შიდა აუდიტი მოახდენდა რისკის ანალიზს, მაშინ სახელმწიფო შესყიდვების პროცესი უნდა შეფასებულიყო ერთ-ერთ მაღალი რისკის მქონე პროცესად, რადგან იგი, თავის მხრივ, დაპავშირებულია ისეთ რისკებთან, როგორიცაა: საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი, არარაციონალური და არაეკონომიური ხარჯვა, კონკურენციის შეზღუდვა, სამართლებრივი დავის შესაძლებლობა, ფინანსური ზიანი და სხვ.

2. თუკი განვიხილავთ იმ შემთხვევას, როდესაც სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხები შემოწმდა აუდიტის ფარგლებში, მაშინ საკითხი სხვაგარად დგას - შიდა აუდიტორული შემოწმება ჩატარდა რისკის ანალიზის გარეშე. მნიშვნელოვანია ისიც, თუ რატომ ვაძლევთ ასეთ შეფასებას აღნიშნულ საკითხს. მიზეზები შემდეგია:

✓ აუდიტის ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების პროცესის შესწავლა მოიცავს შესყიდვების დაგეგმვიდან ანგარიშსწორებამდე ყველა საკითხს. იგი საკმაოდ ვრცელი პროცესია და მრვალი რისკის შემცველი ქვეპროცესებით ხასიათდება. როგორიცაა, მაგალითად:

<sup>22</sup>სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ ინფორმაცია აღებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შემდეგი ანგარიშებიდან: „მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებით 2014-2015 წლებში განხორციელებული აუდიტების შესახებ“, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2016 წლის საქმიანობის ანგარიში“ და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის საქმიანობის ანგარიში“;

■ შესყიდვების დაგეგმვის წესების / პროცედურების არ არსებობა, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია არაეფექტურ დაგეგმვასთან, მონეტარული ზღვრების დარღვევის რისკთან და სხვ;

■ ბაზრის კვლევის არაეფექტური სისტემა, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ფინანსური რესურსების არაეკონომიურ და არარაციონალურ ხარჯვის რისკთან და სხვ;

■ ტენდენებში პრეტენდენტთა არასამართლიანი შერჩევის, შეფასებისა და დისკვალიფიკაციის რისკთან;

■ ხელშეკრულების შესრულების არაეფექტური კონტროლის სისტემა, რაც დაკავშირებულია ფინანსური რესურსების არარაციონალურ და არამიზნობრივი ხარჯვის რისკთან და სხვ.

აუდიტის განხორციელებისას ხდება თითოეული ეტაპისა და საქითხის შესწავლა/ანალიზი შესაბამისი მტკიცებულებებით. იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული პროცესის ადეკვატურად შესწავლა, გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში განხორციელებული ანგარიშეწორების საკითხების გავლა შესაბამისი საფუძვლებით, აუცილებლად უნდა მომხდარიყო აღნიშნული საკითხების აუდიტორულ ანგარიშში ასახვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

რაც შეეხება დაუსაბამის გაზრდილ სამუშაოთა მოცულობებს და ერთეულის დირექტორებს, აღნიშნული პრობლემაც აღმოჩენითია მას შემდეგ, რაც მოხდება თითოეული ხელშეკრულების ცვლილებების საფუძვლების შესწავლა/ანალიზი. თუმცა, გარდა იმ მნიშვნელოვანი პრობლემისა, რასაც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი და არარაციონალური ხარჯვა ჰქვია, არსებობს შიდა კონტროლთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც დამატებით უნდა შესწავლილიყო შიდა აუდიტის ფარგლებში.

აღნიშნული საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს და იმ მიზეზების ძიებას, თუ რამ განაპირობა არსებული. შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა არ არის მხოლოდ შიდა აუდიტი, მნიშვნელოვანი როლი მენეჯერულ რგოლს აკისრია. შესაბამისად, არსებული პრობლემის ანალიზი შესაძლებელს გახდიდა, ნათლად წარმოჩენილიყო ის ხარჯები, რაც შიდა ფინანსური კონტროლის სისუსტესთან / არ არსებობასთან იქნებოდა დაკავშირებული. კიდევ ერთი უმნიშვნელოვანების საკითხი, რომელიც შიდა აუდიტორული შემთხვების დროს უნდა შეფასებულიყო, არის კორუფციისა და თაღლითობის რისკები, მით უფრო, თუ გავითვალისწინებო იმ საკითხესაც, რომ გამოვლინდა ფაქტები, როდესაც ანაზღაურებულია შეუსრულებელი სამუშაოები.

✓ სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოყენებულ სუსტი კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ხარჯებების იდენტიფიცირება შესაძლებელია მას შემდეგ, რაც შიდა აუდიტორთა მიერ მოხდება თითოეული სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვის საფუძვლებისა და განხორციელების ეტაპის შესწავლა/ანალიზი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროცესების ადეკვატურად შეფასების მიზნით, შიდა აუდიტორები იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს: ინტერვიუს, გამოკითხვას, დაკვირვებას და სხვ. აღნიშნული მეთოდები საშუალებას იძლევა, სწორად შეფასდეს არსებული პრობლემა და მისი გამომწვევი მიზეზები.

✓ სამუშაოს შესრულების ვაღებში ცვლილებების შეტანას, სათანადო დასაბუთების გარეშე, მიუთითებს ორგანიზაციაში არსებულ რისკებზე, მით უფრო, რომ არ არის გამოყენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი რისკებისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შესწავლა / ანალიზი უნდა გაპეტდეს კორუფციისა და თაღლითობის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულის დადასტურება საკმაოდ რთულ საკითხს


წარმოადგენს, ორგანიზაციის მენეჯმენტი უნდა იყოს ინფორმირებული მსგავსი რისკების შესახებ, რათა დროულად მოხდეს კონტროლის მექანიზმების შექმნით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და რისკების მინიმუმამდე შემცირება.

✓ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების მოლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებელება - ეს არის პრაქტიკაში რეალურად არსებული ერთადერთი სერიოზული პრობლემა, რაც საბიუჯეტო სახსრების არაეფუქტურის განკარგვაზე მეტყველებს. გარდა მტკიცებულებებისა, რომელიც ხელშეკრულებების შესრულების დამადასტურებლად შესაძლოა იქნეს მიღებული, მნიშვნელოვანია აუდიტორთა მიერ მოხდეს ფაქტობრივად მიღებული საქონლის / მომსახურების შემოწმება. ადნიშნული შესაძლებელს გახდის შეფასდეს მიღებული შედეგების რეალური მდგრადერობა.

თანხობრივი და პროცენტული სიდიდეების მიხედვით, სტატისტიკა, რომელიც (2014დ2017 წწ) წლების მიხედვით წარმოაჩენს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ ხარვეზებს, შემდეგია: 2014-2015 წლების მდგომრეობით<sup>23</sup> შესყიდვების მართვის პროცესში არსებულმა დარღვევებმა ჯამში შეადგინა 134 332.7 ათასი ლარი (იხ. დიაგრამა 1). მათ შორის 82 119,3 ლოკუმენტური დასაბუთების გარეშე ანაზღაურებული ხარჯია.

#### დიაგრამა 1.

შესყიდვების მართვის პროცესში არსებული დარღვევები (ათასი ლარი)




**წესრიცხვი:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2014დ2015 წლების საქმიანობის ანგარიში

2016 წლის მდგომარეობით, სახელმწიფო შესყიდვების პროცესში გამოვლენილი დარღვევების თანხობრივი მაჩვენებელმა შეადგინა 28,727,500 ლარი. მათ შორის: 72% მოდის შესყიდვების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივ განკარგვაზე, 20% - შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების შედეგად რესურსების არაეფუქტურიან განკარგვაზე, ხოლო 8% საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივ განკარგვაზე (იხ. დიაგრამა 2).

#### დიაგრამა 2

სახელმწიფო შესყიდვების პროცესში გამოვლენილი დარღვევების პროცენტული განაწილება

<sup>23</sup>სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტებში ჩაატარა 85 აუდიტი<sup>23</sup> აქედან, 44 - ფინანსური და 41 - შესაბამისობის. სულ აუდიტულმა თანხამ კი შეადგინა 2 045 588.9 ათასი ლარი;




**წყარო:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2016 წლის საქმიანობის ანგარიში

2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო შესყიდვების მართვასთან დაკავშირებით, დარღვევების თანხობრივმა მაჩვენებლებმა ჯამში შეადგინა 58 020,6 ათასი ლარი. დარღვევის სახეობათა მიხედვით კველაზე მეტი პროცენტული სიდიდე (44%) ამ პერიოდშიც დოკუმენტური დასაბუთების გარეშე ანაზღაურებულ ხარჯებზე მოდის (იხ. დიაგრამა 3).

### დიაგრამა 3

გამოვლენილი დარღვევების პროცენტული მაჩვენებლები



**წყარო:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის საქმიანობის ანგარიში

როგორც კვლევამ გვიჩვენა, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული პრობლემები 2018 წლის მდგომარეობითაც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ როგორც მუნიციპალიტეტები, ასევე სხვა ორგანიზაცია/დაწესებულებები ჯერ კიდევ ხასიათდებიან შიდა კონტროლთან დაკავშირებული ხარვეზებითაც, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პრობლემა სისტემური ხასიათიასაა და მისი მინიმიზაციისთვის საჭიროა კომპლექსურ მიდგომა, შიდა კონტროლის არსებული სისტემის უფასებიან სისტემად გარდაქმნა.

### დასკვნა

შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა და უფასებური ფუნქციონირება ემსახურება სტრუქტურული ერთეულების ანგარიშვალდებულების გაზრდასა და პოტენციური რისკების აღრეულ გამოვლენას. იგი, როგორც საბიუჯეტო ორგა-

ნიზაციების, ასევე კერძო საწარმოო სტრუქტურების წარმატებული და ეფექტური მუშაობის ერთდერთი წინაპირობაა. შიდა კონტროლის სისტემის დანერგვისა და განვითარების აუცილებლობა დამოკიდებულია შიდა კონტროლის როგორც სუბიექტის, ასევე ობიექტის ცნობიერების ამაღლებაზე, რისთვისაც აუცილებელია მის მნიშვნელობასა და საჭიროებასთან დაკავშირებით მასშტაბური ტრენინგების ორგანიზება, როგორც მუნიციპალიტეტებში ასევე, საბიუჯეტო რესურსების მხარჯავ სხვა დაწესებულებებშიც. არსებული პრობლემების მოგვარება და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ, მიზნობრივ და ეფექტურად განკარგვასა და პროცესების ეფექტიანად წარმართვას.

### გამოყენებლივ ლიტერატურა

1. საქართველოს განონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 20.04.2005
2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიში: „მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებით 2014-2015 წლებში განხორციელებული აუდიტების შესახებ“;
3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2016 წლის საქმიანობის ანგარიში;
4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის საქმიანობის ანგარიში.

**Tatia Udesiani**  
PhD student of Akaki Tsereteli State University

## THE ROLE OF INTERNAL CONTROL SYSTEM IN THE MANAGEMENT OF STATE PROCUREMENT Expanded summary

Effective management of state procurement processes is one of the key challenges for budgetary organizations, because it provides a rational expenditure of funds, healthy competition based on cost and quality of services and goods, publicity and etc. In turn, internal control system plays an important role in the management of public procurement, allowing organizations reduce deficiencies and risks to a minimum.

The processes related to state procurement are regulated by the Law on State Procurement, the purpose of which is to ensure the rational expenditure of the funds intended for public procurement, to produce healthy competition in the field of production of the necessary goods, services and construction work, ensuring public procurement publicity, etc.

Therefore, efficient management of state procurement in budgetary organizations is a crucial issue for economically and efficiently disposes of the organization's financial resources. The internal control system plays an important role in regulating this issue.

In order to study the situation in the budget sector, we evaluated the situation in the local municipalities in 2014-2017 years. Various types of disorders have been identified in the process of research and analysis, which is due to the following main reasons:

- ✓ Budgetary funds are transferred without comprehensive documentary reasons;
- ✓ The volumes of work and values of the unit have been improperly improved. Non-performing works are reimbursed;
- ✓ Weak control mechanisms in the process of planning and execution of the work;
- ✓ Amendments are made without proper justification for the completion of the work, which is why it is not used for contractual penalties
- ✓ The works specified in the contract are completely or partly unfulfilled
- ✓ The tender procedures included unfair selection, assessment, and disqualification of candidates

- ✓ Unjustified payments and inefficient costs.

According to our assessment, the above mentioned shortcomings indicate several types of problems, among which the most important is the weak functioning of internal control in the organization.

It is important that these organizational flaws do not occur in most internal audit reports. Therefore, we can conclude that the internal audit in the organization is ineffective because it cannot reach its goals and objectives.

During the audit each stage and issue are studied and analyzed with relevant evidence. In case the state procurement process was adequately studied and payments made within signed contracts were properly analyzed, it was necessary to reflect the issues in the audit report and elaborate the relevant recommendations.

As for the unreasonably increased work volume and unit values this problem also can be found if the reasons of changes of each contract are analyzed.

The current issue requires additional study and search for the reasons that caused it. Internal financial control system is not only an internal audit, management unit plays a key role. Consequently, the analysis of the problem would have made clear the flaws that are related to the weakness or absence of internal financial control. One of the most important issues in internal audit inspection is to assess the risks of corruption and fraud, moreover, if we consider the issue, that there are some facts of unfinished works that are already paid.

Introduction and effective functioning of the internal control system serves to increase the accountability of structural units and early detection of potential risks. It is one of the prerequisites for successful and effective work of budget organizations and private enterprises. The need for introducing and development of internal control system depends on increasing awareness of the internal control, for which it is necessary to organize large-scale trainings in the municipalities as well as in other institutions of budgetary resources. Solving existing problems and taking effective steps will help to ensure rational and efficient management of the budget funds.

გიორგი მორჩილაძე  
თხუ, დოქტორანტი

### 06032018 აროვანების მოდელების დახასიათება და მშობლებია

**რეზიუმე.** სტატიაში განხილულია ინოვაციური პროცესების მოდელების თეორიები, დახასიათებულია პირველი თაობის ხაზოვანი და მეორე თაობის არახაზოვანი მოდელები. ასევე განხილულია, როგორ იცვლებოდნენ მოდელები, ინოვაციების თეორიის კვოლუციის პროცესში.

**საჯანმრთ სიტყვები:** ინოვაცია, ინოვაციების მართვა, ინოვაციების პროცესი, ტექნოლოგიური ინოვაცია

#### შესავალი

ნებისმიერ კომპანიას, რომ შეძლოს არსებობა და ბაზარზე პოზიციის შენარჩუნება გრძელვადიან პერიოდში, აუცილებლად ესაჭიროება მუდმივი სრულყოფა იმ ფასეულობის, რომელსაც სთავაზობს მომხმარებელს. თავის მხრივ, შეთავაზებული ფასეულობის სრულყოფის პროცესი პირდაპირ არის დაკავშირებული ინოვაციასთან, რომელიც წარმოადგენს მენეჯმენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგს. ინოვაციების მართვის პროცესის ეფექტიანად განხორციელება არის საკმაოდ რთული და კომპლექსური, ამიტომ აუცილებლად საჭიროებს როგორც თეორიულ, ისე ემპირიულ შესწავლას. მოცემული კვლევის მიზანი არის ინოვაციური პროცესების მოდელების შესწავლა, დახასიათება, მოდელების კვოლუციის პროცესში სტრუქტურული ცვლილებების მიზეზების ახსნა, რაც მნიშვნელოვანია ინოვაციების მართვის თეორიის განვითარებისთვის. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჩვენ დავისახეთ შემდეგი ამოცანები: შეგვესწავლა ინოვაციური პროცესის პირველი და მეორე თაობის ხაზოვანი მოდელები, განგვეხორციელებინა ინოვაციური პროცესების მოდელების კვოლუციის სტრუქტურული ანალიზი.

#### 1. ინოვაციების პირველი თაობის ხაზოვანი მოდელები

ინოვაციური პროცესების მოდელების დახასიათებამდე საჭიროა მოკლედ შევეხოთ ინოვაციების ცნებას.


ინოვაცია ტექნიკურ პროგრესთან ერთად, თავის თავში მოიაზრებს ბაზრის საჭიროების ამოცნობას, უკეთესი ხარისხის ან დამატებითი მომსახურების შეთა-

ვაზებას, პროცესების ეფექტიან ორგანიზებას, დედლაინების შეხვედრას და ხარჯების კონტროლს [ეგროპის კომისია, 1995, 2]. ამდენად, ინოვაციის ცნება ხდება სელუფრო მეტად ფართოდ გაშლილი ფენომენი და ინსტრუმენტი. ის წარმოადგენს პასუხს უწყვეტ ტექნიკურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებზე.

კატეგის შესაბამისად, „ინოვაცია შეიძლება გავიგოთ, როგორც ნებისმიერი ახალი ინსტრუმენტი ან მეთოდი“ [კატეგი, 2003, 2].

საჭიროა ითქვას, რომ ინოვაციის შეთანხმებული კონცეპტუალური განსაზღვრება არ არსებობს, რაც მოცემული მოვლენის მრავალმხრივობასა და კომპლექსურობაზე მეტყველებს.

მეოცე საუკუნის 50 - იან წლებში წამყვან ეკონომისტებს მიაჩნდათ, რომ ინოვაციურ პროცესს გააჩნდა ხაზობრივი - თანმიმდევრული ხასიათი და თავის თავში მოიცავდა სამეცნიერო აღმოჩენებს, კვლევებს, საინჟინრო და მწარმოებლურ ქმედებებს, მარკეტინგს და საბოლოოდ, ყოველივე ამის შემდეგ წნდებოდა ბაზარზე ახალი პროდუქტი:



დიგრამა 1. ინოვაციური პროცესების პირველი თაობის ხაზოვანი მოდელები  
პირველი თაობის ხაზოვანი მოდელების შესაბამისად, პროცესი იწყება ორგანიზაციის კვლევის და განვითარების დეპარტამენტიდან (R&D) სწორედ ამიტომაც იწოდებიან „ტექნოლოგიური ბიძის“ ხაზობრივ მოდელებად.

თუმცა, მეოცე საუკუნის 60 და 70-იან წლებში ჩატარებულმა კვლევებმა ნათელყველს ის, რომ „ტექნოლოგიური ბიძითან“ ერთად, დიდი გავლენა ინოვაციების პროცესზე შეიძლება მოახდინოს ბაზარზე არსებულმა მოთხოვნამაც. „ხაზობრივ მოდელები“-ს მეორე თაობა წარმოდგენილია დიაგრამის სახით. (იხ. დიაგ. №2)



დიაგრამა 2. ინოვაციური პროცესების მეორე თაობის ხაზოვანი მოდელები (ადაპტირებულია ნაუმენკო ე.ო.).

ქრონოლოგიის სახით რომ წარმოვადგინოთ ხაზობრივ მოდელებთან დაკავშირებული კვლევები, მათ ექნებათ შემდეგი სახე:

ავტორი, პუბლიკაციის თარიღი	ინოვაციური პროცესის წრფივი მოდელის შემოთავაზებული ეტაპები
Mees (1920)	წმინდა მეცნიერება, დამუშავება, წარმოება
Holland (1928)	წმინდა სამეცნიერო კვლევა, გამოყენებითი კვლევა, გამოგონება, საწარმოო კვლევა, სტანდარტიზაცია, სერიული წარმოება


Stevens (1941)	ფუნდამენტალური კვლევა, გამოყენებითი კვლევა-ლაბორატორიული კვლევა, საპილოტო კვლევა, წარმოება
Bichowsky (1942)	კვლევა, პროექტირება (დამუშავება), წარმოება
Furnas (1948)	ფუნდამენტალური კვლევა, გამოყენებითი კვლევა, დამუშავება, წარმოება
MacLaurin (1949)	ფუნდამენტალური კვლევა, გამოყენებითი კვლევა, საინჟინრო დამუშავება, წარმოების ტექნოლოგიის დამუშავება, სერვისის დამუშავება.
Mees and Leermakers (1950)	კვლევა, დამუშავება (პროდუქციის მცირე პარტიის შექმნა, საპილოტო წარმოება, სერიული წარმოება)
Brozen (1951a)	გამოგონება, ინოვაცია, იმიტაცია
Brozen (1951b)	კვლევა, საინჟინრო დამუშავება, წარმოება, მომსახურება
MacLaurin (1953)	წმინდა მეცნიერება, გამოგონება, ინოვაცია, ფინანსირება, მიღება
Ruttan (1959)	გამოგონება, ინოვაცია, ტექნოლოგიური ცვლილება
Ames (1961)	კვლევა, გამოგონება, დამუშავება, ინოვაცია
Scherer (1965)	გამოგონება, ინვესტიცია, განვითარება
Schmookler (1966)	კვლევა, დამუშავება, გამოგონება
Mansfield (1968)	გამოგონება, ინოვაცია, დიფუზია
Myers and Marquis (1969)	პრობლემის გადაჭრა, გადაჭრის პოვნა, გამოყენება, დიფუზია
Utterback (1974)	იდეის გენერირება, პრობლემის გადაჭრა/დამუშავება, დანერგვა და დიფუზია

ცხრილი 1. ხაზობრივი მოდელების ვარიანტები. უ.ა. ალექსევა (ჯულიეტა გაგლოშვილის ადაპტირებული ვარიანტი)

## 2. ინოვაციების მეორე თაობის არახაზოვანი მოდელები

ინოვაციური პროცესების კვლევებთან ერთად, ცხადია, იქმნებოდა ახალი მოდელები, რომლის საფუძველზეც აღიწერებოდა ინოვაციური პროცესები. ბრიტანელმა მეცნიერმა როი როსვილმა ინოვაციების კვლევის პროცესში შეიტანა საქმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი, გამოყო რა დამატებითი სამი ტიპის მოდელი: გაერთიანებული მოდელი (3), ინტეგრირებული ბიზნეს პროცესების მოდელები (G4) და ინტეგრირებული ბიზნეს სისტემების და ქსელების მოდელი (G5).


მესამე თაობის რ. როსვილის მოდელს აქვს შემდეგნაირი სახე:



დიაგრამა № 3. ინოვაციური პროცესების შესამე თაობის ინოვაციური პროცესების მოდელები (ნაუქენები ეთ ადაპტირებული ვარიანტი).

მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში შეიქმნა ინოვაციების პროცესების მეოთხე თაობის მოდელები, რომელსაც ჰქვია ”ბიზნეს - პროცესების ინტეგრირებული მოდელები”, რომლებიც წარმოადგენდნენ მნიშვნელოვნად წინ გადადგმულ ნაბიჯს. მოცემულ მოდელებში აქცენტი კეთდება ინტეგრაციაზე პლევებისა და გამოგონებების წარმოებასთან და უფრო მჭიდრო ურთიერთკავშირთან მომხმარებლებსა და მომწოდებლებთან. კომპანიის სხვასხვა განყოფილებები ინტეგრირდებიან იმისთვის, რომ შექმნან ახალი პროდუქტი, რომელიც მისცემს კომპანიას შესაძლებლობას, შეამციროს სიახლეების შექმნის ვადები და ამავე დროს, შეამციროს ხარჯები. ამასთანავე, მნიშვნელოვანად იზრდება პორიზონტურადურ დონეზე თანამშრომლობა სხვა კომპანიებთან ერთობლივი საწარმოების ან სტრატეგიული ალიანსების შექმნის გზით.

ქვემოთ დიაგრამაზე - 4, მოყვანილია მეოთხე დონის ინოვაციების ინტეგრირებული მოდელის პროცესი.




დიაგრამა 4. ინოვაციების მეოთხე დონის ინტეგრირებული მოდელები (ჯგუფობრივი ადაპტირებული ვარიანტი)

მოცემული მოდელი ფოკუსირდება პროცესის ძირითად მახასიათებლებზე: მის პარალელურ და ინტეგრირებულ არსებობის პირობების დაზიანების გამოყენების მიზანით.

გამძაფრებული კონკურენცია კომპანიებს შორის მენეჯმენტს აიძულებს მუდმივად აქცენტირდეს რესურსების უფექტური გამოყენებაზე და ამ კონტექსტში იზრუნოს თავისი რესურსული უზრუნველყოფის ზრდაზე. ყოველივე ამან კომპანიები მიიყვანა ერთიანი ქსელის შექმნის აუცილებლობამდე, რათა შეენარჩუნებინათ მოქნილობა და მაღალი ზრდის ტემპი. ამგვარი ხედვის ჩამოყალიბებამ კომპანიებს უბიძგა ისეთი სტრატეგიის ჩამოყალიბებისკენ, რომლის საფუძველში თავიდანვე გათვალისწინებული იქნებოდა პარტნიორობა, ერთობლივი მარკეტინგი და გადასვლა „დია ინოვაციაზე“.


ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ შეიცვალა ხედვა ინოვაციურ პროცესებთან მიმართებით. კომპანიები მივიღნენ იქამდე, რომ ინოვაციების შექმნისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სხვადასხვა განყოფილებების მჭიდრო კოოპერაცია სიახლის შექმნის პროცესში, არამედ ამასთან ერთად, შექმნა და გამყარება ქსელური ურთიერთკავშირებისა მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან, მკვლევარებსა და

ლაბორატორიულ მუშაქებთან. ყოველივე ამან, მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, გამოიწვია ინოვაციური პროცესის მეცნიერების მოდელის შექმნა, რომელიც მოყვანილია ქვემოთ დიაგრამაზე და ასახავს ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი დამოკიდებულებებს.



დიაგრამა 5. ინოვაციური პროცესების მეცნიერების მოდელი (როსველი, 1994, ადაპტირებული ვარიანტი).

მეცნიერებულებების მოდელების შემთხვევაში, საკამოდ მნიშვნელოვანია, შევეხოთ ოპლენდერის მოდელსაც, რომელიც როსველის მოდელის პროტოტიპს წარმოადგენს, კომპანიის შიდა და გარე ფაქტორების და ინსტიტუტების ურთიერთზემოქმედების კონტექსტში. მოცემული მოდელის შესაბამისად, არსებობს სამმხრივი კავშირი სისტემა „გარე გარემო“, სისტემა „ორგანიზაცია“ და სისტემა „ნოვატორ“ და ს შორის, რომელიც წარმოდგენილია დიაგრამა 6 - ზე.



დიაგრამა 6. ინოვაცია, როგორც ურთიერთზეგავლენის პროცესი.

როგორც მოცემული დიაგრამიდან ვხედავთ, საქმაოდ მჭიდრო ურთიერკავშირშია ერთმანეთთან სისტემა „ნოვატორი“, სისტემა „ორგანიზაცია“ და სისტემა „გარემო“ და ამავე დროს, ურთიერთკავშირი მარაგალმხრივია.

### დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ინოვაციების, როგორც პირველი, ისე მეორე თაობის მოდელების მახასიათებლების გაცნობა, მნიშვნელოვანია შემდგომი თეორიული და ემპირიული კვლევის განვითარებისთვის, ამასთან, დაეხმარება კომპანიების მენეჯერებსაც სტრატეგიის შემუშავების პროცესშიც, რიგი ტენდენციების გათვალისწინების კონტექსტში. დასასრულს, შეგვიძლია მოვიყ-

ვანოთ ის ძირითადი განსხვავებები, რაც ხაზოვანი ინოვაციური მოდელებისგან განასხვავებს არახაზოვან მოდელებს:

- ) ხაზოვან მოდელებში ინოვაციური იდეა შეიძლება დაიბადოს მხოლოდ კონკრეტულ საფეხურებზე და წყაროდან გამომდინარე, ხოლო არახაზოვან მოდელებში - ინოვაციის შექმნის ნებისმიერ ეტაპზე;
- ) მეორე თაობის მოდელების შესაბამისად, ინოვაციების შექმნა ხდება კონკრეტული ორგანიზაციების მიერ და არა „ზოგადზექნოლიგურ სიბრტყეში“, პირველი თაობის მოდელებისგან განსხვავებით.
- ) ინოვაციური პროცესების მეორე თაობის მოდელებში არსებითად ხდება ინოვაციური პროცესების რეგულირება, რაც მონაწილე მხარეთა და მხარეებს შორის ურთიერთობების სიმრავლით, სირთულით და კომპლექსურობით არის გამოწვეული.
- ) ინოვაციურ პროცესებში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ როგორც პროცესის სუბიქტები, ასევე მათ შორის ურთიერთკავშირები და გარემოში მიმდინარე ცვლილებები.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. შებლაძე გ., მდგრიშვილი ბ., წოწელაური ფ., 2008, მენეჯმენტის საფუძვლები „უნივერსალი“, (195)
2. ჯ.გაგლოშვილი, 2016, ინოვაციური პროცესების კვლევა და კომპიუტერული მოდელირება, სადისერტაციო ნაშრომი, საქართველო, თბილისი, 169
3. Abernathy W., 1985 Clark K. Innovation: Mapping the winds of creative destruction ,Research policy, 14, (pp. 3-228).
4. Barreto L, Kypreos S (2004) Endogenizing R&D and market experience in the “bottom-up” energy-systems eris model. (Pp. 629)
5. Bessant J, Tidd J (2007) Innovation and entrepreneurship. John Wiley, , England, (pp 604)
6. Beer M., Nohria N.,(2000) Resolving the Tension between E and O of change , breaking the Cade of (Boston :Harward Business School Press,), (p 512).
7. Cooper R.G. (1994). New Products: The Factors that Drive Success. In: International Marketing Review, Vol. 11, Iss. 1, (pp. 60-76)
8. Drucker P. (1954), The Practice of Management, New York : Harper & Row, 404
9. Dyer, R.F. and Forman, E.H. (1992) “Group decision support with the Analytic Hierarchy Process”, Decision Support ,Systems, 8, (pp. 99-124)
10. EUROPEAN COMMISSION, Green paper of innovation, 1995, 46
11. J.Gagloshvili, (2016), Phd Thesis “Research and computer modeling of innovative processes”, GTU, (pp. 37)
12. Luecke, R. and Katz, R. (2003), Managing Creativity and Innovation. Harvard Business School Press, Boston. 174
13. P. Lencioni, 2005, “Overcoming the Five Dysfunctions of a Team: A Field Guide for Leaders, Managers, and Facilitators”, Jossey – Bas, 69 -81.
14. Forman , E. and Selly, M.A. (2001) Decision by Objectives, World Scientific.
15. Rothwell R. (1994) Towards the fifth-generation innovation process, International Marketing Review, Vol. 11 No. 1, MCB University Press, pp. 7-31
16. S. Berkun, The Myths of Innovation ,1 edition, Canada,“ O'Reilly Media”, 2007. (p. 248)
17. M.Kharkheli, G.Morchedadze. (2015) International Journal of Management and Commerce Innovations ISSN 2348-7585 (Online) Vol. 3, Issue 1, pp: (425-428)

18. Utterback J., Abernathy W. A dynamic model of process and product innovation, OMEGA, The Int. of Mgmt Sci., Vol. 3, 6, 1975. Pergamon Press. Printed in Great Britain – (pp. 639-656)

**Giorgi Mochiladze**  
PHD Student TSU

## **CHARACTERISTICS AND EVOLUTION OF INNOVATIVE PROCESS MODELS** **Expanded Summary**

In modern World, because of desperate competition and globalization, any company needs the continuous care of improvement its product and business processes, thus it can achieve the success and maintain the existence in long-term period. Development of products and business-processes is always related to the innovation. Effective innovation management is quite difficult and complex, that is why it is necessary as a theoretical and empirical study.

The aim of the research are: study of innovation management models, Characterization of them, explaining the causes of structural changes in the process of evolution of models which is important for the development of innovations management theory.

In the 50s of the twentieth century, the leading economists believed that the innovative process had a linear and consistent character and included scientific findings, researches, engineering and productive actions, marketing, and after all of these process there was provided new product on the market:

According to the first generation linear models, the process starts from the Organization Research and Development Department (R & D), which is why it is called "technological push" linear models. This model consists of the following stages: Basic Sciences - Technological Development – Manufacturing – Marketing – Sales;

However, studies of the 60-70-ies of the twentieth century proved that with the "technological impetus" an important influence on innovation can a market demand. The second generation of "linear models" are named: "Market Push" Models. "Market – Push" model consists of the following steps: Market Needs – Development – Manufacturing – Sales.

British scientist Roy Rothwell made a significant contribution to the innovation research process, including three additional models: Coupling of R&D and Marketing (G3), Integrated Business Processes models (G4) and System Integration and Networking model (G5).

In mid of 80's Marketing and R&D became more tightly coupled through structured innovation processes. Operational cost reduction was a central driver behind this "coupling model". According to this model Technological innovation comes from the coupling of markets needs and technological opportunities. It is understood that innovation is rarely the result of pure technology push or market pull forces, but rather the result of the matching and combination of the two. The process is still sequential but with feedback loops. R&D and marketing play a balanced role. The emphasis is given to the interface between the two.

As describes R. Rothwell, Fourth-generation models started in the early of 80s, companies were initially concentrating on core businesses and core technologies. Growing awareness of the strategic importance of evolving generic technologies, with increased strategic emphasis on technological accumulation. New focus on manufacturing strategy. Rapid growth in the number of strategic alliances between companies. Shortening product life cycles led to time-based strategies. Integration and parallel development was important

And Fifth-generation model were from middle of 90s, and according to them: Companies remain committed to technological accumulation, strategic networking continues, speed to market remains of importance; firms are striving towards increasingly better integrated product and manufacturing strategies, greater flexibility and adaptability. "Fast innovation" is an important factor determining a company's competitiveness. The ability to control product development speed can be seen as an important core competence. The process 5G is essentially a

development of the 4G (parallel, integrated) processes in which the technology of technological change is itself changing (networking process).

According to our research, was founded main differences between linear and non – linear innovation Models, which are following:

- ) An innovative idea in linear models can be generated only on specific stages and in non - linear innovation models can be generated in any stage of innovation;
- ) Accordance to the second generation innovation models, innovations are created by specific organizations and not in the " General technological Environment"
- ) In non - linear models significant role not only subject of the process, but also the relationship between them and changes in the environment.

### ლუგა ლაზარ შვილი ეკონომიკის მაგისტრი

#### საქართველოში შემოსავლების ბანაზილების ანალიზი საიმონ პუხნების ეთოლოლობიაზე დაყრდნობით

**რეზიუმე.** სტატია წარმოადგენს ჩემს მიერ 2018 წლის ივლისში, თბილისის ივანე ჯავახის შვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცული სამაგისტრო ნაშრომის - „ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკური პოლიტიკა“ - დასკვნითი ნაწილის შემოკლებულ ვერსიას. სტატიაში საქართველოს ეკონომიკა გაანალიზებულია საიმონ კუნძულის<sup>24</sup> მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც მან „კუნძულის მრუდის“ კონცეპციის შემნისას გამოიყენა.<sup>25</sup> ანალიზი ხათელს ვენს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: საქართველოში მოხასხლობის სხვადასხვა ვენას მორის არსებული განსხვავებები შემთხვევების კუთხით, გაონომიკის ინკლუზიურობა და შედარებითი პოზიცია შესაძარ ქვეყნებთან, განხილულია წარსული წლების გეონომიკური სურათი, განსაზღვრულია ამჟამინდელი მდგრადი გეონომიკური და მოცემულია მოძალის საგარაუდო სცენარი. (განსაკუთრებული მაღლობა გაონომიკის დოქტორს, პროფესორს და ჩემს ხელმძღვანელს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას, ბატონ ხოდარ ხადურს, რომელმაც კრიტიკული შენიშვნებითა და რჩევებით დიდი როლი ითამაშა ნაშრომის საბოლოო სახით შექმნაში.)

**საკვანძო სიტყვები:** ინკლუზიურობა, უთანაბრობა შემოსავლებში, კუნძულის მრუდი, მშპ ერთ სულ ზე, საშუალო შემოსავლები

### შესავალი

ნაშრომში საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა და განვითარება გააანალიზებულია საიმონ კუნძულის მეთოდოლოგიის მიხედვით, რაც აისახება მის მიერვე შემუშავებულ „კუნძულის მრუდზე“. აღვნიშნავ, რომ „კუნძულის მრუდი“ არის გამოსახულება ემპირიული მონაცემებისა და სპეციალური

<sup>24</sup> საიმონ კუნძული (1901-1985) - ბელორუსი წარმოშობის ამერიკელი ეკონომისტი, 1971 წლის ნობელი

პრემიის ლაურეატი, ინსტიტუციონალისტი

<sup>25</sup> Simon Kuznets - *Economic Growth and Income Inequality*, The American Economic Review, Vol. 45, No. 1 (Mar., 1955), pp. 1-28

მოდელის, რომლის შიგნითაც დაგმაყოფილებული უნდა იყოს გარკვეული დაშვებებისა და პირობების მოთხოვნები. ჩვენი ქმედის შემთხვევაში მისი კონცეფციის ზუსტ ასახვას არ უნდა ველოდოთ, ვინაიდან ჩვენთან ეკონომიკური განვითარების პროცესი ბუნებრივად არ დაწყებული სხვა ქვეყნების კვალდაკვალ, ის ხელოვნურად იქნა დაბრკოლებული, ხოლო შემდეგ ერთბაშად აღმოჩნდა სუვერენულ პირობებში დამოუკიდებელი ეკონომიკით. ამასთან, კუზნეცის ეპოქისგან განსხვავებით, ამჟამინდელ განვითარებულ ქვეყნებში, ინდუსტრიულის მაგივრად, მოწინავე ტენდენციად ითვლება პოსტ-ინდუსტრიული განვითარებაც საქართველოში კი ორივე: ინდუსტრიულიც და პოსტ-ინდუსტრიული განვითარებაც ერთობლივად მიმდინარეობს, განსხვავებით იმ ბუნებრივად განვითარებული ქვეყნებისგან, რომლებმაც დროსთან თანაშეზომილად, ჯერ ინდუსტრიულ განვითარებას მიაღწიეს, შემდეგ კი პოსტ-ინდუსტრიულ ტენდენციებს გაჲვენენ. ესეც კადევ ერთი განსხვავებაა კუზნეცის მოდელის დაშვებებისგან. საგულისხმოა, რომ კუზნეცის მოდელი სსნის ეკონომიკური ზრდის გავლენას უთანაბრობაზე, და არა პირიქით. უთანაბრობის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე ცალსახად დასტურდება და ამ საკითხს თანამედროვე ეკონომიკაში დიდი ადგილიც ეთმობა. საპირისპირო მიმართულების გავლენა კი შედარებით ბუნდოვანია და ინტენსიური კვლევაც ნაკლებად წარმოებს. სწორედ ამიტომ, კუზნეცის მეთოდოლოგია კვლავ უაღმერნაგარივოა ამ დამოკიდებულების ახსნაში და აქტუალობასაც ინარჩუნებს, ვინაიდან მისი სრული თუ ცალკეული ფრაგმენტული რეალიზება თანამედროვე ეკონომიკაშიც დასტურდება. ამას ადასტურებს რობერტ ბარო თავის 2009 წლის ნაშრომში<sup>26</sup>. ამის დასტურია 2008 წლს გამოქვეყნებულ, ინკლუზიური განვითარების შესახებ პირველ ცნობილ პუბლიკაციაში<sup>27</sup> ნახსენები „კუზნეცის-ტიპის უთანაბრობაც“, საიდანაც ჩანს, რომ თანამედროვე, ინკლუზიური ზრდის სტრატეგიაშიც კუზნეცის მეთოდოლოგიას კვლავ ითვალისწინებენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ასე რომ, კუზნეცის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით საქართველოს ეკონომიკის ანალიზი არ ნიშნავს უტყუარი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების აღმოჩენას და პროგნოზირებას, ან რაიმეს დადასტურებას, არამედ წარმოადგენს საიმონ კუზნეცის საერთაშორისოდ აღიარებული კონცეფციის მიხედვით საქართველოში შემთხვევაში უთანაბრობის ახსნის მცდელობას და პოტენციური სცენარის შექმნას. (ტექსტის იმ ადგილებში, სადაც არ არის მითითებული მონაცემთა წყაროები, ყველგან გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზა)

### შემოსავლებში უთანაბრობის ზრდის ფაქტორები (საწყისი სტადია)

ჩვენს ეპოქაში აღარ არის აქტუალური ინდუსტრიალიზაცია, იმდენად, რამდენადაც მსოფლიოში მიმდინარეობს პოსტ-ინდუსტრიული განვითარების პროცესი. ასე რომ, საქართველოში და ანალოგიურ განვითარებად ქვეყნებში ინდუსტრიული და პოსტ-ინდუსტრიული პროცესები კომბინირებული სახით მიმდინარეობს. საქართველოში 2017 წელს მთლიანი გამოშვების მხოლოდ 24.5% მოდიოდა მრეწველობაზე, 12.8% - ვაჭრობაზე, 13.1% - მშენებლობაზე, მხოლოდ 7.2% - სოფლის მეურნეობაზე, და 6.1% მომსახურების გაწევაზე<sup>28</sup>.

დაგიწეულო საწყისი სტადიის ფაქტორებით, რომლებიც ჩვენი ამჟამინდელი რეალობისთვის მეტად სახასიათო უნდა იყოს. საქართველოს ეკონომიკის კუზნეცისეული ანალიზითვის საჭიროა გვქონდეს შინამეურნეობების შემოსავლების

<sup>26</sup> Robert J. Barro - *Inequality and GrowthRevisited*, January 2008

<sup>27</sup> Alfredo Saad-Filho – *Growth, Poverty and Inequality: From Washington Consensus to Inclusive Growth*, November 2010, Economic & Social Affairs

<sup>28</sup> მთლიანი გამოშვების სტრუქტურა 2017 წელს, [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

შესახებ ინფორმაცია, რაც პირდაპირი სახით საქსტატის ვებ-გვერდზე არ დევს, თუმცა, ამავე ვებ-გვერდზე არის შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევების მონაცემთა ბაზები. აღნიშნული გამოკვლევები ატარებს შემთხვევითი შერჩევის სასიათს და განზოგადების წესით გვაძლევს გარკვეულ სურათს მთლიანად ქვეყნის მასშტაბით არსებული მდგომარეობის შესახებ. ამასთან, აღნიშნული გამოკვლევები ტარდება 2009 წლიდან და, შესაბამისად, სწორედ დროის ამ მონაკვეთის გაანალიზება არის შემოთავაზობული საოჯახო მეურნეობებისთვის. რისოვისაც გამოყენებულია შინამეურნეობების მთლიანი ყოველთვიური შემოსავლების სტატისტიკა, სტატისტიკური პროგრამა STTA-ს დახმარებით დაგალაგო ის ზრდის მიხედვით და დავყავით კვანტილებად, 20%-იან ჯგუფებად. შედეგად მიღებული სურათი სრულ თანხვედრაშია კუთხეცის მიერ განვითარებად ქვეყნებთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულ კანონზომიერებასთან, რომ მაღალი უთანაბრობა განვითარებად ქვეყნებში გამოწვეულია არა იმდენად ბოლო კვანტილის დაბალი წილით საერთო შემოსავლებში, არამედ მოსახლეობის ყველაზე მდიდარი კვანტილის ზედმეტად მაღალი მაჩვენებლით. შეუ 3 კვანტილი ბევრით არ აღემატება ბოლო კვანტილს, ხოლო ყველაზე მდიდარი კვანტილი ამ ოთხივე მკვეთრად აღემატება, რაც ნიშნავს, რომ ძლიერი საშუალო ფენა ფაქტიურად არ არსებობს და აღგილი აქვს მაღალ უთანაბრობასაც. სწორედ ასეა საქართველოს შემთხვევაშიც. 2009 წელს კვანტილების შემოსავლების წილები მთლიან შემოსავალთან ზრდის მიხედვით შემდგენარად გამოიყერება: 4.20%, 8.89%, 14.23%, 22.58%, 50.10%. ხედავთ, თუ როგორ ჩამორჩება პირველი 4 კვანტილის წილი უმდიდრესი 20%-ის წილს. 2016 წლისთვის მდგომარეობა მცირდებით გაუმჯობესდა. თუმცა, უმდიდრესი კვანტილის მაჩვენებელი კვლავ მკვეთრად აღემატება დანარჩენი კვანტილების მაჩვენებლებს.


უნდა აღინიშნოს უთანასწორობის მცირდების ფაქტიც. ამის უკან დგას ის, რომ ქვედა კვანტილების საშუალო შემოსავალი უფრო მაღალი ტემპით იზრდებოდა ამ წლების განმავლობაში, ვიდრე მდიდარი კვანტილების საშუალო შემოსავლები. დიაგრამაზე წარმოგდგენილია ჰისტოგრამას, სადაც ასახულია კვანტილების აშენებელი კვლავ მკვეთრად აღემატება დანარჩენი კვანტილების მაჩვენებლებს.

### კვანტილების საშუალო შემოსავლის საშუალო ზრდის ტემპი 2009-2016




როგორც ხედავთ, მაჩვენებლები იდეალურად არის განაწილებული ეკონომიკის ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად. რაც უფრო დაბალ შემოსავლიანია მოსახლეობის კვანტილი, მით უფრო მაღალია მისი საშუალო შემოსავლის ზრდის

საშუალო ტემპი. გთავაზობთ უმდიდრესი და ყველაზე დაბალშემოსავლიანი კვანტილების საშუალო შემოსავლის ზრდის ტემპებს წლების მიხედვითაც:



როგორც ჩანს, 2010 და 2015 წლების გარდა, უმცირესი კვანტილის შემოსავლების ზრდა მუდამ აჭარბებდა უმდიდრესის ზრდას. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის საჭირო მეორე კომპონენტი, სიღარიბის შემცირების პროცესი, საქართველოში 2010 წლიდან სტაბილურად მიმდინარეობს. 2010 წელს საქართველოს მოსახლეობის 37.3% სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ იყო, 2017 წელს კი ამ მაჩვენებელმა 21.9% შეადგინა. გამოდის, რომ 2010 წლიდან მოყოლებული, ეკონომიკური ზრდა საქართველოში ინკლუზიურობის კომპონენტებს აკმაყოფილებდა. ყველაზე მეტად ინკლუზიური ზრდა დაფიქსირდა 2012 წელს, როცა პირველი კვანტილის საშუალო შემოსავლები 26.12%-ით გაიზარდა, მეხუთე კვანტილისა კი მხოლოდ 5.16%-ით, სიღარიბის მაჩვენებელი კი მთელი 4 პროცენტული პუნქტით დაეცა (34.1% - 30%). ამ წელს მშპ-ს რეალური ზრდის ტემპი 6.4% გახდა.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სწორი განლაგება ზრდის ტემპებისა, არამედ ინტენსივობაც. ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში, იმდენად ჩამორჩება ქვედა კვანტილი ყველაზე მდიდარ კვანტილს, რომ ზრდის ტემპებში აღნიშნული განსხვავებები საკმარისი არ არის, კიდევ უფრო მეტი სხვაობაა სასურველი. ამის საილუსტრაციოდ შემოგთავაზებთ ხაზოვან დიაგრამას, სადაც ნაჩვენებია 2009 წლიდან 2016 წლამდე როგორ გაიზარდა განსხვავება საოჯახო მეურნეობების საშუალო შემოსავლების აბსოლუტურ მაჩვენებლებს შორის:




შინამეურნეობების ყველაზე დარიბი კვანტილის წარმომადგენლისთვის დიდად მანუელშებლად გერ გამოიყერება უმდიდრეს კვანტილთან შედარებით 4%-ით უფრო სწრაფი ზრდა შემოსავლებში, როცა აბსოლუტურ მაჩვენებლებში მისი საშუალო შემოსავალი მხოლოდ 118.61 ლარით გაიზარდა, როცა უმდიდრესი კვანტილის საშუალო შემოსავლის ნამატი 851 ლარია. საბოლოოდ კი მისი შემოსავალი 9-ჯერ ჩამორჩება უმდიდრესი კვანტილის შემოსავლებს.

საინტერესო იქნება კვანტილებს შორის შემოსავლის განაწილების განხილვა ჩვენს შესაძარ ქვეყნებში. მაგალითთად, ინკლუზიური განვითარების ინდექსის განვითარებადი ქვეყნების რეიტინგში ჩვენზე ერთი ადგილით წინ მყოფი (31) მოლდოვა<sup>29</sup>, რომელიც ჩვენსავით აღმოსავლეთ ევროპის განვითარებადი ქვეყანაა. ვინაიდან მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზაში კვანტილებად ინდიკირები არიან დაყოფილი და არა შინამეურნეობები, ამ შემთხვევაში ორივე ქვეყნისთვის, საქართველოსა და მოლდოვასთვის, ვიუენებ ინდიკირებულ კვანტილებს შორის განაწილებას, რომელიც, როგორც წესი, უფრო ნაკლებ უთანაბრობას აჩვენებს, ვიდრე შინამეურნეობებს შორის განაწილება. ეს სავარაუდოდ გამოწვეულია იმით, რომ მდიდარი ინდიკირები ერთი და იმავე შინამეურნეობებში იყრიან თავს და უთანაბრობის მაჩვენებელიც მეტი გამოდის საოჯახო მეურნეობების სტატისტიკაში.

მაშ ასე, წარმოგიდგენთ საქართველოსა და მოლდოვას კვანტილებს შორის შემოსავლის განაწილების გრაფიკს 2016 წლის მონაცემების მიხედვით:

<sup>29</sup> World Economic Forum – The Inclusive Development Index 2018, Summary and Data Highlights



როგორც ხედავთ, მოლდოვას უფრო თანაბარი შემოსავლების განაწილება აქვს კვანტილებს შორის, ვიდრე ჩვენ. უმდიდრესი კვანტილი თუ ჩვენთან 43.6%-ს ფლობს, მოლდოვაში მათი მაჩვენებელი მთელი 7%-ით ნაკლებია. მოლდოვას პირველი 3 კვანტილი მეტ წილს ფლობს მათი ქვეყნის მთლიანი შემოსავლებიდან, ვიდრე ჩვენი დაბალ შემოსავლიანი 3 კვანტილი ჩვენი შემოსავლებიდან. განსაკუთრებით აღნიშვნის დირსია პირველი კვანტილის 10%-იანი მაჩვენებელი. აქედან, არც არის გასაკვირი, რომ მათი ჯინის კოეფიციენტი, მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზის მიხედვით, 2016 წელს იყო 26.3, როცა ჩვენი ჯინის კოეფიციენტი 36.5-ს შეადგინდა.<sup>30</sup> ადსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებლებს ადგილი აქვს ერთ სულ 7 შემოსავლის შემდეგ ფონზე: ჩვენი რეალური მშპ ერთ სულ 7 2010 წლის დოლარებში 2016 წელს 4084\$ იყო, როცა მოლდოვასთვის იგივე მაჩვენებელი 2063\$-ს შეადგინდა, ანუ საქართველო ცხოვრების დონით მოლდოვას დაახლოებით 2-ჯერ ადგიმატება. თუ მშპ-ს აბსოლუტურ მაჩვენებლებს ავიდებთ, იქაც დაახლოებით იგივე განსხვავებას დავინახავთ. მიუხედავად ამისა, მოლდოვა მართლაც სამაგალითოა განვითარებად ქვეყნებს შორის ინდუზიური ფაქტორების წარმატებულობით: დაბალი ჯინის კოეფიციენტით, როგორც შემოსავლის, ასევე სიმდიდრის კუთხით, და ძალიან დაბალი სიღარიბის მაჩვენებლით. მათი მოსახლეობის რიცხოვნობა დაახლოებით 3 მილიონია. მოლდოვა წარმოადგენს სანიმუშო მაგალითს იმისა, რომ ჩვენნაირ განვითარებად და დაბალ შემოსავლიან ქვეყანასაც შეუძლია ჰქონდეს შემოსავლებში დაბალი უთანაბრობა და დაბალი სიღარიბის დონე. საინტერესოა, რომ 2017 წელს მათი მშპ-ს 64.8% მომსახურების სფეროზე მოდიოდა, 21% მრეწველობაზე, ხოლო 14.2% სოფლის მეურნეობაზე, როცა 1989 წელს მომსახურების სფეროს მხოლოდ 24%-იანი მაჩვენებელი ჰქონდა.<sup>31</sup> 1999 წლიდან, როცა მათი ჯინის კოეფიციენტი 42.6%-ს შეადგინდა, 2016 წლისთვის 26.3%-ზე ჩამოვიდა. ეს ხაზს უსგამს მოლდოვაში სწრაფად განხორციელებულ პოსტ-ინდუსტრიულ პროცესებს და მომსახურების სფეროს ზრდის დადებით გავლენას უთანაბრობის აღმოფხვრაზე, რაც სწორედ კუზნეცის მიერ იყო წამოყენებული, როგორც უთანაბრობის შემამცირებელი ფაქტორი. როგორც მოლდოვას შემთხვევაში ვხედავთ, შემოსავლებში უთანასწორობის დაბალი

<sup>30</sup> The World Bank, [data.worldbank.org](http://data.worldbank.org) - Gini Index (World Bank estimate), Georgia, Moldova

<sup>31</sup> [www.indexmundi.com](http://www.indexmundi.com) – Moldova GDP – composition by sector

მაჩვენებელი (ჯინის კოეფიციენტი) ემყარება ქვედა კვანტილების მაღალ წილს საერთო შემოსავლებში.

ამ საკითხს უკავშირდება კუზნეცის მიერ ჩამოყალიბებული, განვითარებადი ეკონომიკებისთვის დამახასიათებელი, კიდევ ერთი ფაქტორი. ეს არის კუზნეცის კონცეფცია განვითარებადი ქვეყნების ქვედა კვანტილებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც განვითარებული ქვეყნების ქვედა კვანტილებისგან განსხვავებით, განვითარებადი ქვეყნების ქვედა კვანტილს არ შეიძლება საერთო შემოსავლებში 6-7%-ზე დაბალი წილი და ერთ სულზე საშუალო შემოსავლებში არის 0.6 ან 0.7-ზე ნაკლები ჰქონდეს, ვინაიდან ისედაც დაბალი საშუალო შემოსავლის კიდევ უფრო ნაკლები წილი ადამიანის ცხოვრებისთვის საქმარისი ვედარ იქნება. რა ხდება ჩვენთან ამ მხრივ? როგორც პისტორამაზე დავინახეთ, კულტურული დარიბი კვანტილის წილი საერთო შემოსავლებში არის 5.04%. გარდა ამისა, ვიუკნებ კვანტილებად დაყოფილ და ინდივიდუალური შემოსავლების შესახებ მონაცემებს<sup>32</sup>, საიდანაც მარტივი კალკულაციებით ჩანს, რომ 2016 წელს ქვედა კვანტილის საშუალო შემოსავალი 89.95 ლარი, მეორე კვანტილისა კი 154.39 ლარია, რაც 2016 წლის საშუალო შემოსავლის (268.51 ლარი; ფულადი და არაფულადი შემოსავლების ჯამი გაყოფილი მოსახლეობის რიცხოვნობაზე), შესაბამისად, 0.34 და 0.58 წილს წარმოადგენს. ეს ნიშავეს, რომ არათუ მხოლოდ პირველი კვანტილი, არამედ ვერც მეორე კვანტილი ვერ აღწევს ისედაც დაბალი შშა ერთ სულზე მაჩვენებლის 0.6 წილს. შინამეურნეობებს რომ დავუპრუნდეთ, აქაც პირველი და მეორე კვანტილის ოჯახები საშუალოდ მთლიანი საშუალო შემოსავლის, შესაბამისად, 0.25 და 0.48 წილს ფლობენ.

ამ საკითხს მივყავართ კუზნეცის შემდგომ კონცეფციამდე, სადაც ნათქვამია, რომ განვითარებადი ქვეყნებისთვის მაღალი უთანაბრობა განსაკუთრებით მძიმე იქნება. მართლაც, წინა აბზაცში მოყვანილი ინფორმაციის ფონზე, აშკარა ხდება, თუ რატომ არის ჩვენს ქვეყანაში სიდარიბის დონე ასეთი მაღალი - სიდარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი 22%-ია, ანუ ქვეყანაში ყოველი მეხუთე ადამიანი სიდარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. ეს დიდწილად სწორედ შემოსავლებში მაღალი უთანასწორობით და ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპით აიხსნება.

ამასთან, ეკონომიკურ და სოციალურ ინსტიტუტებზე ინდუსტრიალიზაციის საწყისი ეტაპის გავლენა მართლაც უთანაბრობის ზრდაში აისახა 1990-იან წლებში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ინსტიტუციური განახლების პროცესი ნელი და მტკიცნეული ტექნიკით მიმდინარეობდა, კიდევ უფრო მდიდრდებოდნენ მდიდარი ადამიანები, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კი გაჭირვებაში რჩებოდა. ვინაიდან შინამეურნეობების გამოკვლევებს საქსტაცი მხოლოდ 2009 წლიდან აწარმოებს, ამ შემთხვევისთვის ვიუკნებ კვლავ მსოფლიო ბაზის ინდივიდუალური შემოსავლების შესახებ ინფორმაციას, რომელიც 1996 წლიდან იწყება. კვანტილების შესახებ აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით ჩანს, რომ უმდიდრეს და უდარიბეს კვანტილებს შორის განსხვავება მცველობის გაიზარდა 1996 წელს და 4-5 წლის განმავლობაში ნარჩუნდებოდა ეს სხვაობა. სავარაუდოდ, სხვაობის ზრდის პროცესი 1996 წლამდე რამდენიმე წლით ადრე დაიწყო, რის შესახებაც უბრალოდ სტატისტიკური მონაცემები არ გვაქვს. საბოლოო ჯამში, შეგვიძლია 1990-იანი წლები შემოსავლებში უთანაბრობის ზრდის წლებად მოვისევნით.

## გარდამტები ფაზა

<sup>32</sup> The World Bank - data.worldbank.org

აუზნეცის განსაზღვრებით, თუ ქალაქში 4-ჯერ მეტია ერთ სულზე შემოსავ-ლის მაჩვენებელი, ვიდრე სოფელში, მაშინ უთანაბრობის შემცირება დაიწყება მას შემდეგ, რაც მოსახლეობის 30% ქალაქში იქნება დასახლებული, ხოლო თუ შე-მოსავლებში ქალაქი სოფელს 2-ჯერ აღმატება, უთანაბრობა კლებას დაიწყებს მაშინ, როცა მოსახლეობის ნახევარი ურბანულ დასახლებებში მოიყრის თავს. სა-ქართველოში შემოსავლის სოფელსა და ქალაქს შორის განაწილების სტატისტიკა საქსტატის აქვს, თუმცა ეს სტატისტიკა გვიჩვენებს მონაცემებს 2006 წლიდან. ამის გამო, უნდა ვიმსჯელოთ მიმდინარე წლების მონაცემების მიხედვით. ჩემდა გასაკვი-რად, საქართველოს სოფლებში ერთ სულზე საშუალო შემოსავლები (საქსტატის მონაცემები სოფლის აბსოლუტურ შემოსავალზე გავყავი სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობაზე) ბევრად არ ჩამორჩება ქალაქად მაცხოვრებელთა საშუალო შემო-სავლებს. 2011 წელს ქალაქში საშუალო შემოსავალი მხოლოდ 1.19-ჯერ აღემატე-ბოდა სოფლებში საშუალო შემოსავალს, 2016 წელს კი ეს განსხვავება 1.35 გახდა. აქედან უნდა დაგასცვნათ, რომ ჩვენთან ინდუსტრიალიზაციისა და პოსტ-ინდუსტ-რიული პროცესი ჯერ კიდევ არ დაწყებულა მთელი სიმძლავრით. ასევე, კუზნეცის მაგალითებისგან განსხვავებით, რომლებიც 2 საუკუნის წინანდელ ტენდენციებს ხსნიან, ამჟამინდელი მსოფლიო ეკონომიკური მდგრადირეობა სულ სხვაგვარია და შესაბამისად, ინდუსტრიალიზაციის მიმდინარე პროცესიც ჩვენს ქვეყანაში. ისიც საგულისხმოა, რომ მოყვანილი სტატისტიკა სრულყოფილად არ ასახავს საქარ-თველოს ქალაქებსა და სოფლებს შორის ცხოვრების დონით არსებულ განსხვა-ვებას. თუ კუზნეცის მსჯელობიდან არ ამოვვარდებით, ვინაიდან ჩვენთან ეს შეფარ-დება არის 1.35:1, რაც 2:1 შეფარდებას 1.48-ჯერ ჩამორჩება, ქალაქში მაცხოვ-რებელთა წილიც, შესაბამისად, 1.48-ჯერ უფრო მაღალ ნიშნულზე უნდა ავიდეს, რომ უთანაბრობის შემცირება დაიწყოს. გამოდის, რომ ჩვენთან უთანაბრობის შემცირება მას შემდეგ დაიწყება, რაც ქალაქებში მოსახლეობის 75% დასახლდება. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ქალაქსა და სოფელს შორის საშუალო შემო-სავლების განსხვავების ზრდის ტენდენციასაც, უნდა ვთვარაუდოთ, რომ ურბანულ დასახლებებში მოსახლეობის 65-70%-ის დასახლებაც საქმარისი იქნება, რომ უთანაბრობის შემცირება დაიწყოს. 2018 წლისთვის ქალაქების მაცხოვრებელია საქართველოს მოსახლეობის 58.3%. თუ 2012-2018 წლების ზრდის ტემპს გამოვი-ყნებოთ, მონაცემთა ჯაჭვური ზრდის ტემპის წესით პროგნოზირებისთვის, მივი-დებთ, რომ ქალაქების მაცხოვრებელთა წილი 60%-ს მიაღწევს 2025 წელს, 65%-ს 2042 წელს, ხოლო 70%-ს 2058 წელს. თუ ეკონომიკური ზრდის ტემპი მართლაც გაიზრდება, 2025 წლისთვის ქალაქად დასახლებული მოსახლეობის 60%-თან ერ-თად, უკვე შესაძლებელი იქნება უთანაბრობითი შემცირება.

აქვე აღვნიშნავ, რომ საიმონ კუზნეცის მიერ გამოკვლეული ქვეყნების, აშშ-ს, გერმანიის და ინგლისის, შემთხვევებში, უთანაბრობის ზრდის ფაზა დაახლოებით 60 წელი გრძელდებოდა. თუმცა, ეს ხდებოდა მე-19 საუკუნეში, და არ მგონია დღე-განდელ, დაჩქარებულ, გლობალიზებულ და პოსტ-ინდუსტრიულ მსოფლიო ეკონო-მიკურ გარემოში ჩვენც 2050 წლამდე (1990-იანებიდან) უნდა ველოდოთ უთანაბრო-ბის შემცირების პროცესს. ჩემი აზრით, ონამედროვე პირობებში, კუზნეცის მრუ-დის საწყისი ეტაპის დასრულება და უთანასწორობის ზრდის შეჩერება ბევრად მცირე დღოშია შესაძლებელი, მაღალი ეკონომიკური ზრდისა და ინკლუზიური განვითარების მეშვეობით. დასკვნითი ფაზა კი, იქიდან გამომდინარე, რომ ის არამ-ხოლო ეკონომიკურ, არამედ გარკვეულ სოციალურ-ინსტიტუციურ საკითხებსაც ეყრდნობა, შესაძლოა დროში უფრო გაწელილი, ნელი პროცესი გამოდგეს.

## დასკვნითი ფაზა

რაც შექება დასკვნით ფაზას, სადაც უთანასწორობა შემოსავლებში ეკონომიკურ ზრდასთან ერთად მცირდება, მისი მახასიათებლები ნაკლებად საგარაუდოა უკვე განხორციელებული იყოს საქართველოს ეკონომიკაში. კუზნეცის მიხედვით, უთანაბრობის კლებას იწვევს დემოგრაფიული ფაქტორი, რომლის მიხედვითაც, შედარებით დაბალ შემოსავლიან ოჯახებს შეტყიდი ჰყავთ, ვიდრე მდიდრებს, და აქედან გამომდინარე, დროთა განმავლობაში, მდიდარ კვანტილებში მდიდრების კლებად რიცხოვნობას ზრდადი რიცხოვნობის შედარებით დაბალ შემოსავლიანები ავსებენ. კონკრეტული მდიდრების სიმძიდრე შესაძლოა ნარჩუნდება, ან თუნდაც იზრდება კიდეც, მაგრამ ვინაიდან კვანტილში შინამეურნეობების ფიქსირებული რიცხოვნობა იგულისხმება, დაბალი შობადობის გამო კლებადი მდიდარი შინამეურნეობების ადგილს, რიცხოვნობაში ზრდადი დაბალ შემოსავლიანი შინამეურნეობები იკვებენ. ერთ კვანტილში თავს იყრიან კიდევ უფრო გამდიდრებული, მაგრამ მცირე ღრეულობის მდიდარი შინამეურნეობები და შედარებით დაბალ შემოსავლიანი ოჯახები. ამის გამო, დროთა განმავლობაში, ხდება შედარებითი გამოთანაბრება კვანტილებს შორის. უნდა ითქვას, რომ ეს არის ის ერთ-ერთი პროცესი, რომელიც უთანაბრობის კლებას გრძევადიან პერიოდში ახერხებს, და არა დროის მოკლე მონაკვეთში.

შემდეგი ორი ფაქტორი სტრუქტურულია: ეკონომიკის დინამიკურობა - ახალი დარგების განვითარება და მომსახურების სფეროს ზრდა. საქართველოს ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებები ნამდვილად მიმდინარეობს. თუ 2006 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში მოწინავე ადგილებს სახელმწიფო მმართველობა და ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება იკვებდნენ, 2017 წელს ისინი, შესაბამისად, მეოთხე და მეშვიდე ადგილებზე იმყოფებიან, ხოლო მოწინავე ადგილებს უთმობენ ვაჭრობას, მრეწველობას და ტრანსპორტი/კავშირგაბმულობას. ეს ფაქტორი, თავისთავად, უთანასწორობის შემცირებას ემსახურება, ვინაიდან, თუ მაღალ შემოსავლიანი ჯგუფების წარმომადგენლები თავის მოგროვებულ აქტივებს ახალი, მზარდი და მაღალ მოგებიანი დარგებისკენ არ მიმართავენ, მათი არსებული აქტივებიდან, ახალი დარგების წარმომადგენლების აქტივებთან შედარებით, გრძელვადიანი ამონაგები მნიშვნელოვნად შემცირდება. შესაბამისად, წარმოების დარგების სწრაფი ცვლილებები მდიდარი მოსახლეობის პოზიციების შერყევას და დაბალ შემოსავლიანი მოსახლეობისთვის გამდიდრების შანსს ნიშნავს.


თანდათანობით იზრდება მომსახურების სფეროს შემოსავლები, რაც ასევე მეტ შანსს აძლევს დაბალ შემოსავლიან მოსახლეობას, ვინაიდან ის დამოკიდებულია არა სოციალურ სტატუსზე ან სიმძიდრის ქონაზე, არამედ პროფესიონალიზმსა და კონკურენტუნარიანობაზე. როგორც მოლდოვას მაგალითზე ვნახეთ, მათი საოცრად დაბალი უთანასწორობა შემოსავლებში, სხვა ფაქტორებთან ერთად, სავარაუდოდ, მომსახურების მშპ-სთან მკვეთრად გაზრდილმა (64.8%) გამოიწვია. მაღალი დონის პროფესიონალების ჩამოყალიბებას შესაბამისი განათლების სისტემა სჭირდება, რაც ამ მხრივაც აუცილებელს ხდის განათლებაზე აქცენტის გაკეთებას.

საბოლოოდ, კუზნეცის მიხედვით, უთანაბრობა მცირდება არა იმდენად სოფელში დარჩენილი დაბალ შემოსავლიანი მოსახლეობის წილის ზრდით, არამედ ურბანულ დასახლებაში მყოფი დაბალ შემოსავლიანი მოსახლეობის მოძლიერებით, რაც აყალიბებს ძლიერ საშუალო ფენას, ზრდის შუა 3 კვანტილის წილს და მცირებს უმდიდრესი კვანტილის მაჩვენებელს. ქალაქში ახლად დასახლებული მოსახლეობა ხელ-ხელა წარმატებით მკვიდრდება, მათი შვილები კი პირდაპირ ურბანულ გარემოში იბადებიან, ადაპტაციის პერიოდი ადარ სჭირდებათ და მომავალში უკეთეს შანსებს ფლობენ, რათა შექმნან ძლიერი საშუალო ფენა. ამასთან,

ძველად დამკვიდრებული მოსახლეობა დროთა განმავლობაში ალლოს უდებს ახალ სისტემას, ახალ გარემოს და ახერხებს წინსკლას ზემოთ ნახსენებ სტრუქტურულ გარდაქმნებში თავის დამკვიდრების გზით. ეს ფაქტორიც გრძელვადიანი მოქმედებით ხასიათდება. საქართველოში 2018 წელს მოსახლეობის 58% ქალაქებში ცხოვრობს, ამ მაჩვენებლის ზრდის ტემპის გათვალისწინებით კი უნდა ვივარაუდოთ, რომ ის 50%-ს დიდი ხნის წინ გადასცდა (1969 წელს). ეს იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ურბანული დასახლებების დაბადებებისა მოძლიერების პროცესი დაწყებული უნდა იყოს, თუმცა რამდენ ხანში მიაღწევს ის სრულ რეალიზაციას, მხოლოდ ეკონომიკურ ზრდასა და მის ინკლუზიურობაზეა დამოკიდებული.

და ბოლოს, მნიშვნელოვანია ურბანული მოსახლეობის დაბადებებისავლიანი ნაწილის პოლიტიკური ძალაუფლებების ზრდა. პოლიტიკური გადაწყვეტილებები და საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც პირდაპირ ემსახურება შემოსავლებში უთანაბრობის შემცირებას, სწორედ ამ ჯგუფების ნაკარნახევია, ვინაიდან დემოკრატიულ სისტემაში პოლიტიკოსები უმრავლესობის დაკვეთას ასრულებენ, უმრავლესობისა, რომელიც უმდიდრესი კვანტილისგან განსხვავებით, უცმაყოფილობა თავისი ყოფით და საკუთარი მდგრამარეობის გაუმჯობესებას ითხოვს. საქართველოში ამ ფაქტორის არსებობას ისიც ადასტურებს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის ასიგნებების სახით 2017 წელს 3,415,800,000 ლარი იყო გამოყოფილი, რაც საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 29%-ია, ხოლო მშპ-ს 9.11%<sup>33</sup>.

საბოლოოდ, კუზნეცი თავის მოდელში უთანაბრობის მარტივ საზომადი იყენებს უმდიდრესი და უდარიბეს კვანტილებს შემოსავლების წილებს შორის სხვაობას და ამ სხვაობის ცვლილებას დროთა განმავლობაში ეკონომიკურ ზრდასთან ერთად. ვინაიდან საოჯახო მეურნეობების შესახებ მონაცემები მხოლოდ 2009 წლიდან გვაქს, კვანტილებს შორის აღნიშნული სხვაობები ინდივიდუალური შემოსავლების კვანტილებზეა გაკეთებული, რომლის მონაცემთა ბაზაც 1996 წლიდან იწყება. ქვემოთ შემოთავაზებულია ხაზოვან დიაგრამას, სადაც ასახულია საქართველოს უმდიდრეს კვანტილებს კვანტილებს კვანტილებს შორის არსებული სხვაობა:



როგორც ხედავთ, დიაგრამა ვერ გვიჩვენებს ზუსტად კუზნეცის მრუდის ანალოგიას, თუმცა ამის მოლოდინი არც უნდა გვქონდა. მეტად სავარაუდოა, რომ ეს დიაგრამა მცირედი ნაწილია უფრო ფართო მრუდისა, რომლის განვითარებაც


<sup>33</sup> საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი 2017, თავი VI - ხაძართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი

ახორციელება, [www.mof.ge](http://www.mof.ge)

დროთა განმავლობაში გამოიკვეთება. ამ შემთხვევაში შემიძლია გამოვთქვა მოსაზრება, რომ უთანაბრობის ორივე აღმავალი პერიოდი (სადაც სხვაობა იზრდება), 1996-1998 (სავარაუდო 1996-მდე დაწყებული) და 2004-2010 კუნძულის მრუდის საწყისი სტადიის ფაქტორებისგან იყო გამოწვეული. საბჭოთა კავშირის დანგრევამ და საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამ, 90-იან წლებში ეკონომიკური და სოციალურ-ინსტიტუციური გარემოს ცვლილებები გამოიწვია. ამ ინსტიტუციურ ნგრევას, როგორც ჩანს, მართლაც მოჰყვა დაბალი ეკონომიკური ზრდის ფონზე, მხოლოდ მდიდრების (კიდევ უფრო) გამდიდრება და უთანაბრობის გაზრდა შემოსავლებში. შემდეგ, 2004 წლამდე დაღმავალ პერიოდზე რთულია საუბარი, თუმცა იმის თქმა ნამდვილად შეიძლება, რომ უთანაბრობის შემცირება კუნძულის ფაქტორებს არ გამოუწვევიათ, ვინაიდან, საწყისი და დასკვნითი ფაზის ფაქტორები ესეთ მცირე მონაკვეთში არ ენაცვლებიან ერთმანეთს. შემდეგ, 2010 წლამდე აღმავალი მონაკვეთი, უთანაბრობის ზრდა, კვლავ ინსტიტუციურმა განახლებამ გამოიწვია, რაც ახალი ხელისუფლების მოსვლით იყო განპირობებული 2003 წლიდან. როგორც წინა შემთხვევაში, აქაც ინსტიტუციური ნგრევით და ცვლილებებით მდიდრებმა ისარგებლეს, დაბალშემოსავლიან ფენებს კი ადაპტაციისთვის მეტი დრო დასჭირდათ. 2010 წლიდან მოყოლებული ჩანს უთანაბრობის კლების ტენდენცია, რაც მიგანიშებებს, რომ ურბანულ დასახლებაში მყოფი მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ნაწილი მოძლიერებას იწყებს. ამასთან, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფო პოლიტიკა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კოორდინირებული მუშაობა. ვიმედოვნებ, რომ უთანაბრობაში დაღმავალი ტრენდი მართლაც კუნძულისეული დასკვნითი ფაზის დასაწევისია.

იმისათვის, რომ კიდევ უფრო მრავლისმთქმელი გამეხსადა საქართველოს ეკონომიკაში უთანაბრობის ტენდენციებისა და მისი ეკონომიკურ ზრდასთან კავშირი, გამოვიყენე სტატისტიკური პროგრამა ვიეწს, რომელშიც ვექტორული ავტორეგრესიის მოდელით (V დ) დავაკავშირე ინდიკიდუალური შემოსავლების კვანტილებად განაწილებული მონაცემები და მშპ ერთ სულზე ზრდის დოგარითმული ფუნქცია. მაგულს-დესპონსე (იმპულსი-ასახვა) ანალიზი კარგად ასახავს მშპ

ერთ სულზე ზრდის გავლენას თითოეული კვანტილის შემოსავლების წილზე:  
Response to Cholesky One S.D. (d.f. adjusted) Innovations  $\pm 2$  S.E.




როგორც გრაფიკებიდან ჩანს, მშპ ერთ სულზე ზრდის 1%-ით გაზრდილი მაჩვენებელი ამცირებს უმდიდრესი კვანტილის წილს მოლიან შემოსავლებში და ზრდის ყველა დანარჩენი კვანტილების წილებს. ყველაზე დაბალ შემოსავლიანი კვანტილის წილი დაახლოებით 0.04-ით იზრდება (მაგ:  $6+0.04=6.04\%$ ). აღნიშნული უფატი დაახლოებით 5 წლის განმავლობაში ნარჩუნდება. მშპ ერთ სულზე ზრდის პროცესის გაგრძელებასთან ერთად კი ეს ეფექტი მუდამ განახლებადია.

გარდა ამისა, აღნიშნული მოდელით გავაკეთო პროგნოზი, სადაც ასახულია კვანტილების შემოსავლების წილების მომავალი ცვლილებები:

პროგნოზიდან ირკვევა, რომ პირველი (ამ შემთხვევაში უმდიდრესი) კვანტილის წილი 2020 წლამდე ზრდას განაგრძობს, 50%-მიუახლოვდება, შემდეგ კი შემცირებას დაიწყებს. სიმძიდორით მეორე კვანტილის შემოსავლების წილი 2018 წლიდან 2021 წლამდე შემცირდება, ბოლოს კი მცირდით ზრდის ტენდენცია ჩანს. მესამე და მეოთხე კვანტილების შემოსავლებიც 2020 წლამდე შემცირდება, ხოლო ყველაზე დაბალ შემოსავლიანი კვანტილის წილი 2019 წლამდე შემცირდება, 5%-ს ჩამოსცდება, ხოლო შემდეგ ზრდას დაიწყებს. ქვედა კვანტილი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ყველაზე მეტად არის დამოკიდებული მშპ ერთ სულზე ზრდის მაჩვენებელზე. პროგნოზშიც, ბოლოს წინა დიაგრამაზე ჩანს, მცირე ჩავარდნა აქვს 2018 წლის მშპ ერთ სულზე ზრდის ტემპს, რაც დიდწილად განაპირობებს ქვედა კვანტილის გარდნასაც 2019 წლამდე. მართლაც, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში, ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების ნაწილში, საბაზისო სცენარში ჩანს, რომ მშპ ერთ სულზე ზრდის ტეპი 2017 წელს არსებული 10.25%-იანი მაჩვენებლიდან 2018 წელს ჩამოქვეთდება 8.16%-იან

გაჩვენებელზე<sup>34</sup>, რაც ჩემმა V დ მოდელმაც ზუსტად განსაზღვრა. ეს კიდევ უფრო მეტ აგთქნებულობას მატებს გაპეტუბულ პროგნოზს.



### დასკვნა

კუზნეცის მრუდის საწყისი ფაზის ფაქტორების ანალიზი ცხადყოფს, რომ წარმოუდგენელია, მოვლენების ბუნებრივი დინებით განვითარებისას, უთანაბრობა შემოსავლებში კიდევ უფრო გაიზარდოს. ამის თქმის საშუალებას შემდეგი ფაქტები მაძლევს: 1. საქართველოში უთანაბრობა უკვე საქმარისად გაზრდილია და კუზნეცის თვალსაზრისს განვითარებად ქვეყნებში უმდიდრესი კვანტილის დიდი წილისა და საშუალო ფენის დაბალი შემოსავლების შესახებ, სრულებით ამართდებს. ამავე ფაქტორის გაგრძელებაა ის ფაქტი, რომ ყველაზე დაბალ შემოსავლიანი 2 კვანტილის საშუალო შემოსავლები მთელი მოსახლეობის საშუალო შემოსავლებთან მიმართებით მხოლოდ 0.34 და 0.58 წილს შეადგენს, პირველი კვანტილი კი საერთო შემოსავლის მხოლოდ 5%-ს შეადგენს. როგორც მხედავთ, ეს მაჩვენებლებიც იმდენად დაბალია, რომ აღარ უნდა გაუარესდეს. 2. კუზნეცის თქმით,

<sup>34</sup> ძირითადი ფინანსური და ეკონომიკური ინდიკატორები (საბაზისო სცენარი), დანართი 1.1, [www.mof.ge](http://www.mof.ge)

უთანაბრობა შემოსავლებში განსაკუთრებით მძიმე იქნება განვითარებად ქვეყნებში, რაც საქართველომ უპვე გამოსცადა. 2017 წელს ჩვენთან სიდარიბის აბსოლუტური მაჩვენებელი 22%-ს შეადგენდა (2007 წელს 39%), რაც ნიშნავს, რომ ქვეყანაში ყოველი მეხუთე ადამიანი სიდარიბის ზღვარს ქვემოთაა, უმუშევრობის დონე კი 14% (არაოფიციალური დასკვნებით ეს მაჩვენებელი მეტსაც შეადგენს). 3. ეკონომიკურ და სოციალურ ინსტიტუციებზე განვითარების ახალმა სტადიამ ჩვენი ქვეყნისთვის უკვე იმოქმედა უარყოფითად, უთანაბრობის ზრდის პერიოდები ემთხვევა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდს და 2003 წელს ახალი ხელისუფლების მოსვლას სათავეში. 4. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები ბოლო წლებში უკეთესის არსებობის სურვილს ბადებდა, განსაკუთრებით 2013-16 წლებში.

5. თუ, კუნძულის მიხედვით, მე-19 საუკუნეში უთანაბრობის ზრდის პროცესი 60 წელი გრძელდებოდა, დღევანდელ რეალობაში, დაჩქარებულ, გლობალიზებულ და ტექნოლოგიებით დატვირთულ მსოფლიოში, ამ პროცესის ხანგრძლივობა შესაძლოა განახევრდა კიდეც. საქართველოში ეს პროცესი 1990-იანი წლებიდან დაიწყო და სრულიად საქმარისი დროა გასული უთანაბრობის ზრდის ფაზის რეალიზებისთვის. როგორც ხედავთ, კუნძულის მრუდის საწყისი, უთანაბრობის გაზრდის, ფაზის ეს ფაქტორები საქართველოსთვის აჩვენებს, რომ საქართველოში უთანაბრობა საქმარისად გაიზარდა იმისათვის, რომ კუნძულის მრუდის საწყისი ფაზა დასრულებულად, ან დასრულების პროცესში მყოფად გამოვაცხადოთ.

დასკვნითი (უთანაბრობის შემცირების) ფაზის ფაქტორები კი ცხადყოფს, რომ საქართველოში უთანაბრობის შემცირების პროცესი ხელ-ნელა აქტიურდება. 1. ქალაქებსა და სოფლებში მაცხოვრებელთა რიცხოვნობის ანალიზიდან ვაჩვენე, რომ 2025 წლისთვის ქალაქებში მაცხოვრებელთა წილი მთელ მოსახლეობაში 60% იქნება, რაც, კუნძულის მიხედვით, უთანაბრობის შემცირების პროცესს განაპირობებს. 2. ეკონომიკის დინამიკურობის ფაქტორიც თავის როლს თამაშობს ჩვენს ეკონომიკაში. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მოწინავე დარგები გახდენ ვაჭრობა და მრეწველობა. დინამიკური სტრუქტურული გარდაქმნები ხელს უწყობს დარიბი მოსახლეობისთვის გამდიდრების შანსების გაჩენას. მომსახურების სფეროს ზრდაც, თავის მხრივ, ამცირებს უთანაბრობას. მოლდოვას მაგალითზე ვნახეთ, რომ ჩვენნაირ, ჩვენზე უფრო დარიბ ქვეყანასაც კი შეუძლია პქნდეს დაბალი უთანასწორობა შემოსავლებში. მათი ეკონომიკის სტრუქტურიდან კი ირკევა, რომ მომსახურების სფერო შეადგენს მშპ-ს თითქმის 65%-ს. 3. კუნძულის მიხედვით, უთანაბრობა მცირდება ურბანული დასახლებების დაბალ შემოსავლიანი მოსახლეობის მოძლიერებით, გამდიდრებით, რომლებიც ქმნიან ფინანსურად ძლიერ საშუალო ფენას. თუ გავითვალისწინებთ საქართველოში ქალაქებში მაცხოვრებელთა რიცხოვნობის ზრდის ტენდენციას (2008-2018), ქალაქებში მაცხოვრებელთა წილი მთლიან მოსახლეობაში 50%-ს დიდი ხნის გადამცდარიდა (1969 წელს), რაც მაფიქრებინებს, რომ ურბანული დასახლებების დაბალ შემოსავლიანი ფენის დიდი ნაწილის ადაპტაციის პერიოდი დასრულებული უნდა იყოს და მოძლიერებას უნდა იწყებდეს. 4. მნიშვნელოვანია ამ დაბალ შემოსავლიანი მოსახლეობის პოლიტიკური ძალაუფლებაც. პოლიტიკოსები არ დაუშევებენ უთანაბრობის კიდევ უფრო ზრდას და მოსახლეობის დიდი წილის გაწილებას. 5. დამატებით ფაქტორს წარმოადგენს ჩემს მიერ გაკეთებული ანალიზი და პროგნოზი. რეგრესული ანალიზის მიხედვით, მშპ ერთ სულ ზე ზრდის მაჩვენებელი სტატისტიკურად მნიშვნელოვან გაელექტრონულ კანგრილზე და თანაც პოზიტიურად მოქმედებს მასზე. ამასთან, V დ მოდელის პროგნოზიდან ირკვევა, რომ მცირე ჩავარდნის შემდეგ, რომელსაც ადგილი 2019 წელს ექნება, პირველი კვანტილის წილი მთლიან შემოსავლებში ზრდას განაგრძობს (ეს პროცესი 2010 წლიდან არის დაწყებული). ამას ემატება ჯინის კოეფიციენტის კლებადი ტენდენციაც. საბოლოოდ, კუნძულის მრუდის დასკვნითი ფაზა საქართველოში

სავარაუდოდ, ან 2010 წელს დაიწყო, ან მცირე რყევების შემდეგ უახლოეს წლებში (შესაძლოა 2019 წლიდან, 2025 წელს კი უავე აქტიურად უნდა მიმდინარეობდეს) დაიწყება ურბანული მოსახლეობის კიდევ უფრო ზრდის და მოძლიერების პალ-დაკვალ. ეს, თავის მხრივ, ნიშავს საქართველოს ეკონომიკის ინკლუზიურობის ზრდას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მთლიანი გამოშეების სტრუქტურა 2017 წელს - [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
2. საქართველოს მაკროეკონომიკური განვითარება და ტენდენციები - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2017, [www.mof.ge](http://www.mof.ge)
3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი 2017, თავი VI - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიზნები, [www.mof.ge](http://www.mof.ge)
4. ბირითადი ფინანსური და ეკონომიკური ინდიკატორები (საბაზისო სცენარი), დანართი 1.1, [www.mof.ge](http://www.mof.ge)
5. **Alfredo Saad-Filho** – *Growth, Poverty and Inequality: From Washington Consensus to Inclusive Growth*, November 2010, Economic & Social Affairs
6. **Elena Ianchovichina, Susanna Lundstrom** - *Inclusive Growth Analytics*, The World Bank, March 2009
7. **Phillip Swagel, Cynthia Boruchowicz** - *Policies to Address Income Inequality and Increase Economic Opportunities for Low-Income Families*, 2017
8. **Robert J. Barro** - *Inequality and GrowthRevisited*, January 2008
9. **Simon Kuznets** - *Economic Growth and Income Inequality*, The American Economic Review, Vol. 45, No. 1 (Mar., 1955), pp. 1-28
10. **The World Bank, data.worldbank.org** - *Gini Index (World Bank estimate)*, Georgia, Moldova
11. **World Economic Forum** – *The Inclusive Development Index 2018, Summary and Data Highlights*
12. [www.indexmundi.com](http://www.indexmundi.com) – *Moldova GDP – composition by sector*
13. [www.data.worldbank.org](http://www.data.worldbank.org) - The World Bank

*Luka Lazviashvili*

### THE ANALYSIS OF INCOME DISTRIBUTION IN GEORGIA BASED ON SIMON KUZNETS METHODOLOGY

#### Expanded summary

The research reported here is taken from my Master's Thesis “*Macroeconomic Policy of the Inclusive Economic Growth*” which I successfully defended at Ivane Javakhishvili Tbilisi State University in July 2018. It's the part of the third chapter of my thesis, compressed and refined for being published. (*Special thanks to the Doctor of Economics, Professor and my thesis supervisor Mr. Nodar Khaduri who made a great contribution with his critical remarks and advices*).

The major aim of the article is to analyse the income distribution in Georgia by Simon Kuznets methodology and to depict the final result on the Kuznets Curve. The Kuznets Curve is still actual in the modern economic theory. It reflects the concept of how economic growth affects the inequality<sup>35</sup> and, since there are not many enquiries about that subject and the Kuznets theory is still authentic looking at empirical data,<sup>36</sup> it remains as a major concept of the


<sup>35</sup> **Simon Kuznets** - *Economic Growth and Income Inequality*, The American Economic Review, Vol. 45, No. 1 (Mar., 1955), pp. 1-28

<sup>36</sup> **Robert J. Barro** - *Inequality and GrowthRevisited*, January 2008

underlined connection.<sup>37</sup> Georgia hasn't gone through the natural and stable way of economic development in recent centuries what was done by western developed countries. The development of Georgian economy was forcibly obstructed and then abruptly became sovereign in 90s of the twentieth century, since then, both simultaneously but not one after another, the industrial and the post-industrial developments are in progress. So, we should not expect that Kuznets Curve will be perfectly replicated in Georgian economy. In the research below I will try to explain the recent income distribution tendencies in the economy of Georgia according to the Simon Kuznets ideas and draw an outline of the most possible future scenario. (*There is always National Statistics Office of Georgia wherever the source of data is not indicated*)

The Kuznets Curve consists of increasing and decreasing parts with the bending interval between them. One of the first idea articulated by Kuznets about the inequality is that excessive share of the total income in hands of highest-income quantile (20%) of the population is the reason of a high inequality in the developing countries. The middle 3 quantiles are close to the lowest quantile while the top quantile is much higher with its income share than the 4<sup>th</sup> quantile. That means the country has not the strong middle class. Let's see the distribution of income in Georgia. I collected the data about household incomes from the National Statistics Office of Georgia website (the data is from 2009 to 2016), sorted it in ascending order, formed the 20 % quantiles and got the picture which fully approves the mentioned idea. In 2009, the distribution of the total income between 20% quantiles was 4.20%, 8.89%, 14.23%, 22.58%, 50.10%. In 2016 it was little bit better in terms of equality but only slightly. The top quantile is still a way above the other quantiles.

**Distribution of the Total Income between 20-Qiantiles of Population of Georgia, 2016**




The little improvement towards the equality from 2009 to 2016 was driven by different pace of average income growth between quantiles.

<sup>37</sup> Alfredo Saad-Filho – *Growth, Poverty and Inequality: From Washington Consensus to Inclusive Growth*, November 2010, Economic & Social Affairs

### The Average Growth Rates of Quantiles Average Incomes in 2009-2016



As lower quantile we look the higher growth rate it has, that's the ideal arrangement for inclusive economic growth. Here is the chart representing the annual growth rates for 1<sup>st</sup> and 5<sup>th</sup> quantiles during that period.




As the chart shows, the best year in terms of improvement towards equality was 2012, when the lowest quantile income increased by 26.12% while the top quantile income by only 5.16%. In that year, poverty rate in Georgia dropped from 34.1% to 30%. Hence, it was the most successful year for inclusive development with that two improvements.

However, those improvements can't be relieving for the poor people in Georgia. In absolute terms the top quantile average income went up by 851 GEL while the lowest quantile average income increased by only 118.61 GEL. Their average income is 9 times lower than the highest quantile average income. Therefore, not only the correct arrangement is enough but also higher difference in growth rates is needed.

To compare Georgian economy with the economy of about our level, the good example is Moldova which is on 31<sup>th</sup> place in the Inclusive Development Index ranking for developing countries. Georgia is on the 32<sup>th</sup> spot in that ranking.<sup>38</sup>

<sup>38</sup> World Economic Forum – *The Inclusive Development Index 2018, Summary and Data Highlights*



The chart demonstrates the difference between Georgian and Moldavian distribution of personal incomes. It's apparent that Moldova (orange bars) has much more equal distribution between its quantiles than Georgia (blue bars). Although Moldova is 2 times lower real GDP per capita country than Georgia (4084\$ to 2063\$ in 2016, 2010 US dollar), their income distribution is bright example of how developing country can have the high equality. Exploring their economy I found out that service section share of GDP from 24% in 1989 became 64.8% in 2017. That is another crucial idea of Kuznets. Rising share of service section in economy will lead to the decreasing inequality in long term. Georgia has to press on that factor.

Moreover, according to Kuznets, the emergence of the new industrial system has shattering effects on long-established pre-industrial economic and social institutions. Indeed, Georgia suffered its growing phase of inequality in 1990s when Soviet Union was finally abolished and the country became a sovereign republic, where new institutional system was established. That led the economy to the increased inequality.

According to the Kuznets numerical illustration, the turning point of the curve comes when the half of the total population is settled in cities given that proportion of average incomes between agriculture and all other sectors is 1:2. Since the proportion in Georgia was 1:1.35 in 2016. That numbers highlight the industrial and post-industrial underdevelopment of Georgia. In 2018, 58.3% of Georgians are living in urban areas of country. With simple calculations, and considering the widening gap between the average incomes of agriculture and other sectors, also predictions about high economic growth, I assume that 60% settled in urban areas will be sufficient for turning point for being activated and that time will come in 2025.

Also, I want to stress on the fact that Simon Kuznets analysis was about 19<sup>th</sup> and 20<sup>th</sup> century tendencies when that phases were continued for about 60 years. Today, in a modern, globalised and hectic world economy we should not assume that the country needs still 60 years to overcome the inequality growth phase. In Georgia's case, the inequality rising phase definitely shouldn't last until 2050 (from 1990s).


We talked about the first (inequality rising) and turning point phases. Now about the last phase which is the inequality decreasing phase of Kuznets Curve. The factors of that phase are barely realized in Georgian economy for now but the time for that is not far. The first factor, according to Kuznets, which leads to increase the income inequality is demographic. Usually poor people have more children than rich people. Therefore in long

term the quantity of the rich people who were rich years ago shrinks and the quantity of relatively lower-income people raises. That means that over the time top quantiles are fulfilled with previously lower quantile people. Hence the inequality diminishes.


The second and third factors of decreasing inequality are dynamism of economy and increased share of service section in GDP. In Georgia there are some structural changes indeed. If in 2006 the highest-share sections in GDP were government driven sections, now there are the trade, industry and transport sections on top of the list in 2017. The dynamism of economy creates good chances for lower-income people to settle themselves in the market. The service section is enhancing over time in Georgia as well. The share of the sector and the average income of the sector are both increasing. That creates opportunities for the ordinary people who are without a massive heritage or other privilege to gain high income with their professionalism and commitment. Hence it lowers the inequality.

The most important factor according to Kuznets is the strengthening of middle class, thus middle 3 quantiles. The 58% of the Georgian population lives in urban areas of country in 2018, that means the 50% barrier was prevailed years ago (in 1969, based on growth pace). Therefore the adaptation of the middle class should be over for now and strengthening process is already started. The political power in the hands of middle class is very important too. The fact that in 2017 9.11% of the GDP was directed to the health care and social security is the proof of middle class political influence.


There is the graph of the difference between lowest and top quantile shares from 1996 to 2016 in average personal income per quantile.



There are two phases of inequality growth: from 1996 to 1998 and from 2004 to 2010. Both of them happened during the political and institutional changes what confirms the claims of Kuznets. The downward oriented stretch between that two increases can't be explained as a start of final phase of Kuznets curve because the two phases don't follow each other in a such short period of time. But the interval after 2010 can be the phase of activated turning point.



I made VAR model in for further analysis of that subject. There I found that the only significant impact GDP per capita has on lowest quantile share and that connection is positive. Also, I made a forecast for the mentioned variables: quantiles and GDP per capita growth. As you can see the lowest quantile share has a little downturn until 2019 and then goes up again. That's because it is strongly depended on GDP per capita growth which has it's little drop as well. But if we consider the policy measures the government of Georgia implements for inclusive growth that slump can be avoided.



Finally, considering the factors I mentioned here and VAR analysis and forecast of the inequality I assume that the final phase of the Kuznets Curve in Georgia started in 2010 (from whence the reducing of the difference started, see the graph), or after little swings it starts from 2019 and in 2025 will be in an active final phase.

## ხსრვნა—MEMORY



90 წლის ასაკში გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი და კედაბოგი იგანე ჯავახეთშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ. გუგუშვილის სახელობის პარომიავს ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი პროფესორი

### თინა ჩხეიძე

საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, პროფესორი თინა ჩხეიძე.

ქალბატონმა თინამ მრავალმხრივ დატვირთული და შინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო.

იგი 1928 წელს დაიბადა ქ. თბილისში. ქალაქის მე-16 საშუალო სკოლის შვიდწლების დამთავრების შემდეგ, 1942 წელს, სწავლა გააგრძელდა თბილისის ფარმაცევტულ ტექნიკუმში, რომლის წარჩინებით დასრულების შემდეგ, 1945 წელს, უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1950 წელს.

თ. ჩხეიძემ 1961 წელს დაამთავრა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი, 1963 წელს – ქ. თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტურა, ხოლო 1999 წელს თბილისის მენეჯმენტისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა; 1965 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1990 წელს ქ. ხარკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოზე დაიცვა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, 2002 წელს კი მიენიჭა პროფესორის წოდება.

უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პერიოდში თინა ჩხეიძემ თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა, განათლებულმა და მუკაითმა სტუდენტმა. მან შრომითი და სამეცნიერო საქმიანობა დაიწყო 1950 წლიდან, 1950-54 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სანეპიდ-სადგურის სამრეწველო ქიმიის ლაბორატორიაში – ქიმიკოსად, 1954-1971 წლებში სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ნიადაგთმცოდნეობის კათედრაზე ლაბორატორიაში (ქ. ქუთაისში), შემდეგ ასისტენტად და დოცენტად (ქ. სოხუმში).

1971-1991 წლებში ქალბატონი თინა მუშაობდა ქ. თბილისში „ვნიგორსელმაშ“-ში; სამთო მიწათმოქმედების მანქანა-იარაღების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოცდის განყოფილებაში უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

1991-2018 წლებში (გარდაცვალებამდე) იგი მუშაობდა თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. ქალბატონი თინა წლების მანძილზე იყო ინსტიტუტის სწავლული მდივანი, დირექტორის მოადგილე და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პარალელურად პროფესორი თ. ჩხეიძე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, იგი კითხულობდა ლექციებს საქართველოს აგრარულ უნივერსიტიტეტში, ქუთაისისა და სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობისა და პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, ასევე ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუს სოხუმის ფილიალში, თბილისის მართვის ინსტიტუტში, ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლეს სკოლაში და სხვ.

მისი მეცნიერული მუშაობის სფერო იყო სოფლის მეურნეობა, სოფლის ეკონომიკა, ბუნების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ეკონომიკა. ამ პრობლემებთან დაკავშირებით მას გამოქვენებული პქონდა 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 5 მონოგრაფია. იგი იყო საქართველოს ნიადაგების რუკის თანაავტორი, რომელიც დაიბეჭდა 1999 წელს და სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

ქალბატონი თინა ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული იყო შრომის საქართველოს ვეტერანის ორდენით (1984), საქართველოს ლირსების ორდენით (2003) და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლით (2015); იგი გახდათ საქართველოს ეროვნული აკადემიისა და საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი.

პროფ. თ. ჩხეიძე მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციაში. წლების მანძილზე იყო ინსტიტუტთან არსებული სადისერტაციო საბჭოს მდივანი, არაერთი სადისერტაციო ნაშრომის თვიციალური ოპონენტი, სამეცნიერო ნაშრომების, კრებულებისა და ურნალ „ეკონომისტის“ სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ქალბატონმა თინამ ბატონ გიორგი ქველაძესთან ერთად შექმნა შესანიშნავი ოჯახი, ქვეყანას აღუზარდეს შესანიშნავი ქალბატონი – ეკონომიკის დოქტორი ქვეყან ქველაძე, რომელიც სამი წარმატებული ვაჟის დედაა, ეკონომიკის დოქტორია და ინსტიტუტის აქტიური უფროსი მეცნიერი თანამშრომელია.

ქალბატონი თინა გახდათ გაწონასწორებული, მოკრძალებული და უპრეტენდიო პიროვნება, იგი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა ინსტიტუტის კოლექტივის ახლობლების, მეგობრებისა და თანამშრომლების წრეში. მას ქართული სამეცნიერო საზოგადოება იცნობდა როგორც ნიჭიერ სპეციალისტს, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგსა და დირსეულ მკვლევარს.

მისი მეცნიერული გამოცდილება ადამიანური კეთილშობილება და სითბო უდავოდ, ძლიერ დააკლდება ინსტიტუტებს.

შესანიშნავი მეცნიერის, პედაგოგისა და პიროვნების, პროფესორ თინა ჩხეიძის, ნათელი ხსოვნა დიდხება მისი თანამშრომლების, მეგობრების. ნათესავებისა და ახლობლებისა გულში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პ. გუბუშვილის  
სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის კოლეგიზო



83 წლის ასაკში გარდაიცვალა ცხობილი მეცნიერი, ივანე ჯაგახიშვილის სახელობის თაბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ. ბუბუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მაკროეკონომიკის განყოფილების გამგე ეკონომიკის ღოძობრი

### ნანული არეგამე

საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მაკროეკონომიკის განყოფილების გამგე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ქალბატონი ნანული არეგაძე.

ქალბატონმა ნანულიმ მრავალმხრივი და შინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო. იგი დაიბადა ხარაგაულის რაიონში, დაამთავრა ქ. თბილისის ქალთა მე-6 საშუალო სკოლა და ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. მან ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გამოიჩინა თავი, როგორც განათლებულმა, ნიჭიერმა, წარჩინებულმა სტუდენტმა და სტუდენტური, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ცხოვრების საუკეთესო ორგანიზაციონური. 1959 წელს ქალბატონმა ნანულიმ წარჩინებით დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეკონომიკის ინსტიტუტში მუშაობა მან დაიწყო 1960 წელს (მაშინ ინსტიტუტი სულ 5 წლის დაარსებული იყო) და სიცოცხლის ბოლომდე, 58 წლის განმავლობაში პირნათლად ემსახურებოდა მას.

ქალბატონ ნანულის მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ინსტიტუტის მდიდარი მეცნიერული ტრადიციების ჩამოყალიბებასა და მის შემდგომ წარმატებებში. იგი აქტიურად იყო ჩაბმული სამეცნიერო-კვლევით და საზოგადოებრივ საქმიანობაში. აქ იგი ჩამოყალიბდა როგორც მეცნიერი, პედაგოგი, მთარგმნელი და რედაქტორი. ქალბატონი ნანული ინსტიტუტში მოდგაწეობის პერიოდში, მუშაობდა უმცროს, უფროს და წამყვან მეცნიერთანამშრომლად. ბოლო 10 წლის განმავლობაში იგი იყო მაკროეკონომიკის განყოფილების გამგე. ინსტიტუტში მუშაობის მანძილზე მან 100-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი გამოიაქვეყნა, რომელთაგან სამი მონოგრაფიული გამოკვლევაა. მისი ნაშრომები ეძღვნება მრეწველობის ეკონომიკის, მაკრო- და მიკროეკონომიკის მეტად აქტუალურ საკითხებს, რომელთაც სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოების ყურადღება მიიქციეს და სათანადო შეფასება დაიმსახურება.

სამეცნიერო-კვლევით მოდგაწეობასთან ერთად ქალბატონი ნანული წარმატებულ პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში. ჩუმი, მოკრძალებული, უპრეტენზიო, გაწონასწორებული პიროვნება დიდი პატივისცემითა და სიკვარულით სარგებლობდა თანამშრომლების, მეგობრებისა და სტუდენტების წრეში. სიცოცხლის ბოლომდე ქალბატონი ნანული, ასაკის მიუხედავად, სრული შემართებითა და ახალგაზრდული ენერგიით აგრძელებდა მეცნიერულ მოდგაწეობას და თავისი წვლილი შეჰქონდა ინსტიტუტის საქმიანობაში.

ქალბატონი ნანული მონაწილე იყო რიგი საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციის; წლების მანძილზე იყო არაერთი სადისერტაციო ნაშრომის ოფიციალური ოპონენტი, სამაგისტრო და სადოქტორო სამეცნიერო ნაშრომების რეცენზენტი, სამეცნიერო ნაშრომების, კრებულებისა და ჟურნალ „ეკონომისტის“ სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგიის წევრი. იგი აქტიურად მონაწილეობდა და ათეულობით სტატია დაამუშავდა „დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის“-ათვის”, რომელიც გამოსაცემად მზადდება პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში. ქალბატონმა ნანულიმ ბატონ რეზო ჯანაშიასთან ერთად შექმნა საუკეთესო ოჯახი და სამშობლოს აღუზარდა შესანიშნავი შვილები: ქალიშვილი და ქათევან ჯანაშია (მედიცინის დოქტორი) და ვაჟი და ირაკლი ჯანაშია (რომელიც წარმატებული ინჟინერ-ტექნიკოლოგია).

ქალბატონ ნანულის საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა საზოგადოება იცნობდა როგორც ნიჭიერ, ერუდირებულ და განათლებულ მკვლევარს, გულისხმიერ პედაგოგსა და დირექტორ მოქალაქეს. მისმა ამ ქვეყნიდან წასვლამ ძლიერ დაამწუხერა ოჯახის წევრები, თანამშრომები და ახლობლები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ქალბატონ ნანული არევაძის სპეციალისტული.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პ. გუგუშვილის სახელობის გეონომიკის ინსტიტუტის  
კოლეგიაზე

## ქურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.  
ქურნალ “ეკონომისტი” სტატიების გამოქვეყნების წესები იხილეთ ვებგვერდზე: [ekonomisti.tsu.ge](http://ekonomisti.tsu.ge)

### Journal “Ekonomisti”

Address: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103  
Rules of Publication of articles in the journal “Ekonomisti” see: [ekonomisti.tsu.ge](http://ekonomisti.tsu.ge)

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი სესილი ხანჯალაძე, ნატო აბესაძე

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Sesili khanjaladze, Nato Abesadze**